FRIEDRICH EBERT STIFTUNG
CESSI
Institute for Comparative Social Research Ltd.
RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს მიმართ
რუსეთში
არსებული დამოკიდებულება და აღქმა

2021

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

პუბლიკაცია დაიბეჭდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
რუსეთის ოფისი
ტვერსკაია-იამსკაიას ქუჩა #3, შენობა #2, 125 047
https://russia.fes.de/
მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
CESSI
Institute for Comparative Social Research Ltd.
RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს მიმართ
რუსეთში
არსებული დამოკიდებულება და აღქმა

2021

საქართველოს მიმართ რუსეთში არსებული დამოკიდებულება და აღქმა
მოსკოვი 2021

გამომცემლები
ფრიდრიხ ებერტის ფონდი, რუსეთი (FES)
ტვერსკაია-იამსკაიას ქუჩა #3, შენობა #2, 125 047
https://russia.fes.de/
მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია

შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი (CESSI)
ბ. დმიტროვკის ქუჩა № 20/5, მოსკოვი, რუსეთი
ტელ: (7-495) 629-15-06, ფაქსი: (7-495) 650-55-71,
ელფოსტა: cessi@cessi.ru
www.cessi.ru

ინფორმაცია გამომცემელთათვის
პერ ტეჩენდორფი (FES)
ევგენია ლოეჰკენი (FES)

ავტორები
ა.ვ. ანდრეენკოვა (CESSI)
ა.ვ. ფედოტოვა (CESSI)
ე.ს. პოზდნიაკოვა (CESSI)

თარგმნა და კორექტურა
ქეთევან მსხილაძე
რუსუდან მარგიშვილი

დიზაინი
ნატო ნოზაძე

ბეჭდვა
ფაუნტეინ ჯორჯია

ტირაჟი
200

ISBN 978-9941-8-3913-9

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდი არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.

©ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2021

სარჩევი

გრაფიკების და ცხრილების ჩამონათვალი 4

სიტყვარი 5

მოკლე შეჯამება 6

01 **შესავალი** 10

02 **მეთოდოლოგია** 11

03 **შეხედულებები რუსეთიდან: კვლევის მიგნებები** 13

3.1. რუსების დამოკიდებულება საქართველოს და ქართველების მიმართ; საქართველოს შესახებ რუსეთში არსებული წარმოდგენები 13

3.2. საქართველოს საშინაო პოლიტიკა 19

3.3. ინფორმაციის წყაროები საქართველოს შესახებ 23

3.4. რუსეთის საშინაო პოლიტიკა - მთავარი გამოწვევები 29

3.5. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს საგარეო პოლიტიკა 30

3.6. ტერიტორიული კონფლიქტები - ცოდნა და დამოკიდებულება 40

3.6.1. აფხაზეთის კონფლიქტი 40

3.6.2. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი 44

3.6.3. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზე შეხედულებების შედარება 48

3.7. ჩრდილოეთი კავკასია - ცოდნა და დამოკიდებულება 51

3.8. მსგავსება და განსხვავება ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის 64

დასკვნები 72

დანართები 74

დანართი 1: შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტის (CESSI) შესახებ 74

დანართი 2: შერჩევის რეალიზაცია - გამოკითხვის მონაცემების და ოფიციალური სტატისტიკის შედარება 75

დანართი 3: კროსტაბულაცია ქვეჯგუფების მიხედვით 76

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 3.1.1.	რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მიმართ	13
გრაფიკი 3.1.2.	რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნის და მათი მოსახლეობის მიმართ	14
გრაფიკი 3.1.3.	რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მიმართ	15
გრაფიკი 3.2.1.	რუსეთის მოქალაქეების მოსაზრებები, თუ რა მიმართულებით ვითარდება დღეს საქართველო	19
გრაფიკი 3.2.2.	რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოსაზრებები, თუ რა მიმართულებით ვითარდება დღეს საქართველო	20
გრაფიკი 3.2.3.	რა არის ის ძირითადი პრობლემები ან საფრთხე, რომელთა წინაშეც დღეს საქართველო დგას?	21
გრაფიკი 3.3.1.	რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ?	23
გრაფიკი 3.3.2.	ძირითადად, რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ?	24
გრაფიკი 3.3.3.	ინფორმაციის წყაროები საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით	24
გრაფიკი 3.3.4.	ბოლო დროს რა სახის ინფორმაცია მოისმინეთ, ნახეთ ან წაიკითხეთ საქართველოსთან დაკავშირებით?	25
გრაფიკი 3.3.5.	ინფორმაციის ხასიათი, რომელსაც საქართველოს შესახებ რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფი იღებს	26
გრაფიკი 3.3.6.	საქართველოს მონახულება და დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის მიმართ	27
გრაფიკი 3.4.1.	რა მთავარი პრობლემების ან საფრთხის წინაშე დგას დღეს რუსეთი?	30
გრაფიკი 3.5.1.	სახელმწიფოებრივი ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის - ეროვნული შერჩევა	31
გრაფიკი 3.5.2.	მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას	32
გრაფიკი 3.5.3.	ეკონომიკური/სავაჭრო და ტურისტული კავშირების გავლენა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე	33
ცხრილი 3.5.1.	გსურთ იმოგზაუროთ საქართველოში?	36
გრაფიკი 3.5.4.	სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება საქართველოს განზრახვის მიმართ, გახდეს ევროკავშირის და ნატოს წევრი	37
გრაფიკი 3.6.1.	აფხაზეთის სტატუსი ახლა და 10 წლის შემდეგ - ეროვნული შერჩევა	40
გრაფიკი 3.6.2.	აფხაზეთის განვითარების მიმართულება	41
გრაფიკი 3.6.3.	სახელმწიფო ფინანსური დახმარება აფხაზეთისთვის - ეროვნული შერჩევა	43
გრაფიკი 3.6.4.	სამხრეთ ოსეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ეროვნული შერჩევა	45
გრაფიკი 3.6.5.	სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულება	45
გრაფიკი 3.6.6.	სამხრეთ ოსეთისთვის სახელმწიფო ფინანსური დახმარება – ეროვნული შერჩევა	48
გრაფიკი 3.6.7.	მოსაზრებების შედარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელ სტატუსზე	48
გრაფიკი 3.6.8.	რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრებების შედარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელი განვითარების მიმართულების შესახებ	49
გრაფიკი 3.6.9.	რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრებების შედარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მომავლის შესახებ	50

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 3.7.1.	დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში	51
ცხრილი 3.7.2.	დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში	52
ცხრილი 3.7.3.	რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები	53
ცხრილი 3.7.4.	ინფორმაცია და კომუნიკაცია საქართველოსთან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში	53
ცხრილი 3.7.5.	რა მიმართულებით ვითარდება ახლა საქართველო - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები	54
ცხრილი 3.7.6.	საქართველოს წინაშე არსებული მთავარი პრობლემები და საფრთხე - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მოქალაქეთა მოსაზრებები	55
ცხრილი 3.7.7.	საქართველოს მისწრაფება, გახდეს ევროკავშირის/ნატოს წევრი - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები	56
ცხრილი 3.7.8.	სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები	57
ცხრილი 3.7.9.	აფხაზეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები	59
გრაფიკი 3.7.1.	რა მიმართულებით ვითარდება ახლა აფხაზეთი – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება	60
ცხრილი 3.7.10.	სამხრეთ ოსეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება	62
გრაფიკი 3.7.2.	რა მიმართულებით ვითარდება ახლა სამხრეთ ოსეთი – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება	63
გრაფიკი 3.8.1.	რომელი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკაა ყველაზე მეგობრულად განწყობილი საქართველოს მიმართ?	65
გრაფიკი 3.8.2.	რამდენად გვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხალხები?	66
გრაფიკი 3.8.3.	რომელ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკას აქვს ყველაზე მეტი საერთო საქართველოსთან?	66
გრაფიკი 3.8.4.	მსგავსებები და განსხვავებები ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის	67
ცხრილი 3.8.1.	ჩრდილოეთ კავკასიის რომელი რესპუბლიკაა ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ - ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის მოსაზრება	68
ცხრილი 3.8.2.	რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისგან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოსახლეობა - ჩრდილოკავკასიელების მოსაზრება	69
ცხრილი 3.8.3.	განსხვავების და მსგავსების ასპექტები საქართველოს მოსახლეობასა და იმ რესპუბლიკის მოსახლეობას შორის, რომელშიც რესპონდენტი ცხოვრობს	70

სიტყვარი

CATI -
სატელეფონო ინტერვიუს კომპიუტერული პროგრამა

კოვიდ-19 -
კორონავირუსის ინფექციით (SARS-CoV-2) გამოწვეული მწვავე რესპირატორული დაავადება, რომელმაც 2020-2021 წლებში მთელ მსოფლიოში პანდემიის სახე მიიღო

ნატო -
ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი

მონაცემების წარდგენა. ანგარიშში გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილია პროცენტულ გამოსახულებაში. პროცენტები დამრგვალებულია ორივე მიმართულებით, უახლოეს მთელ რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ კითხვების ჯამიდან, სადაც მხოლოდ ერთი პასუხია ასარჩევი, გადახრა არის 100%, კატეგორიაში ცვლილება შეტანილია მაქსიმალური/მინიმალური ათეულით. თუ კატეგორია რესპონდენტთა 0.5%-ზე ნაკლებმა მონიშნა, მითითებულია სიდიდე 0%.

ანგარიშში სატელეფონო გამოკითხვის მონაცემები გაანალიზებული ასაკობრივი ჯგუფების და დასახლებული პუნქტების ტიპის მიხედვით. ასაკობრივი ჯგუფები: 18-34, 35-54, 55 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა. დასახლებული პუნქტები, სადაც რესპონდენტები ცხოვრობენ: „დიდი ქალაქები“ – ქალაქები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს ან აღემატება 1 მილიონს. „საშუალო ზომის ქალაქები“ - ქალაქები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მერყეობს 100,000-დან 999,000-მდე. „მცირე ზომის ქალაქები და სოფლები“ - ქალაქები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 100,000-ზე ნაკლებია და სოფლის ტიპის დასახლებები.

მოკლე შეჯამება

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო პრობლემებისა და იმიჯის შესახებ მათი მოსახლეობის განწყობებისა და მოსაზრებების შესასწავლად რუსეთსა და საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარდა. პროექტის ინიციატორი იყო ფრიდრიხ ებერტის ფონდი. საქართველოში პროექტი განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა (GFSIS), ხოლო რუსეთში - შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტმა (CESSI, ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ვ. ანდრეენკოვა).

კვლევამ მიზნად დაისახა რუსეთის ფედერაციაში შემდეგი საკვანძო საკითხების შესწავლა:

- როგორ აღიქმება საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს მოსახლეობა;
- დამოკიდებულება და მოსაზრება საქართველოს საშინაო პოლიტიკის მიმართ;
- საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროები;
- დამოკიდებულება რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ;
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შეფასება;
- ტერიტორიული კონფლიქტების (აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი) შესახებ ცოდნა და მათ მიმართ დამოკიდებულება;
- რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

პროექტში გამოყენებულია ორი კვლევითი მეთოდი - სატელეფონო გამოკითხვა და ფოკუსჯგუფი. სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა რუსეთის 18 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობაში რეპრეზენტაციული შემთხვევითი შერჩევის გზით. შერჩევის ზომამ შეადგინა 1,506 ინტერვიუ 8 ფედერალურ ოლქში. დამატებითი ინტერვიუები ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის 5 რესპუბლიკაში: დაღესტანი, ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია და ინგუშეთში. თითოეულ ამ რესპუბლიკაში 300-მდე ინტერვიუ გაიმართა და საერთო შერჩევის ზომამ შეადგინა 1,513 ინტერვიუ. გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 10 თებერვლიდან 6 მარტამდე. ანკეტის კითხვებზე პასუხების გაცემისას, რესპონდენტთა მოტივაციის უფრო სიღრმისეული შესწავლის მიზნით, პროექტში ჩაერთო 8 ონლაინ ფოკუსჯგუფი, რომელთა მონაწილეები სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ.

ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ 4 ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: ა) დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის, როგორც ერის მიმართ; ბ) დამოკიდებულება საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების მიმართ; გ) დამოკიდებულება საქართველოს, როგორც სსრკ-ის ფარგლებში საერთო საბჭოური ისტორიის ნაწილის მიმართ; დ) დამოკიდებულება საქართველოს თანამედროვე პოლიტიკის მიმართ. ამ ასპექტების შეფასება არაერთგვაროვანია - დადებითია პირველი სამი ასპექტის შემთხვევაში და ძირითადად უარყოფითი - მეოთხე ასპექტში. შედეგად, რუსეთის მოქალაქეების ზოგადი დამოკიდებულება თანამედროვე საქართველოს მიმართ არაერთგვაროვანი და საკმაოდ წინააღმდეგობრივია.
- რუსეთში ძალიან პოზიტიური წარმოდგენებია ჩამოყალიბებული საქართველოს მოსახლეობის მიმართ. ასოციაციური ჯაჭვი მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა სტუმართმოყვარეობა, კეთილგანწყობა, გულითადობა, სითბო, ადამიანურობა, სიხალისე, პოზიტიურობა, სიამაყე და დამოუკიდებლობა; ნეგატიური მახასიათებლები იშვიათად გამოიკვეთა.

დამოკიდებულება საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულებისადმიც უმეტესწილად დადებითია. რუსეთისა და საქართველოს საერთო ისტორიას, ათწლეულების განმავლობაში სსრკ-ში ერთად ცხოვრებას, რესპონდენტთა უმეტესობა სიახლოვის და ურთიერთგაგების საფუძვლად მიიჩნევს. საქართველოს თანამედროვე პოლიტიკა კი, პირიქით, ხშირად უარყოფითად ფასდება, როგორც ანტირუსული, მტრული და აგრესიული.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იმიჯში, მთლიანობაში, დადებითი ასპექტები სჭარბობს უარყოფითს, საქართველოს არ მიიჩნევენ პირველი რიგის ქვეყნად რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობებში; მნიშვნელობისა და ურთიერთობების ხარისხით ის რუსეთისთვის უფრო შორეულ ქვეყნად აღიქმება. რუსული საზოგადოება საქართველოს არ თვლის მნიშვნელოვან მოთამაშედ საერთაშორისო ასპარეზზე ან პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. შედეგად, რუსეთის მოქალაქეების ინტერესი საქართველოს მიმართ დაბალია.
- კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი ნეიტრალურად არის განწყობილი საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ (შესაბამისად - 49% და 51%). გამოკითხულთა 15%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. დადებითი განწყობა საქართველოს მოსახლეობის მიმართ რუსეთის მოქალაქეთა მესამედზე მეტს - 38%-ს აქვს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - 30%-ს. საქართველოსა და ქართველების მიმართ დამოკიდებულება თითქმის მსგავსია რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონებში. შედარებით უფრო კეთილგანწყობილია ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.
- რუსეთის მოქალაქეები ძალიან მწირ ინფორმაციას იღებენ საქართველოს ცხოვრების და მოვლენების შესახებ. ამას განაპირობებს როგორც საქართველოს მიმართ დაბალი ინტერესი, ისე ქვეყნის შესახებ მედიაში არსებული ცნობების სიმწირე. თანამედროვე საქართველოს ცხოვრების შესახებ ინფორმაცია ძირითადად ემყარება ტურისტულ წყაროებს, მოარულ ხმებსა და ახალ ამბებს სერიოზული პოლიტიკური მოვლენების შესახებ, როგორიცაა არჩევნები, მთავრობის ცვლილება თუ კრიზისული სიტუაცია.
- კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკმარისად ინფორმირებულად თავს რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ 14% მიიჩნევს. ნახევარზე მეტმა ცოტა რამ იცის თანამედროვე საქართველოს შესახებ, ხოლო 27%-მა საერთოდ არაფერი იცის. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობასთან პირადი, რეგულარული კონტაქტი რესპონდენტთა 56%-ს ჰქონდა ბოლო 10 წლის მანძილზე. ბოლო პერიოდში ხშირი კონტაქტი ქართველებთან რუსეთის მოქალაქეების 11%-ს აქვს, 5% კი თავად არის საქართველოში ნამყოფი. მათგან დადებითი მოსაზრება საქართველოზე აქვს იმ რესპონდენტთა 52%-ს, ვინც საქართველოში ყოფილა და 29%-ს - ვინც არ ყოფილა.
- რუსეთის გამოკითხული მოქალაქეების 51%-მა ვერ შეაფასა ამჟამად სწორი მიმართულებით ვითარდება საქართველო თუ არა; 27% მიიჩნევს, რომ საქართველო მეტწილად არასწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო 21% - რომ მიმართულება სწორია. ორ მესამედზე ოდნავ ნაკლებმა რესპონდენტმა შეძლო იმ საფრთხეების და გამოწვევების დასახელება, რომელთა წინაშეც ახლა საქართველო დგას. ასეთ გამოწვევებად გამოკითხულთა 30%-ს მიაჩნია ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, 25%-ს - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, ხოლო 19%-ს - საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კოვიდი-19 და სამედიცინო დახმარება.
- კვლევის შედეგებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობა აჩვენა რუსეთის უფროსი და უმცროსი თაობების განწყობებს შორის. ახალგაზრდა თაობა უფრო კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ, მაგრამ ამავე დროს ნაკლებად ინტერესდება მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით და უმეტესად ტურისტულ მიმართულებად განიხილავს. უფროსი თაობის დამოკიდებულება კი არაერთგვაროვანია: მათ მეტად აინტერესებთ და მეტი იციან საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ და მათი აღქმაც ქვეყნის მიმართ უფრო ემოციური ხასიათისაა.

თუმცა ემოციები ხშირად არაერთგვაროვანია - პოზიტიური (რომანტიკული წარსული, აღტაცება ბუნებითა და კულტურით, ხალხის სტუმართმოყვარეობით და სითბოთი) და ნეგატიური (წყენა, აღშფოთება, გაუგებრობა). უფროსი თაობის ხალხს ნაკლებად ახასიათებს გულგრილობა საქართველოს მიმართ. ფოკუსჯგუფების შედეგების მიხედვით, რუსეთის მოქალაქეების ეს კატეგორია ცდილობს გაერკვიოს საქართველოს მიდგომებში და გაანალიზოს სიტუაცია სხვადასხვა პერსპექტივიდან. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები კი საქართველოს მხოლოდ რუსეთის ინტერესების პრიზმაში განიხილავენ და უფრო პრაგმატულ-უტილიტარულ მოსაზრებებს გამოხატავენ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების შესახებ.

- რუსეთსა და საქართველოს შორის ამჟამად არსებულ ურთიერთობებს რუსეთის მოქალაქეები არაერთგვაროვნად აფასებენ. ძალიან მეგობრულად ეს ურთიერთობები მხოლოდ რუსეთის მოქალაქეების 6%-ს მიაჩნია; 43%-ის აზრით, ეს ურთიერთობები უფრო მეგობრულია, ვიდრე არამეგობრული, ხოლო დანარჩენი მათ მტრულად მიიჩნევს (უფრო მტრული - 34% და ძალიან მტრული - 4%).
- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას ფოკუს ჯგუფების მონაწილე რესპონდენტები ახასიათებენ, როგორც „ცივს“ ან „არც თუ ისე თბილს”. ძირითად მიზეზად კი საქართველოს პროდასავლური პოლიტიკა მიაჩნიათ, მისი მისწრაფება დაშორდეს რუსეთს. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა დაუკავშირა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს ანდა რუსეთის პოლიტიკას მეზობელი ქვეყნების მიმართ.
- რუსეთის მოქალაქეებს ძალიან მწირი ცოდნა აქვთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და ამ კონფლიქტებში სხვადასხვა ქვეყნის როლის შესახებ. ზოგიერთ რესპონდენტს საერთოდ გახსენებაც კი გაუჭირდა, რომ ასეთი კონფლიქტები მოხდა, ერთმანეთში ერეოდათ ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი და ვერ იხსენებდნენ რომელ რეგიონში მდებარეობს აფხაზეთი.
- იმ რესპონდენტების მოსაზრებების მიხედვით, ვისთვისაც ეს კონფლიქტები ცნობილია, შეიძლება აღქმის სამი ძირითადი ვექტორის გამოყოფა: ა) რუსეთის მხრიდან ჩარევის და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის მხარდაჭერის გამართლება; ბ) რუსეთის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის დამრღვევი მხარის, პოზიციის დაგმობა; გ) „ჩაურევლობის“ პოლიტიკის მხარდაჭერა და დისტანცირება ნებისმიერი სახის საგარეო კონფლიქტისგან. ამასთან, ყველა ფოკუსჯგუფში მეორე პოზიციის მომხრეები უმცირესობას წარმოადგენდნენ.

  ისინი, ვინც ამ კონფლიქტებში რუსეთის როლს ამართლებს, ურთიერთობების მოგვარების წინაპირობად საქართველოს მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ან ეროვნულ რეფერენდუმზე ამ ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრას მიიჩნევენ. ის რესპონდენტები, რომლებიც რუსეთის პოზიციას გმობენ, გამოსავალს ამ ტერიტორიების დაბრუნებაში ხედავენ. რუსეთის „ჩაურევლობის“ მომხრეები კი ფიქრობენ, რომ სწორი ნაბიჯი იქნებოდა რუსეთის შიდა პრობლემებზე კონცენტრირება და ზედმეტ საგარეო-პოლიტიკურ აქტიურობაზე უარის თქმა ეკონომიკური მიზნებისა და საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესების ამოცანების შესასრულებლად.
- ინფორმაციის მოცულობა, რასაც ბოლო დროს რუსეთის მოქალაქეები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარების შესახებ იღებენ, მცირეა და ეს კონფლიქტები შორეულ და არააქტუალურ მოვლენად აღიქმება. რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობის აზრით, ამ ტერიტორიების საქართველოსთან მიერთების ალბათობა ძალიან დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 4% მოელის, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება. არც იმ რესპონდენტთა წილია დიდი, ვისაც მომავალში აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსისა სჯერა - 16%. რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთი ან მხოლოდ ფორმალურად დარჩება დამოუკიდებელი, როგორც ახლაა, ანდა რუსეთის ნაწილი გახდება.

- ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობას შორის მსგავსება-განსხვავებები არ არის გამოკვეთილი რუსეთის მოქალაქეების უმეტესობისთვის - ზოგი გარკვეულ მსგავსებას ხედავს, ზოგი კი ყურადღებას განსხვავებებზე ამახვილებს. ამასთან, რესპონდენტთა ორივე კატეგორიის შეფასებები კულტურის, ტრადიციების, ღირებულებებისა და ცხოვრების წესის შედარებას ეფუძნება. მართალია, რუსეთის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას არა აქვს ღრმა ცოდნა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ცხოვრების შესახებ, მაგრამ კარგად ესმის ამ რეგიონის სოციალურ-კულტურული და ეროვნული თავისებურებები, აღიარებს კავკასიის მრავალრიცხოვანი ხალხების ეროვნულ თვითმყოფადობას, თუმცა მათ ერთ კატეგორიაში არ აერთიანებს. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობაც არ არის მზად, მკაფიოდ შეაფასოს საქართველოს მოსახლეობასთან მსგავსებები და განსხვავებები - ლაპარაკობენ ბევრ მსგავს თვისებაზე, მაგრამ ბევრ განსხვავებასაც ასახელებენ. კავკასიის ერებისთვის მნიშვნელოვანია როგორც შიდა რეგიონული იდენტობა („ჩვენ, კავკასიელები“, „სამხრეთის ხალხი“, „მთიელები“), ასევე ეროვნულ სახელმწიფოსთან იდენტობა, როგორც რუსეთის ფედერაციის ნაწილისა.
- საკმაოდ გაურკვეველია რესპონდენტთა დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტების შერბილებასა და დარეგულირებაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების როლის მიმართ. პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს გააუმჯობესებდა, სურვილი და მზადყოფნა შეასრულოს შუამავლის როლი პრობლემებისა და უთანხმოებების მოგვარებაში, საკმაოდ მაღალია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. თუმცა, ამ რესპუბლიკების მოსახლეობის ზოგადი ინტერესი როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მიმართ ძალიან დაბალია და პრიორიტეტულ საკითხს არ წარმოადგენს. ჩრდილოეთ კავკასიაში არ არის ჩამოყალიბებული საერთო ან კონსოლიდირებული მოსაზრება კონფლიქტურ ტერიტორიებზე არსებული ვითარების მიზეზებისა და მოგვარების შესაძლო გზების შესახებ. რესპონდენტთა უმრავლესობას ამ პრობლემების უახლოეს მომავალში მოგვარების შესაძლებლობების არ სჯერა და სადავო ტერიტორიების მომავალს საქართველოს არ უკავშირებს. შესაბამისად, ამ რესპუბლიკების მოსახლეობის უმეტესობას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების მოგვარება ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია.

1. შესავალი

დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საკმაოდ რთულია. ამ ორი ქვეყნის ეროვნული ინტერესები და პოლიტიკური კურსი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, აქამდე მწირი იყო ემპირიული მონაცემები (რომელთა შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა) იმის შესახებ, თუ როგორ აღიქმება რუსეთსა და საქართველოში ეს ურთიერთობები.

ფრიდრიხ ებერტის ფონდმა, რომელიც საქმიანობს რუსეთშიც და საქართველოშიც, წამოიწყო კვლევითი პროექტი, რომლის მიზანიცაა რუსეთ-საქართველოს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, კერძოდ:

- როგორი წარმოდგენა აქვთ რუსეთსა და რუსებზე საქართველოში და საქართველოსა და ქართველებზე - რუსეთში;
- მოსახლეობის დამოკიდებულება ამ ორი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიმართ;
- ინფორმაციის წყაროები;
- რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობების შეფასება;
- ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ არსებული ცოდნის დონე და მათდამი დამოკიდებულება.

რუსეთში კვლევა 2021 წლის თებერვალ-მარტში ჩატარდა. კვლევა მოიცავდა სატელეფონო გამოკითხვას, რომელიც რეპრეზენტაციული შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ჩატარდა რუსეთის 18 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობას შორის, ასევე - ჩრდილოეთ კავკასიის 5 რესპუბლიკაში. შერჩევის ზომამ შეადგინა 3,019 სატელეფონო ინტერვიუ. შერჩევის სტანდარტული ცდომილებაა +-2,6% ეროვნული შერჩევისთვის და +-5,1% თითოეული რესპუბლიკის შერჩევისთვის. ასევე ჩატარდა 8 ფოკუსჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები. ფოკუსჯგუფები ჩატარდა ონლაინ მეთოდით.

მომდევნო თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. დანარჩენ თავებში კი მოცემულია კვლევის შედეგები ისეთი ასპექტებით, როგორიცაა რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოსა და მისი მოსახლეობის მიმართ; რუსეთის მოქალაქეების ცოდნის დონე საქართველოს საშინაო პოლიტიკის შესახებ და დამოკიდებულება მის მიმართ; საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროები; შეხედულებები რუსეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ხარის-ხის შეფასება; რუსეთის მოქალაქეების მოსაზრებები საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ; აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული კონფლიქტების აღქმა; ჩრდილოეთ კავკასიის მოსახ-ლეობის მოსაზრებების უფრო სიღრმისეული განხილვა. ანგარიშის ბოლო თავი ეთმობა დასკვნებს და დანართებს, სადაც მოცემულია კროსტაბულაცია.

2. მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში დაისახა შემდეგი კვლევითი ამოცანები:

1. განსაზღვრულიყო, რა ადგილი უკავია საქართველოს რუსეთის მოსახლეობის წარმოსახვაში მეზობელ ქვეყნებს შორის (დისტანცია - ახლობელი თუ შორეული ქვეყანა). რამდენად განსხვავდება რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება და მსჯელობა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შესახებ და საქართველოს მოსახლეობის შესახებ – ზოგადი დამოკიდებულება და შეფასების კრიტერიუმები.
2. გამოვლენილიყო საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის არასამთავრობო წყაროების, პირადი შთაბეჭდილებების, პირადი ურთიერთობების, მოგზაურობის მნიშვნელობა, კონკრეტულად რა იციან რუსეთის მოქალაქეებმა თანამედროვე საქართველოს საგარეო და საშინაო საკითხების შესახებ.
3. შეფასებულიყო რუსეთის მოქალაქეთა შეხედულებები რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებული ურთიერთობების, ამ ურთიერთობების მიზეზებისა და ამ ორი ქვეყნისთვის მათი შედეგების შესახებ, დამოკიდებულება საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სწრაფვის მიმართ.
4. შეფასებულიყო რუსეთის მოქალაქეების ცოდნის დონე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ; განსაზღვრულიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ ინფორმაციის წყაროები; გამოვლენილიყო მოსაზრებები ამ კონფლიქტების მიზეზების და კონფლიქტის თითოეული მხარის როლის შესახებ, ამ ტერიტორიების არსებული სტატუსის და მდგომარეობის შეფასებები, ასევე მოსაზრებები კონფლიქტების გადაჭრის პერსპექტივების და იმ პოლიტიკის თაობაზე, რომელიც რუსეთს შეეძლო გაეტარებინა.
5. შესწავლილიყო რუსეთის მოქალაქეების შეხედულებები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის (საქართველოს) მოსახლეობას შორის მსგავსება-განსხვავების, ასევე დანარჩენ რუსეთსა და საქართველოს შორის მსგავსება-განსხვავებების და საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირებაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების ახლანდელი და პოტენციური როლის შესახებ.

ამ ამოცანების განსახორციელებლად ჩატარდა გამოკითხვა რუსეთის 18 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობაში, რეპრეზენტაციული შემთხვევითი შერჩევის გზით. შერჩევის ზომამ შეადგინა 1,506 ინტერვიუ 8 ფედერალურ ოლქში. დამატებით ინტერვიუები ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის 5 რესპუბლიკაში: დაღესტანი, ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია და ინგუშეთი. თითოეულ რესპუბლიკაში ჩატარდა დაახლოებით 300 ინტერვიუ, ჯამში, 1,513 ინტერვიუ. გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 10 თებერვლიდან 6 მარტამდე.

შერჩევა. კვლევის გენერალური ერთობლიობა - რუსეთის და ჩრდილოეთ კავკასიის 5 რესპუბლიკის 18 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა, რომელსაც აქვს მუდმივი წვდომა მობილურ ან სტაციონარულ სატელეფონო კავშირთან. გენერალური ერთობლიობიდან გამორიცხულთა წილი შეადგენს ქვეყნის ამ ასაკობრივი ჯგუფის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 6%-ს. შერჩევის ტიპი - შერეული შერჩევა მობილური და სტაციონარული სატელეფონო ნომრების საფუძველზე (75% - მობილური და 25% - სტაციონარული). არჩევის მეთოდი - ყველა მობილური ოპერატორის რეალური პრეფიქსების სიიდან სატელეფონო ნომრების შემთხვევითი გენერირება თითოეულ პრეფიქსში ნომრების სიმჭიდროვის პროპორციულად.

ანკეტა ფორმალიზებული სატელეფონო გამოკითხვისთვის შეიმუშავეს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) სპეციალისტებმა. რუსეთისთვის ანკეტის ადაპტირება და დადასტურება განახორციელა CESSI-მ. ყველა ინტერვიუ ჩატარდა CATI-ის კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, სატელეფონო ფორმატისთვის, რუსულ ენაზე.

ფოკუსჯგუფები. რესპონდენტების მსჯელობის, მოტივაციისა და ფუნდამენტური შეხედულებების შესახებ რაოდენობრივი მონაცემების უფრო საფუძვლიან ინფორმაციაზე დაყრდნობით გასაფართოებლად ანკეტის კითხვებზე პასუხების გაცემისას ჩატარდა 8 ფოკუსჯგუფი გენერალური ერთობლიობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებთან, ონლაინ მეთოდის გამოყენებით (ZOOM პლატფორმა).

ფოკუსჯგუფების მონაწილეები ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო: ახალგაზრდების ჯგუფი (18-44 წლის) და უფროსი თაობის ჯგუფი (45 წლის და მეტი ასაკის), რომლებიც სხვადასხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ - რუსეთის ფედერაციის უმსხვილეს ქალაქებში, საშუალო ზომის ქალაქებში, მცირე ზომის ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში. თითოეული ჯგუფი შედგებოდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებისგან. ორი ფოკუსჯგუფი ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

რეგიონი/გეოგრაფია	**ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფი (18-44 წლის)**	**უფროსების ასაკობრივი ჯგუფი (45 და მეტი წლის)**
რუსეთი ფედერაციის დიდი ქალაქები (1 მილიონი და მეტი მოსახლე)	ჯგუფი 1	ჯგუფი 2
საშუალო ზომის ქალაქები (250,000 – 500,000 მოსახლე)	ჯგუფი 3	ჯგუფი 4
მცირე ზომის დასახლებები	ჯგუფი 5	ჯგუფი 6
ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები	ჯგუფი 7	გუფი 8
სულ	**4**	**4**

ფოკუსჯგუფების მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმები იყო სქესი, ასაკი და მიღებული განათლების დონე - თითოეული ჯგუფის შემადგენლობა იყო შერეული. ყოველ ჯგუფში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის და პროფესიის წარმომადგენლები (ჯგუფებში არ იყვნენ შეყვანილი პოლიტიკით პროფესიულად დაინტერესებული ადამიანები - ჟურნალისტები, მკვლევრები, თანამდებობის პირები, სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები). ჯგუფებში მონაწილეობისთვის შეარჩიეს ის ადამიანები, ვისაც აინტერესებს პოლიტიკა, თვალს ადევნებს პოლიტიკურ სიახლეებს, უზიარებს სხვებს მოსაზრებებს პოლიტიკის შესახებ. ჯგუფების მონაწილეებმა არ იცოდნენ წინასწარ, რომ კვლევის კონკრეტული თემა იყო საქართველო. ჯგუფებში მონაწილეობისთვის არავის მოეთხოვებოდა საქართველოსა და საქართველოს პოლიტიკის საგანგებო ცოდნა ან მათ მიმართ ინტერესი.

ფოკუსჯგუფებს მოდერაციას უწევდნენ CESSI-ის მოდერატორები და მკვლევრები. თითოეული ჯგუფის დისკუსია 2 საათი გრძელდებოდა; ხდებოდა მათი აუდიო და ვიდეო ჩაწერა სამომავლო ანალიზისთვის. მოგვიანებით გამოკითხვის ენაზე მომზადდა ტრანსკრიპტები. ფოკუსჯგუფების სცენარები (მოდერატორის გზამკვლევები) CRRC-ის მასალების ბაზაზე და ებერტის ფონდის ექსპერტების კონსულტაციით მოამზადა CESSI-მ.

3. შეხედულებები რუსეთიდან: კვლევის მიგნებები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები შემდეგ საკითხებზე: რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს და მისი მოსახლეობის, საქართველოს პოლიტიკის, საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროების მიმართ; რუსეთისთვის არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების მიმართ; მათი მხრიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შეფასება და მათი შეხედულებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიულ კონფლიქტთან დაკავშირებით.

3.1. რუსების დამოკიდებულება საქართველოს და ქართველების მიმართ; საქართველოს შესახებ რუსეთში არსებული წარმოდგენები

რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს სახელ-მწიფოს მიმართ მერყეობს ნეიტრალურიდან პოზიტიურის ფარგლებში.

საქართველოს და მისი მოსახლეობის შესახებ მკვეთრად უარყოფითი მოსაზრებები რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს (3%-4%); არც ზომიერად უარყოფითი მოსაზრებების მქონეთა წილია დიდი (6%-10%). რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარს საქართველოს მოსახლეობის და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ნეიტრალური განწყობა აქვს. საქართველოს მოსახლეობის მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი გამოკითხულთა 38%, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - 30%.

რუსეთის მოქალაქეების განწყობა საქართველოს მოსახლეობის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ; თუმცა, ამ ორს შორის სხვაობა არ არის პრინციპული.

გრაფიკი 3.1.1. რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მიმართ (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა რუსეთის ფედერაციაში



რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრება საქართველოს შესახებ ძალიან ჰგავს მათ მოსაზრებას სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებზე - სომხეთსა და აზერბაიჯანზე. რუსეთში ამიერკავკასიის ყველა ქვეყანას ერთნაირად აღიქვამენ - მთლიანობაში პოზიტიურად, თუმცა ჭარბობს ნეიტრალური, ფრთხილი და გულგრილი დამოკიდებულება. ეს პრინციპულად განსხვავდება რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულებისაგან, მაგალითად, ბელარუსის მიმართ, რომლისადმიც გამოკითხულთა უმეტესობა კეთილადაა განწყობილი.

ყველა იმ ქვეყნის შემთხვევაში, რომელიც გაანალიზდა, კეთილგანწყობა მოსახლეობის მიმართ აღემატება კეთილგანწყობას სახელმწიფოს მიმართ: დადებითი განწყობა მოსახლეობის მიმართ, საშუალოდ, 7%-9%-ით აღემატება დადებით განწყობას სახელმწიფოს მიმართ.

გრაფიკი 3.1.2. რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნის და მათი მოსახლეობის მიმართ (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა რუსეთის ფედერაციაში, დადებითი %



საქართველოს მოსახლეობის მიმართ ოდნავ უფრო პოზიტიური დამოკიდებულება გამოვლინდა რუსეთის დიდ ქალაქებში, საშუალო და მცირე ზომის ქალაქებში კი მეტია ნეიტრალური და გულგრილი განწყობა, თუმცა სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის დიდი არ არის.

რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას, მთლიანობაში, საკმაოდ ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს საქართველოს მიმართ. ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოსა და ქართველების მიმართ ჩრდილოეთ კავკასიაში არიან - გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა საკუთარი დამოკიდებულება შეაფასა, როგორც „ძალიან“ ან „საკმაოდ“ დადებითი. რუსეთის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ოდნავ მაღალია საქართველოს მიმართ დადებითი განწყობა შორეულ აღმოსავლეთში (41%). განსხვავებები სხვა რეგიონებს შორის უმნიშვნელოა, დაახლოებით 2%-3%.

* გრაფიკი 3.1.3. რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მიმართ (%)*



ასაკობრივი განსხვავებები საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაში. რუსეთის სხვადასხვა თაობის მოქალაქეები არაერთგვაროვნად აღიქვამენ საქართველოს და ქართველებს. 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მეტია იმ ადამიანთა წილი, ვისაც დადებითი მოსაზრებები აქვს საქართველოსა და მისი მოსახლეობის შესახებ, ვიდრე უფროს ასაკობრივ ჯგუფებში.

რუსეთის ახალგაზრდები ბევრად კეთილგანწყობილი არიან საქართველოს მოსახლეობის მიმართ, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - დადებითმა შეფასებებმა, შესაბამისად, 42% და 33% შეადგინა. ამავე დროს, ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს არანაირი გრძნობა არ გააჩნია საქართველოსადმი - ნეიტრალური ან გულგრილი არიან მის მიმართ.

უფროს თაობის (55 წლის და მეტი ასაკის) დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის მიმართ უფრო რთულია: ამ ასაკობრივ ჯგუფში ნეიტრალურად ან გულგრილად განწყობილი ადამიანების წილი ნაკლებია, ვიდრე სხვა თაობებში; მესამედზე მეტი (38%) დადებითად არის განწყობილი საქართველოს მოსახლეობის მიმართ, ხოლო 14% - უარყოფითად. საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება უფრო წინააღმდეგობრივია: 29% - დადებითი და 21% - უარყოფითი.

საქართველოს და მისი მოსახლეობის მიმართ დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების მიზეზები და მოტივაცია - ფოკუსჯგუფების შედეგები. როგორც ფოკუსჯგუფებში დისკუსიებმა აჩვენა, დადებით ან უარყოფით შეფასებებს განაპირობებს ის ფაქტორები, რომლებსაც რესპონდენტები შეფასებისას ითვალისწინებენ. დისკუსიების ის მონაწილეები, რომლებიც უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდნენ საქართველოს მიმართ, რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ამ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე ფიქრობდნენ. საქართველოს მიმართ დადებითად განწყობილი რესპონდენტები ყურადღებას აქცევდნენ ურთიერთობების სხვა ასპექტებს - ქვეყნის ზოგად მიმზიდველობას ტურიზმისთვის (კლიმატი,

ბუნების სილამაზე, ღირსშესანიშნაობები, სამზარეულო), ხალხის თვისებებს, ეროვნულ მახასიათებლებს (სტუმართმოყვარეობა, კეთილგანწყობა) და საზიარო ისტორიას.

უფროსი თაობის ხალხი უფრო ემოციურ ან პირად ფაქტორებს ითვალისწინებს - ახალგაზრდობის მოგონებებს, თბილ, ადამიანურ ურთიერთობებს, საქართველოში მოგზაურობის პირად გამოცდილებას, მეგობრებსა და ნაცნობებს. რუსეთის ახალგაზრდები მოსაზრებებს ხშირად ქვეყანაში მოგზაურობის პირადი გამოცდილებით, სხვა ტურისტების მოსაზრებებით განსაზღვრავენ, მაგრამ, ამავე დროს, უფრო იშვიათად ახსენებენ კავშირებს ადამიანებთან და აქვთ ნაკლები პირადი ურთიერთობები საქართველოს მოქალაქეებთან.

უფროსი თაობის რესპონდენტების წარმოდგენა საქართველოს და ქართველების შესახებ საბჭოეთის დროინდელ მოგონებებს ან შეხედულებებს ემყარება. ახალგაზრდა რესპონდენტები, რომლებიც სსრკ-ს ვერ მოესწრნენ, ხშირად თავიანთი მშობლების მოსაზრებებს იმეორებენ, რაც, მთლიანობაში, არსებულ სტერეოტიპებს ემყარება და მხოლოდ ხანდახან ახდენენ ქვეყნის შესახებ არსებული მოსაზრების გადაფასებას საქართველოს ამჟამინდელ ტურისტულ იმიჯზე დაყრდნობით.

> *„ქართველებზე ადრე მსმენია, რომ ისინი სტუმართმოყვარე ხალხია კავკასიაში. კავკასიელ ხალხებს შორისაც კი ქართველები მართლა მაგარ ხალხად ითვლებოდა. მაგრამ ეს ოდესღაც იყო!“ (35 წლამდე ასაკის ქალი, უმაღლესი განათლებით, საშუალო ზომის ქალაქიდან რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთის ოლქში).*

საქართველოსთან ასოციაციებს შორის გასტრონომიული ასოციაციები ჭარბობს - ქართული ღვინო, ქართული სამზარეულო, ასევე ასოციაციები სტუმართმოყვარეობასთან, თბილ, ადამიანურ ურთიერთობებთან, დღესასწაულსა და ლამაზ ლანდშაფტთან დაკავშირებული.

> *„საქართველოს ხალხს აქვს კარგი სამზარეულო, მეგობრული განწყობა, სტუმრად ყოველთვის მიგიღებენ, კარგად გაგიმასპინძლდებიან, მაგიდასთან მიგიწვევენ. ჩემი აზრით, იქ ზღაპარია“ (35 წლამდე ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან ვოლგისპირეთის ოლქში).*

საქართველოს იმიჯი რუსეთში საბჭოთა დროს ჩამოყალიბდა და ის სტერეოტიპები (ძირითადად, დადებითი ხასიათის) და საიმიჯო წარმოდგენები დღემდეა შენარჩუნებული. ფოკუსჯგუფის მონაწილეთაგან ძალიან ცოტამ თუ იცოდა დეტალები და კონკრეტული ფაქტები ქვეყნის, მისი გასაბჭოებამდელი თუ თანამედროვე ისტორიის შესახებ.

> *„მე გახსენებას საბჭოთა წარსულიდან დავიწყებდი - ვიცოდი, რომ ეს არის მდიდარი ქვეყანა, სტუმართმოყვარე, სადაც ბევრი ღვინოა, ყურძენი, მზე, ზღვა, სადაც შესანიშნავი სამთო-სათხილამურო კურორტები იყო. თუმცა, შემდეგ ამ ქვეყანას ცუდი ბედი ეწია. ვიტყოდი, რომ ჩემთვის ეს წინააღმდეგობრივი ქვეყანაა. მათ ძალიან კარგად დაიწყეს, როდესაც ჩვენთან ერთად იყვნენ, ახლა კი... პასუხად მხოლოდ მხრებს თუ ავიჩეჩავ, ისეთი ტურბულენტურია ეს რესპუბლიკა - როგორ არის, რა არის? - ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა მაქვს“ (65 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვიდან).*

რესპონდენტთა უმეტესობისთვის საქართველო არ წარმოადგენს საგანგებო ინტერესის ან დაკვირვების საგანს. მათთვის საქართველო ერთ-ერთია იმ მრავალ მეზობელ ქვეყანას შორის, რომლებიც დღეს არც ყველაზე ახლობელ და არც ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნად აღიქმება. საქართველოს შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროებია პოლიტიკური ახალი ამბები, რომლებშიც, ძირითადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და რუსეთთან მისი ურთიერთობები, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი საშინაო მოვლენა (ეროვნული დონის არჩევნები, კონფლიქტები) შუქდება და ნათესავებისა და ნაცნობების

მონათხრობი, ვინც საქართველოში ტურისტულად იმოგზაურეს. თუ პოლიტიკური ახალი ამბები ძირითადად უარყოფით ან პრობლემურ ამბებს გადმოსცემს, პირადი ისტორიები უმეტესად დადებითი ხასიათისაა.

„ზოგადად, ეს დიდი კულტურის მქონე ქვეყანაა, რომელმაც უამრავი ისტორიული მოვლენა გამოიარა. რწმენით ისინიც მართლმადიდებლები არიან - რელიგიით ჩვენთვის ყველაზე ახლობლები, მაგრამ პოლიტიკის მხრივ ისინი ჩვენგან ძალიან შორს, ჩვენგან განცალკევებულად არიან“ (63 წლის კაცი უმაღლესი განათლებით ეკატერინბურგიდან).

საქართველოს და ქართველების დადებითი იმიჯის შექმნაში თავიანთი წვლილი რუსეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველებს ან ქართული წარმოშობის ადამიანებსაც შეაქვთ, თუმცა მათი გავლენა თანამედროვე საქართველოს შესახებ იმიჯის შექმნაზე დიდი არაა. მაგალითად, მონაწილეებმა დაასახელეს მოცეკვავე ნიკოლოზ ცისკარიძე, მომღერლები ვალერი მელაძე და თამარ გვერდწითელი და ფიგურული სრიალის მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე. უფროსი თაობის რესპონდენტებისთვის საქართველოს ერთგვარ „სახეს“ ვახტანგ კიკაბიძე წარმოადგენს მიმინოს როლში, გია დანელიას ამავე სახელწოდების ფილმიდან. თუმცა, ცნობილი ქართველებისადმი ასეთი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, მათ თანამედროვე საქართველოს იმიჯთან არ აკავშირებენ; ისინი უფრო უწინდელ, სსრკ-ის ფარგლებში არსებულ მჭიდრო ურთიერთობებთან ასოცირდებიან.

ფოკუსჯგუფების მონაწილეების აზრით, უფროსი თაობის და ახალგაზრდა თაობის ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა. უფროსი, ანუ საბჭოთა თაობის ქართველების მიმართ დამოკიდებულება ძალიან პოზიტიურია; მათ მიეწერებათ ამ ხალხის საუკეთესო თვისებები - გულითადობა, სითბო, ინტელიგენტურობა, გულღიაობა. ქართველების ახალ თაობას კი რესპონდენტები, მათ შორის - ახალგაზრდა რესპონდენტები, კიცხავენ იმის გამო, რომ ღია, გულთბილი, სტუმართმოყვარე ქართველების თვისებები დაკარგეს. მათ მიაწერენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა პრაგმატულობა, ანგარებაც კი, კულტურის და განათლების დაბალი დონე; ამბობენ, რომ ისინი არიან დასავლური კულტურით „გაფუჭებული“ თუ გარყვნილები, დასავლეთზე ორიენტირებული, მტრულად განწყობილი რუსეთის მიმართ და არ სურთ რუსულად ლაპარაკი.

„ჩვენი თაობის ქართველები გულღია ხალხია, მზად არიან უცხო ადამიანი სტუმრად მიიღონ, იურთიერთონ მასთან და გაუმასპინძლდნენ ყველაფრით, რაც აქვთ. ახალგაზრდა თაობა უკვე სხვა ადამიანები არიან. იქ რეალურად ზომბირება მიდის“ (დაახლოებით 50 წლის ქალი, არასრული უმაღლესი განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან ურალის ოლქში).

„ჩემი ძმა საქართველოში ცოლთან ერთად ისვენებდა. ის ამბობს, რომ იქ ისეთი ახალგაზრდობა ჰყავთ! პირსინგიანები, ერთობიან, მათ ყველაფრის უფლებას აძლევენ. ქუჩაში დგანან და ეწევიან, არადა 16 წლისა არიან და არავინ არაფერს ეუბნება, პოლიციელიც კი. იქ ისეთი გარყვნილებაა, რომ რა ვიცი!“ (25 წლამდე ასაკის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან რუსეთის ფედერაციის სამხრეთის ოლქში)

თანამედროვე საქართველოს მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ბევრი რესპონდენტი ხსნის რუსეთის მიმართ ქართველების ნეგატიური დამოკიდებულებით, რუსოფობიით. ის რესპონდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართველებს რუსეთისა და რუსების მიმართ ცივი ან მტრული დამოკიდებულება აქვთ, იმასაც კი ეჭვობენ, რომ ქართველების სტუმართმოყვარეობის უკან არაგულწრფელობა და ანგარება იმალება.

„სააკაშვილის პოლიტიკის (გამო) რუსოფობიაა საქართველოში. გარდა ამისა, ადამიანებს ყოფენ საბჭოთა კავშირის დროინდელ უფროს თაობად, ვისაც ახსოვს, რა იყო მაშინ და ახალგაზრდა

თაობად, რომელთა უმრავლესობამ უბრალოდ არ იცის რუსული. რუსოფობია ყველა შემთხვევაშია. ტურისტების მიმართ დამოკიდებულება კარგია, მაგრამ ესეც თვალთმაქცობაა. თუ ჩავუღრმავდებით, კიდევ უფრო მეტი პრობლემაა. უფროსი თაობა, რომელიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, უფრო ლოიალურია და ესმის, რომ რუსეთთან მეგობრობაა საჭირო" (45 წლის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ვოლგისპირეთის ოლქში).

„მგონია, რომ მათ მომხმარებლური დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ქვეყნისადმი. თქვენ, ტურისტებს, ლამაზ სურათს გიჩვენებენ, ფულს გამოგწურავენ და მორჩა, თქვენ იმათ აღარ აინტერესებთ და არ სჭირდებით" (35 წლამდე ასაკის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ვოლგისპირეთის ოლქში).

„არაერთმა მოგზაურობამ საქართველოში, როცა ეს შესაძლებელი იყო, დამარწმუნა, რომ როდესაც რუსების ხარჯზე ცხოვრების შესაძლებლობა აქვთ, ამ შესაძლებლობას ისინი სიამოვნებით იყენებენ, თვალთმაქცობენ კიდეც. დიახ, გულღიები არიან, დიახ, სტუმართმოყვარეები არიან, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც შემოსავლის მიღება აინტერესებთ" (50 წლამდე ასაკის ქალი, საშუალო პროფესიული განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან რუსეთის ფედერაციის სამხრეთის ოლქში).

ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის მოქალაქეების დაახლოებით ნახევარი ნეიტრალურად არის განწყობილი საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. მკვეთრად უარყოფითი მოსაზრება საქართველოსა და მის მოსახლეობაზე გამოკითხულთა მხოლოდ 3%-4%-ს აქვს, ხოლო ზომიერად ნეგატიური - 6%-10%-ს. რუსეთში საქართველოს მოსახლეობის მიმართ დადებითად განწყობილია გამოკითხულთა 38%, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - 30%.
- რუსეთის ახალგაზრდობა უფრო კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ, ვიდრე უფროსი თაობა. თუმცა, მათ შორის უფრო მაღალია ნეიტრალური და გულგრილი ადამიანების წილი, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. უფროსი თაობის წარმომადგენლების მოსაზრება ორად გაიყო - ერთ ნაწილს საქართველოს მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს (29%), ხოლო მეორე ნაწილს - უარყოფითი (22%).
- რუსეთის დიდი ქალაქების მოსახლეობის განწყობა ქართველების მიმართ ოდნავ უფრო პოზიტიურია, საშუალო და მცირე ზომის ქალაქების მოსახლეობაში კი მეტია ნეიტრალური და გულგრილი განწყობა, თუმცა განსხვავება მათ შორის მცირეა.

3.2. საქართველოს საშინაო პოლიტიკა

რუსეთის მოქალაქეებს ძალიან მწირი ცოდნა აქვთ საქართველოს დღევანდელი ცხოვრების და ქვეყნის საშინაო პოლიტიკის შესახებ. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა ვერ შეძლო შეეფასებინა, სწორი მიმართულებით ვითარდება დღეს საქართველო თუ არა. რესპონდენტთა იმ ნაწილის მოსაზრებები, რომელმაც შეფასება შეძლო, გაიყო: 27% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო 21% - რომ მიმართულება სწორია.

გრაფიკი 3.2.1. რუსეთის მოქალაქეების მოსაზრებები, თუ რა მიმართულებით ვითარდება დღეს საქართველო (%)



რუსეთში უფროსი და უმცროსი თაობის წარმომადგენლები განსხვავებულად აღიქვამენ საქართველოს დღევანდელ განვითარებას. მართალია, ინფორმირების დონე საქართველოს საშინაო საქმეებისა და ქვეყნის განვითარების ზოგადი მიმართულების შესახებ ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაბალია, მაგრამ 18-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი (იმ რესპონდენტებს შორის, ვინც შეძლო შეფასება) ქვეყანას უფრო პოზიტიურად უყურებს. ამ ჯგუფში სამჯერ მეტია იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველო დადებითი, სწორი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე არასწორი მიმართულებით. უფროს ასაკობრივ ჯგუფში ეს პროპორცია საპირისპიროა. შუა ხნის ასაკობრივ ჯგუფში კი აზრები თითქმის თანაბრად გაიყო.

რუსეთის მოქალაქეთა ორ მესამედზე ოდნავ ნაკლებმა შეძლო დაესახელებინა კონკრეტული პრობლემები, გამოწვევები და ამოცანები, რომელთა წინაშეც დგას დღეს საქართველო. გამოკითხულთა თითქმის მესამედმა ასეთ გამოწვევებად დაასახელა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, მეოთხედმა - აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემები, ხოლო მეხუთედმა - საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, კოვიდი-19 და სამედიცინო დახმარება.

გრაფიკი 3.2.2. რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოსაზრებები, თუ რა მიმართულებით ვითარდება დღეს საქართველო (%)



რუსეთის მოქალაქეებს საქართველოს მთავარ პრობლემებად მიაჩნიათ შიდა ეკონომიკური, სოციალური სირთულეები და ტერიტორიული კონფლიქტები. საქართველოს ეროვნული დღის წესრიგის სამ მთავარ საკითხს შორის გამოკითხულთა ორმა მესამედმა სწორედ ეს დაასახელა. მეორე ადგილზეა მოსახლეობის ჯანმრთელობა, კოვიდი და პრობლემები სამედიცინო მომსახურებაში.

გრაფიკი 3.2.3. რა არის ის ძირითადი პრობლემები ან საფრთხე, რომელთა წინაშეც დღეს საქართველო დგას? (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა რუსეთის ფედერაციაში, მაქსიმუმ სამი პასუხი



ფოკუსჯგუფებმა აჩვენა, რომ რუსების მოსაზრება საქართველოს საშინაო საქმეების შესახებ უმეტეს-წილად ემყარება ვარაუდებს, სხვა ქვეყნებთან ანალოგიებს, რეგიონის განვითარების ზოგად ლოგიკას და არა - კონკრეტულ ფაქტებს ან ინფორმაციას ქვეყნის ცხოვრების შესახებ.

„სირთულეები ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას აქვს. სათანადო დონეზე მხოლოდ აზერბაიჯანია და, ალბათ, თურქმენეთი. პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა დანარჩენი სახელმწიფო კი სიძნელეებს განიცდის. ყველას მსგავსი პრობლემები აქვს, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება და საქართველო არ არის გამონაკლისი - უმუშევრობა, განადგურებული ეკონომიკა, დაბალი ხელფასები, ცუდი კომუნალური მომსახურება. თუმცა, რუსეთის მოქალაქეებთან შედარებით, საქართველო უმტკივნეულოდ ან მცირე დანაკარგებით განიცდის ამ პრობლემებს“ (55+ ასაკის კაცი, არასრული უმაღლესი განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).

„ვფიქრობ, რომ ნამდვილად არ აქვთ პროგრესი. პროგრესი მაშინაა, როდესაც მატება ხდება. და რის ხარჯზე გექნება მატება? მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ხარჯზე. თუ შენ დალაგებული ურთიერთობა გაქვს დიდ ქვეყანასთან, რომელსაც ბევრი შენი პროდუქტი შეუძლია მოიხმაროს, მატება ხდება. ახლა კი ურთიერთობები შეწყვიტეს, შეაფერხეს, მათ შორის, ტურისტული ნაკადი. შესაბამისად, ისინი, დიდი ალბათობით, რეგრესს განიცდიან“ (დაახლოებით 30 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, საშუალო ზომის ქალაქიდან რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთის ოლქში).

რუსეთის მოქალაქეებისთვის ყველაზე ცნობილი ფაქტი საქართველოს ცხოვრებიდან არის კორუფციასთან ბრძოლა, რომელიც ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წამოიწყო. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეს პოლიტიკა წარმატებული იყო და მას დიდ მიღწევად, სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითოდ აფასებენ.

„მე მხოლოდ ცალკეული ფაქტები ვიცი. მსმენია, რომ სააკაშვილმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვედა დონის კორუფციას. ანუ მძღოლები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ქრთამს აღარ აძლევენ და ეს პლუსია. ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში - Ease of Doing Business - საქართველო ახლა ძალიან მოწინავე პოზიციას იკავებს. თუმცა, მეორე მხრივ, მსმენია, რომ იქ არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციაა. კონფლიქტი აფხაზეთსა და ოსეთში დასრულდა, დასავლური ფულის შედინება ქვეყანაში შეჩერდა, რუსეთთან ეკონომიკური კავშირები მოირღვა, ახალი წარმოება არ შექმნილა და არც გასაღების ახალი ბაზრები გაჩენილა. ამიტომ ეკონომიკური სიტუაცია უარესდება“ (დაახლოებით 25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სანქტ-პეტერბურგიდან).

ზოგი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია დემოკრატიის განვითარებაში, ააშენა უფრო ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტები, აქვს ბევრი სამოქალაქო თავისუფლება, რუსეთზე უფრო განვითარებული სამოქალაქო კულტურა.

„დემოკრატიის მხრივ საქართველო ბევრად უფრო წინ წავიდა, ვიდრე რუსეთი. იქ ხელისუფლების ცვლილება ხდება, ჩვენ კი ახლა ვიწყებთ იმის გააზრებას, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იქ ხალხი გამოდის და მიტინგებს მართავს, რასაც თავისი პლუსები აქვს. ჯერჯერობით ისინი ჩვენზე უარესად ცხოვრობენ, მაგრამ მათ უფრო პროევროპული განვითარების ვექტორი აქვთ“ (60 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან კრასნოდარის მხარეში).

მთლიანობაში, რუს რესპონდენტებს არ აქვთ სრულფასოვანი და ნათელი წარმოდგენა საქართველოს ცხოვრებასა თუ ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. მათი ცოდნა, ინფორმაცია და შთაბეჭდილებები ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივია, ხშირად არასანდო წყაროებსა და მოგონებებზეა დაფუძნებული.

ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა ვერ შეძლო შეეფასებინა, ახლა საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არასწორით. დანარჩენების მოსაზრება ორად გაიყო: გამოკითხულთა 27%-ს საქართველოს განვითარების მიმართულება არასწორი ჰგონია, ხოლო 21%-ს - სწორი.
- რუსეთის მოქალაქეთა შეხედულებები საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ძალიან ჰგავს მათ შეხედულებებს რუსეთში არსებულ პრობლემებზე. რუსეთში არსებულ პრობლემებს შორისაც პირველი ადგილი ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს უკავია (რუსეთის გამოკითხული მოქალაქეების 44% მას ქვეყნის 3 ყველაზე მნიშნველოვან პრობლემას შორის ასახელებს), რასაც მეორე ადგილზე მოსდევს ჯანმრთელობის პრობლემები (31%) და საგარეო და საერთაშორისო კონფლიქტები - მესამე ადგილზე.
- საქართველოს მთავარ პრობლემებს შორის რუსეთის მოქალაქეებმა დაასახელეს შიდა ეკონომიკური და სოციალური სირთულეები, ასევე ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის შელახვის საფრთხე (ამ პრობლემათაგან სულ ცოტა ერთი მაინც გამოკითხულთა 47%-მა დაასახელა).

3.3. ინფორმაციის წყაროები საქართველოს შესახებ

რუსეთის მოქალაქეების ინფორმირების დონე საქართველოში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ძალიან დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 14%-ს მიაჩნია, რომ საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. გამოკითხვის მონაწილეთა ნახევარზე მეტი თავად აღიარებს, რომ თანამედროვე საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი იცის. ნახევარზე ნაკლებმა ცოტა რამ იცის დღევანდელი საქართველოს შესახებ, ხოლო 27%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არაფერი იცის.

გრაფიკი 3.3.1. რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ? (%)



დიდი და საშუალო ზომის ქალაქების მოსახლეობა უფრო ინფორმირებულია საქართველოს შესახებ, ვიდრე მცირე ზომის ქალაქების და სოფლების მოსახლეობა.

რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო არის ტელევიზია - გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ინფორმაციას უმეტესად სატელევიზიო პროგრამებიდან იღებს. ინფორმაციის რიგით მეორე წყაროა ტრადიციული მედიასაშუალებების ინტერნეტგვერდები. ინფორმაციის არასპეციალიზებული წყაროებით, როგორიცაა სოციალური ქსელებით ან უშუალოდ თუ სხვებისგან მიღებული ინფორმაცია, გაცილებით ნაკლები ადამიანი სარგებლობს: საქართველოს შესახებ ინფორმაციას რუსეთის მოქალაქეების 12% სოციალური ქსელებიდან იღებს, 5% - ოჯახის წევრებისა და რუსეთში მცხოვრები მეგობრებისგან, ხოლო 4% - საქართველოში მცხოვრები ადამიანებისგან. გამოკითხულთა 40%-ზე მეტს ბოლო დროს საქართველოს შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიუღია.

გრაფიკი 3.3.2. ძირითადად, რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ? (%)

ბაზა: იმ რესპონდენტთა %, ვინც რაღაც ინფორმაციას მაინც იღებს საქართველოს შესახებ



35 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის ტრადიციული მასმედია საქართველოს შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროა, ზოგჯერ ერთადერთი წყაროც კი. ახალგაზრდები უფრო მრავალფეროვან წყაროებს იყენებენ - როგორც სოციალურ მედიას, ისე მედიის ტრადიციულ წყაროებს. თუმცა, წყაროების მრავალფეროვნების მიუხედავად, ახალგაზრდა რუსებმა საქართველოს შესახებ მაინც უფრო ნაკლები იციან, ვიდრე უფროსი თაობის ადამიანებმა.

გრაფიკი 3.3.3. ინფორმაციის წყაროები საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით (%)



ბოლო დროს საქართველოს შესახებ მიღებულ ინფორმაციაში ტურისტული ცნობები ჭარბობს; მეორე ადგილზეა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული თემები და საერთაშორისო ურთიერ-თობები. საქართველოს საშინაო ცხოვრების, მისი კულტურის, ეკონომიკის თუ ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაცია გაცილებით მცირეა.

გრაფიკი 3.3.4. ბოლო დროს რა სახის ინფორმაცია მიიღეთ ახალი ამბებიდან საქართველოსთან დაკავშირებით ? (%)

ბაზა: იმ რესპონდენტთა %, ვინც რაღაც ინფორმაცია მაინც მიიღო საქართველოს შესახებ



რუსეთის მოქალაქეების უმეტესობას, რომელიც საქართველოს შესახებ ინფორმაციას იღებს, არ მიაჩნია, რომ ეს ინფორმაცია რაიმე კონკრეტული, დადებითი თუ უარყოფითი, ხასიათისაა. გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ნეიტრალურ ინფორმაციას იღებს. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ინფორმაცია ძირითადად ნეგატიური ან პოზიტიურია, თითქმის თანაბარია, მცირედი განსხვავებით ნეგატიურის სასარგებლოდ (შესაბამისად, 19% და 15%).

გრაფიკი 3.3.5. ინფორმაციის ხასიათი, რომელსაც საქართველოს შესახებ რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფი იღებს (%)



პირადი ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასთან არ არის იშვიათობა რუსეთის მოქალაქეებისთვის, თუმცა ინტენსიური ან მუდმივი კონტაქტი ცოტაა. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს ჰქონია საქართველოს მოსახლეობასთან ურთიერთობა, მინიმუმ, ბოლო 10 წლის განმავლობაში (56%). ქართველებთან ხშირი კონტაქტი რუსების 11%-ს აქვს. უფრო ინტენსიური კონტაქტები აქვთ ახალგაზრდა და უფროსი ასაკის მოქალაქეებს, დიდი და საშუალო ქალაქების მოსახლეობას.

გამოკითხულთა 5% საქართველოში ნამყოფია ბოლო 10 წლის განმავლობაში. ვიზიტორთა ძირითადი ნაწილი ახალგაზრდა და/ან დიდი ქალაქების მაცხოვრებელია - 25 წელს ქვემოთ გამოკითხულთა 8% ბოლო წლებში იმყოფებოდა საქართველოში; დიდი ქალაქების მაცხოვრებლებიდანაც ეს წილი 8%-ია (შედარებით პატარა ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების 2%-თან). ბევრად მცირეა საქართველოში ნამყოფთა წილი უფროსი თაობის, მცირე ქალაქების და სოფლების მოსახლეობაში.

ცხრილი 3.3.1. კომუნიკაცია საქართველოსთან - ეროვნული შერჩევა (%)

კითხვა: რამდენად ხშირად ურთიერთობდით საქართველოს მოსახლეობასთან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში? ყოფილხართ საქართველოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში?

	ძალიან ხშირად	ზოგჯერ	მხოლოდ რამდენჯერმე	არასდროს ან გაუჭირდა გახსენება/ უარი პასუხზე	ყოფილხართ საქართველოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში?
სულ	11%	23%	22%	44%	5%
ასაკი					
18-34	11%	25%	29%	35%	8%
35-54	14%	25%	23%	38%	6%
55 და მეტი	7%	19%	18%	56%	3%
ურბანიზაცია					
დიდი ქალაქები	11%	24%	28%	37%	8%
საშუალო ზომის ქალაქები	11%	26%	24%	39%	7%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	10%	20%	17%	53%	2%

საქართველოში ყოფნის პირადი გამოცდილება ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებაში პოზიტიურად აისახება. ბოლო ათწლეულში საქართველოში ნამყოფი რესპონდენტებიდან 52% დადებითად არის განწყობილი (ზოგად, 29%-იან ნიშნულთან შედარებით). ნეიტრალურ-გულგრილთა წილიც ბევრად ნაკლებია (შესაბამისად, 29% და ზოგადი 54%). თუმცა, მიზეზშედეგობრიობის ზუსტი განმსაზღვრელი ფაქტორები ნათელი არაა. პირადმა შთაბეჭდილებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყნის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიუხედავად, **საქართველოში პირადად მოგზაურობა უკავშირდება ქვეყნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.**

გრაფიკი 3.3.6. საქართველოს მონახულება და დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის მიმართ (%)

ბაზა: იმ რესპონდენტების %, ვისაც დადებითი დამოკიდებულება აქვს საქართველოს მიმართ



ფოკუსჯგუფებში დისკუსიების მიხედვით, რუსეთის მოქალაქეები ცუდად არიან ინფორმირებული საქართველოს თანამედროვე ცხოვრების შესახებ. ბოლო წლებში საქართველო მედიისთვის არ წარმოადგენს მნიშვნელოვან თემას. მთლიანობაში, ტრადიციული მედია ყველაზე ხშირად ექსტრაორდინარულ, უმეტესწილად უარყოფით მოვლენებს, კონფლიქტებსა თუ სხვა პრობლემებს აშუქებს. რუსეთის მოქალაქეების აზრით, ძალიან ცოტაა ისეთი ანალიტიკური მასალა, ცნობა ქვეყნის ცხოვრების შესახებ, რომლებიც რაიმე კატასტროფას ან კონფლიქტებს არ ეხმიანება და ეს ეხება არა მარტო საქართველოს.

„მეზობლების (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების) შესახებ ინფორმაციას ახალი ამბებიდან, მაგალითად, მეორე არხის [RTR] საინფორმაციო პროგრამა '60 წუთი'-დან ვიღებ, როცა ვუყურებ. ჩემს საინფორმაციო ველში საქართველო პრაქტიკულად არ ხვდება“ (55 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ქალაქიდან ფსკოვის ოლქში).

„დიდი ხანია საქართველოს შესახებ არანაირი ახალი ამბავი არ მინახავს. ბოლო ინფორმაცია საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებს ეხებოდა, რაც დიდი ხნის წინ იყო. მსმენია, რომ რაღაც პროტესტები ჰქონდათ. მას შემდეგ თითქმის არაფერი გამიგია“ (დაახლოებით 25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სანქტ-პეტერბურგიდან).

„საქართველოსთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის ბევრი. შესაძლოა, ეს კარგიც იყოს, რადგან როცა ბევრი ინფორმაციაა, ესე იგი რაღაც ცუდი ხდება“ (23 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, სამარიდან).

„ბოლო დროს რაღაც არაფერი მესმის საქართველოს შესახებ. მას შემდეგ, რაც იქ ახალი პრეზიდენტი აირჩიეს - დასავლეთის დაყენებული, ფრანგული წარმომავლობის ქალი, რომელმაც დასავლეთისკენ აიღო კურსი, საქართველო საინფორმაციო ველიდან გაქრა“ (65 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვიდან).

საქართველოს შესახებ საინფორმაციო მასალების სიმცირის გამო რუსეთის ზოგ მოქალაქეს ექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ბევრი არაფერი ხდება, რომ ქვეყანა იზოლირებულად ცხოვრობს და არ იძლევა გაშუქებისთვის საბაბს. რესპონდენტები რამდენიმე საინფორმაციო მიზეზს ასახელებენ:

„ცოტა ინფორმაციაა, რაღაცნაირი მშვიდი ქვეყანაა, არ ხდება ნეგატიური ახალი ამბები, კონფლიქტური სიტუაციები, არავის საქმეებში ერევა. ვიცი, რომ იქ სამოგზაურო ტურებია. ჩემი ახლობლები თუ მეგობრები, ვინც იქ ყოფილან, ჰყვებიან ბუნების, სილამაზის, ამ ხალხის მეგობრული განწყობების შესახებ. სხვა მხრივ კი, ცოტაა ინფორმაცია. მგონია, რომ ისინი რაღაცნაირად განცალკევებულად არიან“ (35 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ცენტრალურ რუსეთში).

ფოკუსჯგუფებში პრაქტიკულად არცერთ რესპონდენტს სპონტანურად არ უხსენებია რომელიმე ტერიტორიული კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის, აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის პრობლემები. ამ თემებს ახლა მცირე ადგილი უკავია ყოველდღიურ ახალ ამბებში და რუსეთის მოქალაქეების ცნობიერებაში მათ უკანა პლანზე გადაიწიეს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურისტულ გადაცემებს და მასალებს სხვადასხვა ქვეყნის შესახებ. ისინი დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით, რუსეთის ახალგაზრდებს შორის. ასეთ მასალებში ინფორმაცია საქართველოს შესახებ, ჩვეულებრივ, პოზიტიურია და ქვეყანას მაქსიმალურად დადებითი და მიმზიდველი კუთხით წარმოაჩენს. უარყოფითი ინფორმაცია დიდწილად მხოლოდ მოგზაურობაზე შეზღუდვებს, ვიზებსა და სატრანსპორტო საკითხებს ეხება.

ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის მოქალაქეთა ინფორმირების დონე საქართველოში არსებული მდგომარეობისა და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ ძალიან დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 14%-ს მიაჩნია, რომ საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. რუსების ნახევარზე მეტმა ცოტა რამ იცის დღევანდელი საქართველოს შესახებ, ხოლო 27%-მა -საერთოდ არაფერი.
- გამოკითხულთა 40%-ზე მეტს ბოლო დროს საქართველოს შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიუღია. საქართველოს საშინაო საქმეების შესახებ რუსეთის მოქალაქეების ინფორმირების წყარო ტრადიციული მედიაა - ტელევიზია და მედიის ტრადიციული საშუალებების ინტერნეტ-გვერდები. ინფორმაციას პირადი წყაროებიდან, მაგალითად, სოციალური ქსელებიდან და ნაცნობებისგან გამოკითხულთა 19% იღებს.
- რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა თაობა ინფორმაციას საქართველოს შესახებ განსხვავებული წყაროებიდან იღებს: 55 წელზე უფრო ასაკის ხალხი - ძირითადად ტელევიზიის, საშუალო ასაკის მოსახლეობა - ტელევიზიის და ონლაინარხების, ხოლო ახალგაზრდები - ძირითადად ონლაინარხების მეშვეობით.
- ბოლო დროს საქართველოს შესახებ მიღებულ ინფორმაციაში ტურისტული ცნობები და ტურისტული შეფასებები ჭარბობს. შემდეგ მოდის ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციასა და ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. მათ უმრავლესობას, ვინც ბოლო დროს მიიღო თუნდაც მცირედი ინფორმაცია საქართველოს შესახებ, მიაჩნია, რომ ეს ინფორმაცია არც პოზიტიური იყო და არც ნეგატიური, არამედ - ნეიტრალური ხასიათისა; 19%-ის აზრით, ინფორმაციას, ძირითადად, ნეგატიური შეფერილობა ჰქონდა, ხოლო 15%-ის აზრით - პოზიტიური.

3.4. რუსეთის საშინაო პოლიტიკა - მთავარი გამოწვევები

რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, რუსეთის ეროვნული პრობლემების უდიდესი წილი საშინაო ვითარებასა და გამოწვევებზე მოდის. რუსეთის მოქალაქეების უმეტესობას რუსეთის მთავარ შიდა პრობლემებად მიაჩნია ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები - 44%; კოვიდთან დაკავშირებული პრობლემები - 31%; განათლების პრობლემები - 12%; პოლიტიკური პრობლემები და პრობლემები სახელმწიფო მმართველობაში (ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიის განვითარება, კორუფცია, პოლიტიკური არასტაბილურობა და პროტესტები, სახელმწიფო მმართველობის არაეფექტიანი სისტემა) – 10%. დღეს არსებულ მთავარ ეროვნულ პრობლემებს შორის რესპონდენტები შედარებით იშვიათად ასახელებდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებსა და გამოწვევებს - 31%.

გრაფიკი 3.4.1. რა მთავარი პრობლემების ან საფრთხის წინაშე დგას დღეს რუსეთი ? (%)



რუსეთის მოქალაქეების მოსაზრებები რუსეთის წინაშე არსებული პრობლემების და გამოწვევების შესახებ ძალიან ჰგავს მათ წარმოდგენებს იმ პრობლემებსა და საფრთხეებზე, რომლებიც საქართველოს აქვს. ორივე ქვეყნისთვის ორ მთავარ ეროვნულ გამოწვევად დასახელდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ჯანმრთელობის პრობლემები, კოვიდი.

3.5. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს საგარეო პოლიტიკა

რუსეთს-საქართველოს ურთიერთობებს რუსეთის მოქალაქეები ძალიან არაერთგვაროვნად აფასებენ. მხოლოდ 6% მიიჩნევს მას ძალიან მეგობრულად, 43%-ის შეფასებით კი, ეს ურთიერთობები უფრო მეგობრულია, ვიდრე არამეგობრული. რესპონდენტთა მესამედზე ოდნავ მეტი (34%) ფიქრობს, რომ ურთიერთობები უფრო მტრულია, თუმცა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მათ ძალიან მტრულად აფასებს, მცირეა (4%).

* გრაფიკი 3.5.1. სახელმწიფოებრივი ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის - ეროვნული შერჩევა (%)*



რუსეთის ახალგაზრდები იხრებიან მოსაზრებისკენ, რომ დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საკმაოდ მეგობრულია (ასე ფიქრობს რუსეთის 35 წლამდე ასაკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი). საშუალო და უფრო ასაკის მოსახლეობის მოსაზრებები კი ორად გაიყო - ერთი ნაწილის აზრით, ეს ურთიერთობები მეგობრულია, ხოლო მეორის აზრით - მტრული.

რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით ერთი მესამედი) ვერ ხედავს კონ-კრეტულ დაბრკოლებას რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების გზაზე. იმ რესპონდენტთა 22%, ვინც ასეთ დაბრკოლებებს ხედავს, ამას, უპირველეს ყოვ-ლისა, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პოლიტიკას უკავშირებს. კიდევ ერთი ბარიერი, რაც დასახელდა, სხვადასხვა საკითხის ირგვლივ ორ ქვეყანას შორის არსებულ ზოგად უთან-ხმოებებს ეხება. მესამე ბარიერი მოიცავს საქართველოს ანტირუსულ პოლიტიკას, რუსეთთან უფრო ახლო ურთიერთობების სურვილის არქონას და საქართველოს სურვილს, დისტანცირდეს რუსეთისაგან. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა დაასახელა რუსეთის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები და კონკრეტული რუსი ლიდერების როლი რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუარესებაში.

გრაფიკი 3.5.2. მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა, მაქსიმუმ ორი პასუხი.



მოსაზრება, რომ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების დამყარება ხელს უწყობს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავებას, პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს - რუსეთში გამოკითხულთა 80% ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ქვეყნების ურთიერთობებზე ტურიზმის განვითარება რომ დადებით გავლენას ახდენს, სავსებით დარწმუნებულია რუსეთის მოქალაქეების ნახევარზე მეტი და 31% ამ მოსაზრებას ძირითადად ეთანხმება.

გრაფიკი 3.5.3. ეკონომიკური/სავაჭრო და ტურისტული კავშირების გავლენა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე (%)

კითხვა: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და სავაჭრო/ტურისტული კავშირების განვითარება ხელს უწყობს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას?



ფოკუსჯგუფებში რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს რესპონ-დენტები ყველაზე ხშირად „გრილს“ ან „პრობლემურს“ უწოდებენ. ამასთან, ბევრი რესპონდენტისთვის უცნობია ურთიერთობების ასეთი გაცივების მიზეზები.

> *„მგონია, რომ საქართველო ნეიტრალიტეტს იცავს რუსეთთან დამოკიდებულებაში. რაღაც ვერ ვიხსენებ რაიმე კონფლიქტს საქართველოსთან“ (36 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვის ოლქიდან).*

> *„ვფიქრობ, საქართველომ ცალმხრივად შეწყვიტა, გაწყვიტა ყველანაირი ურთიერთობა რუსეთთან. მათ რუსეთთან ინტერესთა რაღაც კონფლიქტი ჰქონდათ... შესაძლოა, მე არასწორად მესმის, მაგრამ ვფიქრობ, საქართველომ შეწყვიტა პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან“ (32 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, კალინინგრადიდან).*

ასეთი, არცთუ მეგობრული, ურთიერთობების მთავარ მიზეზს ზოგი რესპონდენტი საქართველოს პროდასავლურ პოლიტიკაში ხედავს. რესპონდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს იყენებენ რუსეთის ინტერესების საპირწონედ დასავლური ქვეყნების ინტერესების გასაძლიერებელ ინსტრუ-მენტად. რესპონდენტთა აზრით, კიდევ ერთი ბარიერია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმარ-თულება. საქართველო ისწრაფვის უფრო ძლიერ და ეკონომიკურად განვითარებულ მხარესთან ინტეგ-

რირებისკენ, რათა უფრო მაღალი დივიდენდები მიიღოს. ჯგუფური დისკუსიის მხოლოდ ზოგიერთი მონაწილე უკავშირებს რუსეთსა და საქართველოს შორის პრობლემებს, ტერიტორიულ კონფლიქტებს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ არსებულ ვითარებას.

„ვფიქრობ, ჩვენს ხელისუფლებას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. საქართველოში უკვე დასავლეთის პოლიტიკა მიიღეს და ამ პოლიტიკით გააგრძელებენ სვლას, დასავლეთი კი ჩვენ წინააღმდეგაა“ (40 წლის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, ეკატერინბურგიდან).

„რუსეთი მიზიდულობის ცენტრი უნდა იყოს იმავე საქართველოსთვის. ახლა რუსეთი ნამდვილად არ არის მიზიდულობის ცენტრი - არც სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობის მაგალითით, არც ცხოვრების დონით, არც ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებით. ჩვენ არ გვაქვს არაფერი, რასაც საქართველოს შევთავაზებდით. ჩვენ მათ არ ვჭირდებით. ამიტომ არ უნდა გვწყინდეს და ვამბობდეთ, რომ ისინი არ არიან პრორუსულები. და რატომ უნდა იყვნენ პრორუსულები? რის გამო?“ (25 წლამდე ასაკის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან რუსეთის სამხრეთში)

ფოკუსჯგუფების მიმდინარეობისას რუსეთის მოქალაქეები საკმაოდ პესიმისტურ განწყობებს გამოხატავდნენ არა მარტო რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობების გამო, არამედ მათ ახლო მომავალთან დაკავშირებითაც. სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური მრწამსის რესპონდენტები თანხმდებოდნენ, რომ მომდევნო 10 წელიწადში ამ ურთიერთობის ბუნებისა და ინტენსივობის ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

ის რესპონდენტები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს რუსეთსა და დასავლეთს შორის გლობალური დაპირისპირების და რუსეთისთვის დასავლური ქვეყნებიდან მომავალი საფრთხის პრიზმაში განიხილავენ, აგრეთვე ნაკლებად ვარაუდობენ ამ დაპირისპირების მომდევნო წლებში დაძლევას.

„როდესაც ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ რუსეთი მზადაა, გაწყვიტოს ურთიერთობები ევროპასთან, ხოლო საქართველო ხშირად ევროპისკენ იყურება, ასეთი პოლიტიკის პირობებში, ვფიქრობ, გაუმჯობესება ნაკლებად სავარაუდოა (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, სამარიდან).

არც სხვა რესპონდენტები, ვინც პრობლემას რუსეთის არასაკმარის შიდა ლიბერალიზაციასა და სხვა ქვეყნებთან ასიმეტრიული, პატერნალისტური ურთიერთობების დამყარებასა თუ არასწორ ტერიტორიულ პოლიტიკაში ხედავს, არ ვარაუდობენ რაიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უახლოეს მომავალში.

„რაც რუსეთმა ბოლო დროს გააკეთა - უცხო ტერიტორიების მიტაცება - ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია. როცა სხვის ტერიტორიას ვიპარავთ, ეს ქურდობაა. ეს შეიცვლება, თუ ოდესმე მთავრობა შეიცვალა. მაგრამ ეს ძალიან შორეული მომავლის პროგნოზია“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, ეკატერინბურგიდან).

ფრთხილი ოპტიმიზმი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივასთან დაკავშირებით ძირითადად ემყარება ეკონომიკური მიზანშეწონილების მოსაზრებებს, პირველ რიგში, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარების მომგებიანობას საქართველოსთვის; ასევე, რუსეთისთვის შეუფერხებელ სატრანსპორტო კავშირს მის სამხრეთელ მეზობელთან.

„თუ ახალგაზრდა თაობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში მოვა, უფრო ადეკვატური იქნება, ისინი ურთიერთობებს არ გაწყვეტენ თუნდაც ეკონომიკური მომგებიანობის გამო - ტურისტების

ნაკადები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. მათი საქონლის ჩვენთან ექსპორტირება უფრო ადვილია, ვიდრე ოკეანის გაღმა“ (23 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, სამარიდან).

უფროსი თაობის წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მორალურ-ეთიკურ ასპექტს - ურთიერთობები უნდა მოიცავდეს არაეკონომიკურ მდგენელს, ემყარებოდეს ორმხრივ ინტერესებს, სიმპათიას, ერთგულებას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოჰგავდეს დონორსა და ბენეფიციარს შორის კავშირს.

„კარგი ურთიერთობები ის კი არ არის, რომ მე საფულე მაქვს და ჩემთან იმეგობრე და ფულს გადაგიხდი ხოლმე. ახლა ასე ხდება ბევრ რესპუბლიკასთან: ჩვენ მათ ვალებს ვპატიობთ, ისევ ვაძლევ სესხს, ჩვენ ერთ ლოყაში გვირტყამენ, ჩვენ კი მეორე ლოყას ვუშვერთ. ასე არ უნდა ხდებოდეს, ეს არ არის მეგობრობა“ (დაახლოებით 50 წლის ქალი, არასრული უმაღლესი განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან ურალში).

მსოფლმხედველობაში და რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობების შეფასებებში განსხვავებების მიუხედავად, რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ოცნებობენ ამ ურთიერთობების „დათბობაზე“ და აღიარებდნენ, რომ ეს, ბევრი თვალსაზრისით, თავად რუსეთზე იქნება დამოკიდებული. სხვა ქვეყნების მიმართ რუსეთის ხისტი პოლიტიკის მომხრეთა შორისაც იყვნენ ისეთები, ვისაც მიაჩნდა, რომ ახლა რუსეთი, ფაქტობრივად, არ არის მომხიბლავი და მიზიდულობის ცენტრი სხვა ქვეყნებისთვის.

„პოლიტიკურად ყველა სარგებლის მიღების კატეგორიებით აზროვნებს, რუსეთს კი ახლა რაიმე კარგის შეთავაზება არ შეუძლია და საქართველოც დიდ აზრს ვერ ხედავს რუსეთთან ინტეგრირებაში. აი, რუსეთი თუ იქნება დიდი, დიადი, ძლიერი ქვეყანა, მაშინ ურთიერთობების გაუმჯობესება ბუნებრივად მოხდება. ქართველების მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც თვითკმარი ვერასდროს იქნება. მას ყოველთვის ექნება ლტოლვა ევროკავშირის ანდა აშშ-ის მიმართ“ (დაახლოებით 25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სანქტ-პეტერბურგიდან).

„ჩვენი ხელმძღვანელობის წყალობით, ჩვენ არავისთვის ვართ მიმზიდველი. ეს არის სწორედ პრობლემა“ (25 წლამდე ასაკის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან რუსეთის სამხრეთში).

„თუ ხალხი დაინახავს, რომ რუსეთი გეგმურად, მიზანმიმართულად, სრულფასოვნად ვითარდება, ნაცვლად იმ უწესრიგობისა, რაც ახლა ხდება, ყველა რესპუბლიკა ან მათი უმეტესობა მაინც თვითონ შემოტრიალდება ჩვენკენ. მათ სულიერი, ისტორიული სიახლოვე ჩვენთან უფრო აქვთ, ვიდრე დასავლეთთან და, მადლობა ღმერთს, ეს კავშირებიც ბოლომდე არ გაწყვეტილა“ (45 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ურალში).

ზოგი რესპონდენტის აზრით, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესება მხოლოდ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებითაა შესაძლებელი. ეს პოლიტიკა მოიცავს შიდა ეკონომიკის გაძლიერებას, ქვეყნის შიგნით უფრო ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების აწყობას, უფრო ეფექტური და მეტი კეთილდღეობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას, ასევე „მსოფლიო პოლიციელის“ როლზე უარის თქმას, რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ არსებულ კონფლიქტებში ჩაურევლობას.

„რუსეთის ხელისუფლება ჯერ საკუთარი ხალხისკენ უნდა შეტრიალდეს. როდესაც ის საკუთარი ხალხისკენ შეტრიალდება, მაშინ სხვებიც შემობრუნდებიან ჩვენკენ“ (დაახლოებით 50 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ცენტრალურ რუსეთში).

პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, საქართველო სასურველი ტურისტული მიმართულებაა - რუსეთში გამოკითხულთა 27%-ს სურს საქართველოში გამგზავრება უახლოეს მომავალში. **საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული მიმართულებაა** რუსეთის სხვა მეზობელ ქვეყნებს შორის (ბელარუსთან ერთად - 21%).

ასეთი სურვილი გაცილებით მეტია ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ხალხს შორის, ხოლო უფროს თაობაში - ნაკლები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ განსხვავებებს თაობებს შორის უფრო მოგზაურობისთვის საჭირო ფიზიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები განაპირობებს, ვიდრე დამოკიდებულება კონკრეტულად საქართველოს მიმართ.

ცხრილი 3.5.1. გსურთ იმოგზაუროთ საქართველოში? (%)

	დიახ
სულ	27%
ასაკი	
18-34	31%
35-54	34%
55 და მეტი	18%
ურბანიზაცია	
დიდი ქალაქები	31%
საშუალო ზომის ქალაქები	31%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	22%

რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის მიმართ. ამ იდეის მომხრეა მოსახლეობის 14% და წინააღმდეგი - 68%.

ევროკავშირთან საქართველოს მიერთების საკითხზე რუსეთის მოქალაქეების მოსაზრება არ არის ასე მკვეთრად გამოხატული: გამოკითხულთა მესამედზე ოდნავ ნაკლები მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში, წინააღმდეგია 44%, ხოლო გულგრილი ან პოზიციის არმქონე - 26%.

განსხვავებულია რუსეთის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების მოსაზრებები საქართველოს მისწრაფებაზე - გაწევრიანდეს ევროკავშირსა და ნატოში. რუსეთის სხვადასხვა თაობის მოქალაქეები გაცილებით უფრო პოზიტიურად არიან განწყობილი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, ვიდრე ნატოში გაწევრიანების მიმართ. გამოკითხულ ახალგაზრდებს შორის მოწინააღმდეგეებზე მეტიც კია იმ ადამიანთა წილი, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს. ეს შეფარდება საპირისპიროა უფროსი თაობის წარმომადგენლებში.

გრაფიკი 3.5.4. სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება საქართველოს განზრახვის მიმართ - გახდეს ევროკავშირის და ნატოს წევრი (%)



ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას ფოკუსჯგუფის მონაწილეები უკავშირებენ საფრთხეს, რომ დასავლური ქვეყნები საქართველოს თავს მოახვევენ არამეგობრულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, გამოიყენებენ მას რუსეთის წინააღმდეგ, ხელს შეუშლიან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გამოსწორებას.

„თუ ევროკავშირში გაწევრიანდებიან და მისი კანონებით იცხოვრებენ, ჩვენი ურთიერთობები შეიცვლება. ამას სხვა ქვეყნების მაგალითი გვაჩვენებს. ჩეხოსლოვაკია ჩვენი მეგობარი ქვეყანა იყო, ახლა კი, ჩეხეთი მხარს უჭერს ჰაგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს რუსეთის წინააღ-მდეგ - დასავლეთთან „ფარვატერში“ არიან როგორც პოლიტიკურად, ასევე იურიდიულად. ეს ელის საქართველოსაც“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, ეკატერინბურგიდან).

„ეს კიდევ ერთი თავის ტკივილი იქნება, რადგან მათ გამოიყენებენ იმისთვის, რომ დაუსრულებლად გაგვაღიზიანონ“ (60 წელზე მეტი ასაკის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვიდან).

საქართველოს ნატოში გაწევრიანება, ასეთი ნაბიჯის მოწინააღმდეგეთა აზრით, საშიშროებას შეუქმნის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას, გამოიწვევს ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის შემდგომ მატებას, შეიარაღების ზრდის ახალ სპირალს.

„მათ გაწევრიანებას ნატოში უარყოფითი ზეგავლენა ექნება. ფაქტობრივად, ნატოს ბლოკი ახლა გარს ერტყმის რუსეთს და არ აძლევს მას თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. რუსეთს ყველა ძალისა და საშუალების გამოყოფა უხდება თავდაცვაზე, უსაფრთხოებაზე - ეს კი ცუდია“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).

საქართველოს შესაძლო გაწევრიანება ევროკავშირსა და ნატოში ფოკუსჯგუფების მონაწილეებში უარყოფით რეაქციას იწვევს არა მარტო რუსეთისთვის სავარაუდო არასასურველი შედეგების გამო, არამედ ასევე საქართველოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის გამო. რესპონდენტები იშველიებდნენ ბალტიისპირეთის, ასევე სამხრეთ ევროპის აგრარული ქვეყნების მაგალითებს, რომლებმაც დაკარგეს მეტი, ვიდრე ეკონომიკური სარგებელი მიიღეს ევროკავშირის წევრობიდან. ზოგიერთი რესპონდენტი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას წინასწარმეტყველებს, ისევე, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, იდენტობისა და უნიკალურობის დაკარგვას.

„ვფიქრობ, თავად ქართველებისთვის იქნება ეს ბევრად უარესი, რადგან ისინი დაადგებიან ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის გზას, რომლებსაც ადგილობრივ პროდუქციაზე ბევრი აკრძალვა დაუწესეს, ახალი გასაღების ბაზარი კი არ მისცეს. საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა და ის უკანასკნელიც, რითაც ისინი შემოსავალს შოულობენ, დამთავრდება, ვერსად ვერ გაყიდიან“ (დაახლოებით 25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სანქტ-პეტერბურგიდან).

„საქართველოს პრობლემები არ მოგვარდება, როცა ის ნატოს ან რომელიმე სხვა ქვეყნებს მიუერთდება. საქართველო იქნება სატელიტი ქვეყანა მცირე რესურსებით. ერთადერთი, რითაც საქართველო ნატოსთვის არის საინტერესო, შეიარაღების განთავსებაა, ქვეყანას ნატოს პრობლემებისა და ინტერესებისთვის გამოიყენებენ. საქართველოს პრობლემები კი, არ მოგვარდება“ (დაახლოებით 50 წლის ქალი, არასრული უმაღლესი განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან ურალში).

„ისინი ნატოს სამხედრო ბაზების თვალსაზრისით აინტერესებს. პირველ რიგში, უპირატესობა მიენიჭება ნატოს ქვეყნების ინტერესებს, უფრო ახლო მოწიონ სარაკეტო ბაზები (რუსეთთან)“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, სამარიდან).

საქართველოს ევროკავშირსა ან ნატოში გაწევრიანების მიმართ რუსეთის მოქალაქეთა განწყობებში განსხვავებებს განაპირობებს ზოგადი პოლიტიკური შეხედულებები (პროდემოკრატიული, ლიბერალური თუ პროსაბჭოთა, კონსერვატიული), დამოკიდებულება რუსეთის არსებული პოლიტიკური კურსისა და ლიდერების მიმართ, ასევე მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაამყაროს რუსეთმა თანამედროვე ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მომხრეები თავიანთ მოსაზრებებს სამი ძირითადი არგუმენტით ამყარებენ. ერთი არგუმენტის მიხედვით, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების ევროპისგან მხარდაჭერა და მეზობელ ქვეყნებში ევროპული ღირებულებების გავრცელება გავლენას მოახდენს რუსეთში ცხოვრების ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციაზე, ასევე მოთოკავს რუსეთის აგრესიულ ნაბიჯებს თუ პოლიტიკის ძალმომრეობით ხასიათს.

„ეს დადებით გავლენას მოახდენს რუსეთზე. რაც უფრო ბევრი ქვეყანა იქნება ევროპული ღირებულებებით გაერთიანებული, მით უფრო შესაძლებელი იქნება რუსეთის ჭკუაზე მოყვანა. ეს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, სიკეთეა. თუ ქვეყანა ევროპას უერთდება, ეს ამ ქვეყნისთვის განვითარებას ნიშნავს. რაც უფრო ნაკლებად შეძლებს რუსეთი ამ ქვეყანას რამე დაუშავოს, გააფუჭოს, კორუმპირებულად აქციოს, მით უკეთესი ამ ქვეყნისთვის“ (46 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვიდან).

მეორე არგუმენტის თანახმად, რუსეთისთვის უფრო მნიშვნელოვანია ძალები შიდა პრობლემების გადაჭრისკენ მიმართოს, გაამყაროს ეკონომიკური მდგომარეობა და გახდეს მიმზიდველი სხვა ქვეყნებისთვის. ამ რესპონდენტთა აზრით, საგარეო პოლიტიკის საკითხები რუსეთს ამ მიზნისგან აშორებს, რესურსებს აფანტვინებს.

„ევროპის ნებისმიერი ქვეყანა ავიღოთ, რომელიც ევროკავშირის ან ნატოს წევრია. როგორ ზემოქმედებენ ისინი რუსეთის ეკონომიკაზე ან რუსეთის მოქალაქეების კეთილდღეობაზე? არანაირად! საქართველო თუ ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანდება, ის იქნება ძლიერი ქვეყანა რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან. რუსეთმა, პირველ რიგში, საკუთარი ხალხი უნდა დააპუროს, რაკეტებით კი არ კვებოს და შეიარაღდეს; მაშინ ხალხი უფრო შეიკვრება და უფრო დაიცავს ქვეყანას“ (55 წელზე მეტი ასაკის კაცი, არასრული უმაღლესი განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).

საქართველოს ევროკავშირსა თუ ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტის თანახმად, საჭიროა ახალი პოლიტიკა სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებთან ურთიერთობების დასამ-ყარებლად. ზოგ რესპონდენტს მიაჩნია, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას ყოფილ რესპუბლიკებთან რეინტეგრაციის ანდა განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობის იდეაზე და უფრო პრაგმატულ საფუძვლებზე დაამყაროს მათთან ურთიერთობები.

„ვფიქრობ, საქართველოს გადასაწყვეტია, კონკრეტულად ვისგან მიიღოს მხარდაჭერა. არა მგონია, რომ მათ ისევ რუსეთთან გაერთიანება გადაწყვიტონ. ქართული მენტალიტეტის ნაწილია, რომ ისინი დამოუკიდებლები და ამაყი ხალხი არიან. ამიტომაც რჩება საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად. მათ არ სჭირდებათ ისეთი მფარველი, როგორიც რუსეთია, რადგან რუსეთი ახლა სუსტი მფარველია. ვფიქრობ, მათ საკუთარი ძალების იმედი აქვთ“ (23 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, სამარიდან).

ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის მოქალაქეების მოსაზრება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ არ არის კონსოლიდირებული. რესპონდენტთა ნაწილის შეფასებით, ეს ურთიერთობები მეგობრულია: ძალიან მეგობრული - 6% და შედარებით მეგობრული - 43%. რუსეთის დანარჩენი მოსახლეობა მათ მტრულად მიიჩნევს (38%).
- რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი (თითქმის ერთი მესამედი) ვერ ხედავს კონკრეტულ დაბრკოლებებს რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეგობრული ურთიერ-თობების დამყარების გზაზე. იმ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც შეძლო კონკრეტული დაბრკოლების დასახელება, ასეთად მიიჩნევს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილს, ანდაც საქართველოს სხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. გამო-კითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაკუთვნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქ-ტები ორ ქვეყანას შორის არსებული მთავარი პრობლემების რიგს.
- საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეას რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა მკვეთ-რად ნეგატიურად ეკიდება - რესპონდენტთა 68% წინააღმდეგია, ხოლო 14% - მომხრე. უფრო დადებითია რუსეთის ყველა თაობის დამოკიდებულება ევროკავშირში საქართველოს გაწევ-რიანების მიმართ. თუმცა, უფროს თაობაში მომხრეებზე მეტია იმ ადამიანთა წილი, ვინც ეწინააღმდეგება ევროკავშირში საქართველოს გაერთიანებას. საპირისპიროა ეს შეფარდება რუსეთის ახალგაზრდებს შორის - ევროკავშირში საქართველოს გაერთიანების მომხრეთა წილი მოწინააღმდეგეთა წილს აღემატება.
- პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, საქართველო სასურველ ტურისტულ მიმართულებად რჩება: გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს სურს საქართველოს მონახულება. რუსეთის მეზობელ ქვეყნებს შორის საქართველო სამოგზაუროდ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა.

3.6. ტერიტორიული კონფლიქტები - ცოდნა და დამოკიდებულება

3.6.1. აფხაზეთის კონფლიქტი

რუსეთის მოქალაქეების წარმოდგენები აფხაზეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ სტატუსზე საკმაოდ ბუნდოვანია. გამოკითხულთა მეოთხედმა საერთოდ ვერ შეძლო აფხაზეთის სტატუსის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემა. რუსეთის მოქალაქეთა მესამედზე ოდნავ მეტი აფხაზეთს კვაზიდამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, ხოლო 20%-ს ეს რეგიონი რუსეთის ნაწილი ჰგონია. რესპონდენტთა მხოლოდ 15%-ს მიაჩნია აფხაზეთი რეალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

გრაფიკი 3.6.1. აფხაზეთის სტატუსი ახლა და 10 წლის შემდეგ - ეროვნული შერჩევა (%)



აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა განსაკუთრებით რუსეთის ახალგაზრდებს უჭირთ. სხვა მხრივ, რაიმე პრინციპული სხვაობა აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების მოსაზრებებს შორის არ გამოვლენილა.

აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით რაიმე არსებით ცვლილებას მომავალში არ ელოდება რუსეთის მოქალაქეების უმეტესობა. მხოლოდ 4% ფიქრობს, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება. არც იმ ადამიანთა წილია დიდი, ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთს მომავალში დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი ექნება - 16%. რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთის სტატუსი არ შეიცვლება და ის ან კვაზიდამოუკიდებელ ქვეყნად დარჩება, როგორიც დღესაა, ანდა რუსეთის ნაწილი გახდება (იხ. გრაფიკი 3.6.1.).

აფხაზეთის ამჟამინდელ სტატუსზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ბევრ რესპონდენტს ესმის, რომ ეს ტერიტორია დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურადაა და სინამდვილეში, მეტწილად რუსეთის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. თუმცა, ასეთი ვითარების მიზეზებად ზოგი რესპონდენტი ასახელებს სხვა ქვეყნების უარს, აღიარონ ამ ტერიტორიის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, ასევე - ამ ტერიტორიის ეკონომიკურ სისუსტეს.

მ.: რა პოლიტიკური სტატუსი აქვს ახლა აფხაზეთს? რამდენად დამოუკიდებელია ეს ტერიტორია?

„ეს ფორმალური დამოუკიდებლობაა“ (62 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვის ოლქიდან).

„მეც ასე ვფიქრობ“ (60 წლის ქალი, საშუალო განათლებით, სტავროპოლიდან).

„აბსოლუტურად ფორმალური. და ის მხოლოდ რუსეთის დოტაციებით ცხოვრობს. მათ პენსიებს უხდიან. მათ აქვთ უფლება, ჰქონდეთ უძრავი ქონება რუსეთში, რუსეთის მოქალაქეებს კი არა აქვთ უფლება, უძრავი ქონება შეიძინონ იქ. რუსეთის მოქალაქეებს საერთოდ არაფრის უფლება არა აქვთ აფხაზეთში. აფხაზები კი ორ ძროხას წველიან - რუსეთს და საქართველოს“ (59 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ვოლოგდიდან).

„ვფიქრობ, ეს დამოუკიდებლობა ფორმალურია, რადგან აფხაზეთი ვერ გადარჩება რუსეთის დახმარების გარეშე. იქ ყველაფერი მიგდებულია, ყველაფერი დანგრეული და საშინლად მიშვებულია. მოსახლეობის ნაწილი რუსეთის გავლენის და დახმარების მადლიერია, მეორე ნაწილი კი ნეგატიურად არის განწყობილი და არა მარტო რუსების, არამედ, საერთოდ, ტურისტების მიმართ. ამრიგად, მათ თან აქვთ დამოუკიდებლობა და თან არა აქვთ“ (29 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან სარატოვის ოლქში).

აფხაზეთის საშინაო მდგომარეობა. რუსეთის გამოკითხული მოქალაქეების მხოლოდ ნახევარს აქვს მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით ვითარდება ახლა აფხაზეთი და მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს სწორი მიმართულებაა.

გრაფიკი 3.6.2. აფხაზეთის განვითარების მიმართულება (%)



ფოკუსჯგუფების შედეგების მიხედვით, საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებმა გაცილებით მეტი იციან აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე, ვიდრე კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა, რომელთა შორისაც იყვნენ ისეთებიც, ვინც პირველად სწორედ ფოკუსჯგუფის დროს გაიგო ამ კონფლიქტის შესახებ. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულება აფხაზეთის კონფლიქტის მიმართ ძირითადად უცოდინარობა ან გულგრილობაა.

რესპონდენტები, ვისაც გარკვეული მოსაზრება აქვს ჩამოყალიბებული აფხაზეთის კონფლიქტზე, მის არსს ხედავენ აფხაზების სურვილში, მოიპოვონ დამოუკიდებლობა საქართველოს სახელმწიფოსგან, საქართველოს მხრიდან სხვა ერისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების სურვილის არქონაში და მხარეების მხრიდან კომპრომისზე წასვლის მზადყოფნის ნაკლებობაში. ამ კონფლიქტში ბევრისთვის ბუნდოვანი იყო რუსეთის როლი; ისინი ამის შესახებ ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული ანდა მიაჩნდათ, რომ რუსეთი კონფლიქტში შუამავლის და მშვიდობისმყოფელის როლს ასრულებდა, რათა საკუთარ საზღვრებთან არსებული კონფლიქტი დაერეგულირებინა.

„თუ არ მეშლება, საქართველოს აფხაზეთთან საზღვარი აქვს, ესე იგი, მათ რაღაც კონფლიქტი ჰქონდათ და ხალხი დაიღუპა. მე ასე მესმის, რომ იქ, საზღვარზე ან საზღვრისპირა ტერიტორიაზე, რაღაც სადავო მომენტი იყო და მერე კი ისე შემოაბრუნეს ყველაფერი, თითქოს რუსეთი შევიდა საქართველოში“ (32 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, კალინინგრადიდან).

დიდი ქალაქების მაცხოვრებელი რესპონდენტები მეტად ინფორმირებული არიან კონფლიქტის შესახებ, ვიდრე მცირე ზომის ქალაქების და სოფლის ტიპის დასახლებების წარმომადგენლები.

- მ.: გსმენიათ რამე აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ?

„ძალიან ზედაპირულად“ (29 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან სარატოვის ოლქში).

„არ მსმენია“ (25 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან მოსკოვის ოლქში).

„მსმენია, რომ აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა და რუსეთი დაეხმარა მას ჯარების შეყვანით. ქართველებმა მოაწყვეს აფხაზების გენოციდი, რეალურად ხალხს კლავდნენ. რუსეთმა კი სწორად იმოქმედა და ისარგებლა სიტუაციით მას შემდეგ, რაც ჩვენს მშვიდობისმყოფელებს ესროლეს“ (32 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან სვერდლოვსკის ოლქში).

„მხოლოდ ნაცნობების მონათხრობიდან ვიცი და საინფორმაციო პროგრამიდან მომისმენია, საზღვრები ჩაიკეტა, აფხაზეთი ჩაკეტეს. თავის მხრივ, ახლა აფხაზებმაც დაკეტეს საზღვარი საქართველოსთან“ (25 წლის ქალი, არასრული უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან სარატოვის ოლქში).

ფოკუსჯგუფების შედეგების მიხედვით, ძალიან მრავალგვარია იმ რესპონდენტთა დამოკიდებულება, ვინც შედარებით სიღრმისეულად იცოდა კონფლიქტის შესახებ. რესპონდენტთა ნაწილი მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას აფხაზეთის კონფლიქტის მიმართ, რასაც ხსნიდა სახელმწიფო ინტერესებით, საზღვარზე უსაფრთხოებით და სამშვიდობო არგუმენტებით, ასევე ჰუმანიტარული მიზნებით - დახმარების გაწევა აფხაზეთის ხალხისთვის, რომელსაც სხვა არავინ დაეხმარება.

„ჩემი დამოკიდებულება ქართველების და აფხაზების მიმართ ერთნაირია. მესმის, რომ მათ ერთმანეთთან პრობლემა აქვთ, რომლის გადაჭრაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ორჯერ მოხდა შეიარაღებული გზით - 2008 წელს და 1993 წელს. რაც შეეხება ჩვენს როლს ამ კონფლიქტში, ვფიქრობ, რომ ჩვენი როლი მნიშვნელოვანია, გადამწყვეტიც კი. დადებითად ვუყურებ ამას თუ არა? დიახ, როგორც რუსეთის მოქალაქე, დადებითად“ (დაახლოებით 25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სანქტ-პეტერბურგიდან).

ფოკუსჯგუფების ზოგიერთმა მონაწილემ აფხაზეთის საკითხში რუსეთის პოლიტიკა გააკრიტიკა, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევა და საფრთხე საქართველოს სუვერენიტეტისთვის.

„რუსეთმა ისარგებლა სიტუაციით, რომელიც იქ უკვე, რასაკვირველია, შექმნილი იყო. მაგრამ ჩვენ ეს სიტუაცია გამოვიყენეთ ჩვენი მიზნებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ეს სხვისი ტერიტორიაა, შევედით ამ უცხო ტერიტორიაზე. არ შეიძლება ქურდობა, ჩემი აზრით, ეს პირველი მცნებაა“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, ეკატერინბურგიდან).

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა კიდევ ერთი ნაწილი სხვა ქვეყნების საქმეებსა და კონფლიქტებში ჩაურევლობის პოლიტიკას ემხრობოდა („როცა ორი ჩხუბობს, მესამე არ უნდა ჩაერიოს“).

„მაგალითად, ორმა მეზობელმა სკანდალი მოაწყო, ხოლო მესამე ამ სკანდალში ერევა. ის ორი თავად შეძლებდა ერთმანეთში გარკვევას, მაგრამ ჩაერია მესამე და მორჩა, საშინელი ქარიშხალი დატრიალდა იქ. ზოგჯერ სხვის საქმეში არ უნდა ჩაერიო“ (დაახლოებით 60 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ინგუშეთიდან).

„ჩემი აზრით, სხვა სახელმწიფოების ამ ეთნიკურ კონფლიქტებში რუსეთმა, მაქსიმუმ, არბიტრის როლი უნდა შეასრულოს და არავითარ შემთხვევაში არ მიემხროს არც ერთ და არც მეორე მხარეს, უნდა ამაღლდეს სიტუაციაზე და თუ საჭირო იქნა, თავში ერთსაც ჩასცხოს და მეორესაც. საჭიროების შემთხვევაში, ისინი უნდა დასხას მოლაპარაკების მაგიდასთან, რომ შეთანხმდნენ, მოაგვარონ პრობლემა“ (25 წლამდე ასაკის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, მილიონიანი ქალაქიდან რუსეთის სამხრეთში).

რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. რაოდენობრივ გამოკითხვებში რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობა მომხრეა, რომ აფხაზეთს სახელმწიფო დონეზე გაეწიოს ფინანსური დახმარება.

გრაფიკი 3.6.3. სახელმწიფო ფინანსური დახმარება აფხაზეთისთვის - ეროვნული შერჩევა (%)

კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ფინანსური დახმარების სახელმწიფო დონეზე გაწევის მიმართ?



რუსეთის ფინანსურ დახმარებას რესპონდენტები დადებითად აღიქვამენ ორი მთავარი არგუმენტის გამო: მოსაზღვრე ტერიტორიებზე მშვიდობის შესანარჩუნებლად და ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

„ჩვენ თუ არ დავეხმარებით, მაშინ ხვალ ამ ტერიტორიაზე საზღვარი ჩვენკენ გადმოიწევს. მირჩევნია, ხანძარი შორს იყოს ჩემი სახლიდან, ვიდრე ჩემი სახლის კართან“ (60 წელზე მეტი ასაკის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვიდან).

„რა მოხდება, თუ ისინი გამოეყოფიან? მაგალითად, აფხაზეთის რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღიარეს, გახდნენ დამოუკიდებლები და თავისით ცხოვრობენ, რა მოხდება მერე იქ? თუ ისინი რუსეთის ორბიტაში არ მოხვდებიან, მაშინვე თურქეთის ანდა, ღმერთმა ნუ ქნას, ირანის ორბიტაში მოხვდებიან! (45 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ურალში).

„ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. ისინი ისეთ პირობებში არიან მოქცეული, არაღიარებული. ვინ დაეხმარება მათ? საქართველო მათ არ დაეხმარება. მაშ, ვინ? არც ევროკავშირი დაეხმარება“ (დაახლოებით 60 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, მცირე ზომის ქალაქიდან ვოლგისპირეთში).

მათ შორისაც, ვინც აფხაზეთისთვის ფინანსურ დახმარებას არ ემხრობა, ძალიან იშვიათად ისმოდა საერთაშორისო სამართლისა და უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის არგუმენტები. მთავარ მიზეზად სახელდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად ასეთი დახმარების მიმართ. რესპონდენტები საგანგებოდ აღნიშნავდნენ მის დაბალ ეფექტურობასა და არამიზნობრივ გამოყენებას.

„ეს რესპუბლიკა, მრავალი თვალსაზრისით, ბანდიტური რესპუბლიკაა; იქ უზარმაზარი თანხების გათეთრება ხდება. ამაზე კრიმინალისტური მიმოხილვა მაქვს წაკითხული. იქ კოლოსალური ფული შეედინება, რუსეთი დებს, მაგრამ ის ქვეყნის განვითარებას არ ხმარდება. ჯანდაცვის დონე კატასტროფულად დაბალია, იმ საავადმყოფოთი თუ ვიმსჯელებ, რომელიც იქ ყოფნის დროს ვნახე. უზარმაზარი თანხები, რასაც რუსეთი ხარჯავს ამ სატელიტის შესანახად, იფლანგება“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, ეკატერინბურგიდან).

„ჩვენი ქვეყანა კეთილია. ვისთვის არ გაგვიწევია დახმარება! ჩვენს ლუკმას ვუყოფთ სხვებს“ (60 წლის ქალი, საშუალო განათლებით, სტავროპოლიდან).

3.6.2. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი

რუსეთის მოქალაქეებს კიდევ უფრო ბუნდოვანი წარმოდგენები აქვთ სამხრეთ ოსეთის ახლანდელ პოლიტიკურ სტატუსზე, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში. გამოკითხულთა თითქმის ერთმა მესამედმა ვერ შეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რუსეთის მოქალაქეთა დაახლოებით მესამედი სამხრეთ ოსეთს მხოლოდ ფორმალურად დამოუკიდებელ რესპუბლიკად მიიჩნევს; 20%-ს კი ეს რეგიონი რუსეთის ნაწილი ჰგონია. სამხრეთ ოსეთი რეალურად დამოუკიდებელ ქვეყნად რესპონდენტების მხოლოდ 9%-ს მიაჩნია.

გრაფიკი 3.6.4. სამხრეთ ოსეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ეროვნული შერჩევა (%)



რუსეთის მოქალაქეების მოსაზრება სამხრეთ ოსეთის მომავალთან დაკავშირებით უფრო გამოკვეთილია, ვიდრე აფხაზეთის მომავალთან დაკავშირებით. რუსეთის მოქალაქეების დაახლოებით 30% ფიქრობს, რომ 10 წელიწადში სამხრეთი ოსეთი რუსეთის ნაწილი გახდება; დაახლოებით მეოთხედი (24%) მიიჩნევს, რომ იგი ახლანდელ, ფორმალური დამოუკიდებლობის, გაურკვეველ სტატუსს შეინარჩუნებს. ამ ტერიტორიის საქართველოსთან რეინტეგრაცია ნაკლებ სავარაუდოდ მიაჩნიათ (ამის მხოლოდ 4%-ს სჯერა), ისევე, როგორც მისი სრულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევა (11%). (იხ. გრაფიკი 3.6.4.)

სამხრეთ ოსეთის საშინაო მდგომარეობა. როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, რუსეთის გამოკითხული მოქალაქეების დაახლოებით ნახევარს აქვს მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით ვითარდება სამხრეთ ოსეთი და მათ უმრავლესობას ეს მიმართულება სწორად მიაჩნია.

გრაფიკი 3.6.5. სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულება (%)



ფოკუსჯგუფების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ, მთლიანობაში, რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სიტუაციების ერთგვაროვანი აღქმა აქვთ. ამ კონფლიქტების და ბოლო წლებში ამ ტერიტორიებზე ცხოვრების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია, იშვიათად შუქდება საინფორმაციო პროგრამებში.

მ.: რა იცით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შესახებ და როგორი დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ?

რ.: „მათ რამე კონფლიქტი აქვთ?“ (30 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სტავროპოლიდან)

რ.: „მგონი, იყო რაღაც, ოღონდ ახლა კი არა, არამედ რამდენიმე წლის წინ“ (29 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სარატოვიდან)

რ.: „მათ იქ მუდმივად კონფლიქტი აქვთ. ყოველთვის ვიღაცასთან კონფრონტაციაში, რაღაცის გარკვევაში არიან, კიდევ უფრო მეტის წაგლეჯა უნდათ. ახლანდლის შესახებ ვერაფერს ვიხსენებ, მაგრამ ერთი სამი წლის წინ კი მესმოდა რაღაც შეიარაღებულ მოქმედებებსა და ტერიტორიის დაპყრობაზე“ (36 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, მოსკოვის ოლქიდან).

მ.: ვისია ეგ ტერიტორია? ვინ იპყრობდა და რა ტერიტორიას იპყრობდა?
რ.: „მათ, მგონი, ჩრდილოეთ ოსეთში შეჭრა უნდოდათ“ (30 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, სტავროპოლიდან).

კონფლიქტების მიზეზებად ფოკუსჯგუფის მონაწილეები სამხრეთ ოსეთის ხალხსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებულ შიდა პრობლემებს ასახელებენ, ხოლო რუსეთის როლს, ძირითადად, უკვე მომწიფებული და დაწყებული კონფლიქტების მოგვარებაში ხედავენ.

„1991-1992 წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან შექმნილ ვითარებაში საქართველო მოიქცა ისე, როგორც არ უნდოდა, რომ საბჭოთა კავშირი მას მოჰქცეოდა, ისეთივე მიკროიმპერიის მსგავსად, როგორზეც ჩიოდა, რომ მას ჩაგრავდა. თავად კი ზუსტად ისევე და კიდევ უფრო უარესად ცდილობდა აფხაზების და ოსების შეკავებას, ნაცვლად იმისა, რომ მათ მოლაპარაკებოდა“ (46 წლის კაცი, საშუალო პროფესიული განათლებით, დონის როსტოვიდან).

ფოკუსჯგუფებში დისკუსიამ აჩვენა, რომ რუსეთის მოქალაქეებს შედარებით მეტი ინფორმაცია აქვთ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ, ვიდრე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტზე, რომელზეც მათ უაღრესად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ფოკუსჯგუფების ბევრ რესპონდენტს გაუჭირდა მიხვედრა, რა სახის კონფლიქტზე იყო საუბარი და ვინ იყო ამ კონფლიქტში ჩართული. ზოგიერთი მათგანი საერთოდ ვერ ასხვავებდა ჩრდილოეთ ოსეთს სამხრეთ ოსეთისგან.

აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის წყაროები მრავალგვარია, მაგალითად, ოფიციალური მედია, იმ ადამიანთა პირადი შთაბეჭდილებები, ვინც აფხაზეთშია ნამყოფი და აფხაზეთიდან შემოტანილი პროდუქტების შესახებ არსებული ცოდნა (მანდარინი და სხვა ხილი). სამხრეთ ოსეთის შესახებ ინფორმაციის წყაროები კი რუსეთის მოქალაქეებს გაცილებით უფრო ცოტა აქვთ - ტერიტორიაზე ცოტა ვინმე თუ შედის, პირადი ინფორმაცია მწირია. ამიტომ ხალხი ძირითადად მასმედიას ეყრდნობა, მაგრამ სამხრეთი ოსეთი არც ისე ხშირად ხვდება ახალ ამბებში.

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, რესპონდენტთა უმრავლესობა კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის ინიციატორად, აგრესორად საქართველოს მიიჩნევს. არსებითი როლი შეასრულა საომარი მოქმედებების დაწყების დრომ - 2008 წლის აგვისტო, ანუ საზაფხულო შვებულებებისა და პეკინის ზაფხულის ოლიმპიადის პერიოდმა. ეს ფაქტორები ამძაფრებს კონფლიქტის აღქმას და საქართველოს დადანაშაულების დამატებით საბაბს ქმნის.

„ოლიმპიადა მიმდინარეობდა, როცა ეს ყველაფერი მოხდა. ოლიმპიადის დროს ასეთი რამეების მოწყობა არის ნონსენსი. თან თავიდან რუსეთი დაადანაშაულეს, თითქოს ჩვენ დავიწყეთ იქ სროლა. სინამდვილეში კი, ყველაფერი სრულიად საპირისპიროდ იყო“ (დაახლოებით 60 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, საშუალო ზომის ქალაქიდან ვოლგისპირეთში).

კვლევის ზოგიერთი მონაწილის წარმოდგენაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი ისტორიულად ერთიანი მონოეთნიკური წარმონაქმნია, რომელიც ხელოვნურად არის გაყოფილი. ამის გამო რესპონდენტები რუსეთის ჩარევას უფრო გამართლებულად მიიჩნევენ, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში. ზოგს სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის „გაერთიანება“ ბუნებრივ და სამართლიან გამოსავლად მიაჩნია.

„ეს არის გაყოფილი ოსი ხალხი, რომელიც როკის გვირაბით გაყვეს. როკის გვირაბს აქეთ ჩრდილოეთი ოსეთია, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია, ხოლო გვირაბის მეორე მხარეს - სამხრეთი ოსეთი. მაგრამ ეს ერთი ხალხია. საქართველოსთან მხოლოდ საბჭოეთი აკავშირებს, თავის დროზე [საქართველოს] სტალინმა მიუერთა“ (დაახლოებით 60 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, საშუალო ზომის ქალაქიდან ცენტრალურ რუსეთში).

თუმცა, ზოგ რესპონდენტს, ვინც უფრო ღრმად ინტერესდება ამ საკითხით, სრულიად განსხვავებული მოსაზრებები და მონაცემები აქვს კონფლიქტის მიზეზების, ინიციატორებისა და შედეგების თაობაზე:

„ახლანდელი სამხრეთი ოსეთი საქართველოს ყოფილი ტერიტორიაა; ოდესღაც ამ ტერიტორიას სამაჩაბლო ერქვა. 20-იან წლებში იქ სულ 2-3 სოფელი იყო ოსებით დასახლებული. ერთ დროს მათ ეს ტერიტორია და საცხოვრებელი გამოუყვეს, იქ განასახლეს. რა თქმა უნდა, მათ რაოდენობრივად მოიმატეს და გაძლიერდნენ ჩრდილოელი მეზობლის დახმარებით, გაჩნდა სეპარატისტული განწყობები. აი, როგორ წარმოიშვა სამხრეთი ოსეთი. ეს საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა და იქ რაიმეს წამოწყება, სულ ცოტა, არაკეთილსინდისიერებაა ოსების მხრიდანაც კი“ (55 წელზე მეტი ასაკის კაცი, არასრული უმაღლესი განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).

ფოკუსჯგუფების მონაწილეთაგან პრაქტიკულად არცერთს არა აქვს კონკრეტული მოსაზრება, თუ როგორია დღეს რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში და რა პოლიტიკის გატარება იქნებოდა უკეთესი ამ ტერიტორიის მიმართ.

რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობა მომხრეა, რომ სამხრეთ ოსეთს სახელმწიფო დონეზე გაეწიოს ფინანსური დახმარება.

გრაფიკი 3.6.6. სამხრეთ ოსეთისთვის სახელმწიფო ფინანსური დახმარება – ეროვნული შერჩევა (%)

კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისთვის. ფინანსური დახმარების სახელმწიფო დონეზე გაწევის მიმართ?



3.6.3. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზე შეხედულებების შედარება

სამხრეთ ოსეთის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ რუსეთის მოქალაქეებმა შედარებით ნაკლები იციან, ვიდრე აფხაზეთის მდგომარეობაზე (სამხრეთ ოსეთის სტატუსის შეფასება გაუჭირდა გამოკითხულთა 33%, ხოლო აფხაზეთის სტატუსის - 26%-ს). დანარჩენ ასპექტებში რუსეთის მოქალაქეებს მსგავსი მოსაზრებები აქვთ ამ ორი ტერიტორიის სტატუსების შესახებ.

გრაფიკი 3.6.7. მოსაზრებების შედარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელ სტატუსზე (%)



ძალიან მსგავსია რუსეთის მოქალაქეთა შეფასება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულების შესახებ. რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს არანაირი მოსაზრება არა აქვს ამ საკითხზე. დანარჩენი რესპონდენტების უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ ეს ტერიტორიები სწორი მიმართულებით ვითარდება.

გრაფიკი 3.6.8. რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრებების შედარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელი განვითარების მიმართულების შესახებ (%)



ამ ორი ტერიტორიის მომავლის შესახებ რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრებების განაწილებაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რესპონდენტთა მესამედზე ოდნავ ნაკლებს მიაჩნია, რომ ეს ტერიტორიები მომდევნო 10 წლის განმავლობაში რუსეთს შეუერთდება; რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი ახლანდელი მდგომარეობის, კვაზიდამოუკიდებელი სტატუსის შენარჩუნებას ვარაუდობს. რეალურად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აფხაზეთის ხილვის მოლოდინი გამოკითხულთა 16%-ს აქვს, ხოლო სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში - 11%-ს. ამ საკითხებზე განსხვავება რუსეთის სხვადასხვა თაობის მოქალაქეთა მოსაზრებებს შორის მცირეა. გეოგრაფიული განსხვავებებიც სტატისტიკურად უმნიშვნელოა.

გრაფიკი 3.6.9. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი 10 წლის შემდეგ - სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრება (%)



ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის მოსახლეობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ მდგომარეობას ძალიან ერთგვაროვნად ეკიდება. ინფორმირება აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთ ოსეთის შესახებ. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს წარმოდგენა არა აქვს სამხრეთ ოსეთის ახლანდელ სტატუსზე, მეოთხედს კი - აფხაზეთის სტატუსზე. ამ ტერიტორიებს რესპონდენტთა მესამედზე ოდნავ მეტი კვაზიდამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ხოლო მეხუთედი რუსეთის ნაწილად მიიჩნევს. სრულად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათ რუსი რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს: აფხაზეთს - გამოკითხულთა 15%, ხოლო სამხრეთ ოსეთს - 9%.
- იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, ვისაც გარკვეული წარმოდგენები აქვს ამ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის შესახებ, ფიქრობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სწორი მიმართულებით ვითარდებიან.
- მომდევნო 10 წლის განმავლობაში რაიმე არსებით ცვლილებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მომავალ სტატუსში რუსეთის მოქალაქეების უმეტესობა არ ვარაუდობს. მხოლოდ გამოკითხულთა 4%-ს ჰგონია, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან. არც იმ რესპონდენტთა წილია დიდი, ვისაც ამ ტერიტორიების მომავალი დამოუკიდებელი სტატუსისა სჯერა - 16% აფხაზეთის და 11% - სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში. რუსეთის მოქალაქეების დაახლოებით მეოთხედი მიიჩნევს, რომ ეს ტერიტორიები კვაზიდამოუკიდებელ სახელმწიფოებად დარჩებიან, ხოლო დაახლოებით 30% მოელის, რომ ისინი რუსეთს შეუერთდებიან.

3.7. ჩრდილოეთი კავკასია - ცოდნა და დამოკიდებულება

საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიაში

საქართველოსა და საქართველოს მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უკეთესია ჩრდილოეთ კავკასიაში, ვიდრე, საშუალოდ, რუსეთში. თუ რუსეთში მოქალაქეთა დაახლოებით ნახევარი საქართველოს მიმართ ნეიტრალური ან გულგრილია, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში „გულ-გრილთა“ წილი გაცილებით ნაკლებია და მეოთხედსა და მესამედს შორის მერყეობს რესპუბლიკების მიხედვით.

ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში არიან - ამ რესპუბლიკების რესპონდენტთა 60%-ზე მეტის დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის მი-მართ დადებითია. დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში დადებითი შეფასებები გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს ჰქონდა.

ცხრილი 3.7.1. დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, % ძალიან ან საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება

	რუსეთი მთლიანად	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ჩეჩნეთი	ჩრდილოეთი ოსეთი - ალანია
სულ	38%	51%	61%	50%	63%	47%
ასაკი						
18-34	42%	45%	61%	57%	61%	52%
35-54	34%	55%	56%	48%	64%	45%
55 და მეტი	38%	55%	66%	46%	66%	46%
ურბანიზაცია						
დიდი ქალაქები	40%	55%				
საშუალო ზომის ქალაქები	37%	42%	72%	50%	74%	48%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	36%	51%	57%	51%	60%	47%

განსხვავება საქართველოს მოსახლეობის და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულე-ბებს შორის ნაკლებია ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში, ვიდრე, საშუალოდ, რუსეთში (ეს განსხვავება უმნიშვნელოა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, შედარებით მეტია ინგუშეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში). გამონაკლისს ჩრდილოეთ ოსეთი წარმოადგენს, სადაც საქართველოს მოსახლეობის მიმართ დადები-თადაა განწყობილი რესპონდენტთა 47%, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მიმართ - მხოლოდ 38%.

ცხრილი 3.7.2. დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, % ძალიან ან საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება

	რუსეთი მთლიანად	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ჩეჩნეთი	ჩრდილოეთი ოსეთი - ალანია
სულ	30%	49%	56%	44%	61%	38%
ასაკი						
18-34	33%	47%	60%	49%	58%	46%
35-54	28%	49%	49%	43%	62%	33%
55 და მეტი	29%	53%	60%	40%	67%	36%
ურბანიზაცია						
დიდი ქალაქები	29%	57%				
საშუალო ზომის ქალაქები	28%	39%	63%	44%	64%	39%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	31%	47%	54%	44%	60%	38%

ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში საქართველოს მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულებებს შორის ასაკობრივი სხვაობა გამოვლინდა ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში - ამ რესპუბლიკებში ახალგაზრდები უფრო კეთილგანწყობილი არიან ქართველების მიმართ, ვიდრე უფროსი თაობის ხალხი. დაღესტანსა და ჩეჩნეთში ვითარება საპირისპიროა.

ფოკუსჯგუფებში ჩრდილოკავკასიელი რესპონდენტები საქართველოს ასახელებდნენ რუსეთისთვის ყველაზე ახლობელ ქვეყნებს შორის. ამ რეგიონის მოსახლეობის მენტალურ რუკაზე საქართველოს ადგილი ძალიან ახლოა რუსეთთან. რუსეთის სხვა რეგიონებში ასეთი დონის სიახლოვის შესახებ მოსაზრება პრაქტიკულად არავის გამოუთქვამს.

საქართველოს საშინაო საქმეების შესახებ ინფორმირების დონე ჩრდილოეთ კავკასიის რეს-პუბლიკებში. ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში საქართველოს მიმართ ძირითადად დადებითი განწყობის მიუხედავად, საქართველოს ცხოვრების შესახებ ინფორმირების დონის სუბიექტური შეფასება ამ რესპუბლიკებში არ არის მაღალი და დიდად არ განსხვავდება საშუალო შეფასებისგან რუსეთში: საქართველოს შესახებ სრულად ან ძირითადად ინფორმირებულად ჩრდილოეთ კავკასიის ხუთ რესპუბლიკაში თავს გამოკითხულთა, საშუალოდ, 13% მიიჩნევს.

> *„ერთადერთი, რაც საქართველოს შესახებ ვიცი, ეროვნული კერძებია, ვინაიდან კერძების მომზა-დება მიყვარს. სხვა მხრივ კი, გულახდილად ვიტყვი, არ დავინტერესებულვარ“ (31 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).*

საქართველოს ცხოვრების შესახებ უფრო ინფორმირებულად თავს ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა მიიჩნევს, მაგრამ იქაც ნაწილობრივ ინფორმირებულებიც კი უმცირესობას წარმოადგენენ - სრულად ან ძირითადად ინფორმირებულთა რიცხვი 26%-ს შეადგენს. სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უფრო ინფორმირებულია ინგუშეთიც - გამოკითხულთა 17% ფიქრობს, რომ საქართველოს შესახებ ისინი ძალიან ან საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებული.

ცხრილი 3.7.3. რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში,
% ძალიან ან საკმაოდ კარგად ინფორმირებული

	რუსეთი მთლიანად	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ჩეჩნეთი	ჩრდილოეთი ოსეთი - ალანია
სულ	14%	11%	17%	13%	9%	26%
ასაკი						
18-34	11%	7%	22%	9%	7%	25%
35-54	16%	11%	14%	11%	12%	31%
55 და მეტი	13%	19%	14%	19%	10%	23%
ურბანიზაცია						
დიდი ქალაქები	17%	12%				
საშუალო ზომის ქალაქები	16%	11%	23%	17%	12%	25%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	10%	11%	15%	11%	8%	27%

ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის ისევე, როგორც მთლიანად რუსეთის მოქალაქეებისთვის, საქართველოს შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო ტრადიციული მედიაა. თუმცა, რუსეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვან როლს პერსონალური ურთიერთობები ასრულებს. საქართველოს შესახებ ინფორმაციის პირადი წყაროების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ჩრდილოეთ ოსეთში - რესპონდენტთა მესამედი სწორედ ამ წყაროდან იღებს ინფორმაციას საქართველოზე.

ცხრილი 3.7.4. ინფორმაცია და კომუნიკაცია საქართველოსთან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში (%)

	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ჩეჩნეთი	ჩრდილოეთი ოსეთი - ალანია
ინფორმაციის წყაროები					
ტრადიციული მედია	73%	64%	75%	73%	70%
სოციალური ქსელები	22%	26%	19%	22%	18%
პირადი ურთიერთობა	15%	21%	21%	27%	36%
სხვა წყაროები	2%	1%	1%	2%	1%
არ ვიცი/უარი პასუხზე	4%	11%	6%	7%	4%
პირადი ურთიერთობა ბოლო 10 წლის განმავლობაში					
ძალიან ხშირად	9%	9%	10%	7%	31%
ზოგჯერ	13%	19%	19%	13%	24%
მხოლოდ რამდენჯერმე	25%	25%	19%	16%	16%
არასდროს ან არ ვიცი/უარი პასუხზე	53%	47%	52%	64%	29%
გიხდებოდათ საქართველოში ყოფნა					
დიახ	8%	6%	7%	7%	15%

საქართველოს მოსახლეობასთან ყველაზე ხშირი და ინტენსიური პირადი კონტაქტები აქვთ რესპონდენტებს ჩრდილოეთ ოსეთიდან - 72%-ს ზოგჯერ მაინც ჰქონია პირადი ურთიერთობა საქართველოს მოქალაქეებთან, 31%-ს ასეთი ურთიერთობა ძალიან ხშირად აქვს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში გამოკითხულთა 15%-ია ნამყოფი.

დანარჩენი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მოსახლეობა გაცილებით იშვიათად ურთიერთობს ქართველებთან. ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, **ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობის ურთიერთობების სიხშირე ოდნავ აღემატება** რუსეთის სხვა რეგიონების მოსახლეობისას.

დამოკიდებულება საქართველოს საშინაო პოლიტიკის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთში შეადგინა უმრავლესობა იმ ადამიანთა წილმა, რომლებსაც კონკრეტული მოსაზრება აქვთ ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების მიმართულების შესახებ. ამასთან, ამ მიმართულების უარყოფითი შეფასების წილი საკმაოდ აღემატება დადებითი შეფასების წილს. ყაბარდო-ბალყარეთსა და დაღესტანში საქართველოს განვითარების მიმართულების შეფასებები რუსეთის საშუალო მაჩვენებლების მსგავსია. ინგუშეთსა და ჩეჩნეთში მნიშვნელოვნად მეტია იმ ადამიანთა წილი, ვინც დადებითად აფასებს საქართველოს განვითარებას, ვიდრე უარყოფითად.

ცხრილი 3.7.5. რა მიმართულებით ვითარდება ახლა საქართველო - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები (%)

	სწორი მიმართულება	არასწორი მიმართულება	არ ვიცი/უარი პასუხზე
მთლიანად რუსეთი	21%	27%	52%
რესპუბლიკები			
ყაბარდო-ბალყარეთი	22%	26%	52%
დაღესტანი	25%	20%	55%
ინგუშეთი	34%	12%	54%
ჩრდილოეთ ოსეთი	23%	38%	39%
ჩეჩნეთი	35%	8%	57%

ჩრდილოკავკასიელების მოსახლეობის მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე დგას ახლა საქართველო, მთლიანობაში ძალიან ჰგავს რუსეთის სხვა რეგიონების მოსახლეობის მოსაზრებებს. ძირითად გამოწვევებად სახელდება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, შემდეგ - ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან და ჯანდაცვის პრობლემები.

> *„საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველო ძალიან ძლიერი სახელმწიფო იყო, განვითარებული წარმოებით, კულტურით. ბოლო დროს ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები მოვიდნენ, რომლებსაც არ სურთ, რომ ხალხმა სიკეთესა და მშვიდობაში იცხოვროს; ისინი შორდებიან ხალხს და ხალხს შიშში ამყოფებენ. ადამიანები ნაწყენი არიან ხელისუფლებაზე, რადგან მათ არ ეძლევათ თავისუფლად ურთიერთობის, სხვებთან შეხვედრის, მათთვის საკუთარი კულტურის ჩვენების, თავისუფალი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა. ხალხი სიღარიბეში ცხოვრობს, მაგრამ ხელისუფლებას ეს არ ადარდებს“ (66 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).*

ცხრილი 3.7.6. საქართველოს წინაშე არსებული მთავარი პრობლემები და საფრთხე - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მოქალაქეთა მოსაზრებები (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მაქსიმუმ 3 პასუხი

	ეკონომიკური და სოციალური პრობლემები	პრობლემები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან	მოსახლეობის ჯანმრთელობა, კოვიდი	სხვა საფრთხე, რომელიც ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება	ადამიანის უფლებების დაცვა	დანაშაულის ზრდა
რუსეთი მთლიანად	30%	25%	19%	10%	10%	6%
რესპუბლიკები						
ყაბარდო-ბალყარეთი	27%	14%	16%	5%	12%	3%
დაღესტანი	26%	17%	20%	7%	7%	5%
ინგუშეთი	26%	23%	28%	10%	10%	5%
ჩრდილოეთ ოსეთი	32%	23%	20%	9%	11%	6%
ჩეჩნეთი	18%	16%	16%	7%	6%	3%

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფებას სხვადასხვანაირად აღიქვამენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ჩრდილოეთ ოსეთში ამ იდეის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ორჯერ აღემატება მომხრეთა რაოდენობას („მომხრე“ - 26%, „წინააღმდეგი“ – 49%). დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების იდეას შედარებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე საშუალოდ მთელ რუსეთში, მაგრამ არცერთ ამ რესპუბლიკაში მხარდამჭერთა წილი არ ჭარბობს (მაქსიმუმ 42% - ჩეჩნეთში). ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, პრაქტიკულად, რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონების ანალოგიურია (31% მომხრეა, ხოლო 43% - წინააღმდეგი).

რუსეთის სხვა რეგიონების მსგავსად, **საქართველოს ნატოში გაწევრიანების** მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში: ხუთი რესპუბლიკის საშუალო მონაცემებით, ამ იდეას ეწინააღმდეგება 57% და ემხრობა 18%. შედარებით უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს საქართველოს ამ მისწრაფებას ჩეჩნეთში, თუმცა ისინი იქაც უმცირესობას წარმოადგენენ (24% - მომხრე და 46% - წინააღმდეგი).

ცხრილი 3.7.7. საქართველოს მისწრაფება, გახდეს ევროკავშირის/ნატოს წევრი - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში,
% ძალიან ან საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება

	რუსეთი მთლიანად	დაღესტანი	ინგუშეთი	ყაბარდო-ბალყარეთი	ჩეჩნეთი	ჩრდილოეთ ოსეთი
საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში						
სულ	30%	39%	38%	31%	42%	26%
ასაკი						
18-34	44%	52%	42%	46%	47%	42%
35-54	29%	33%	36%	26%	37%	19%
55 და მეტი	22%	25%	34%	20%	41%	20%
ურბანიზაცია						
დიდი ქალაქები	33%	40%				
საშუალო ზომის ქალაქები	32%	22%	28%	36%	40%	28%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	27%	41%	41%	28%	42%	25%
საქართველოს გაწევრიანება ნატოში						
სულ	14%	18%	20%	15%	24%	12%
ასაკი						
18-34	28%	32%	29%	27%	30%	24%
35-54	12%	15%	16%	11%	18%	9%
55 და მეტი	6%	2%	9%	7%	22%	2%
ურბანიზაცია						
დიდი ქალაქები	17%	18%				
საშუალო ზომის ქალაქები	15%	20%	16%	23%	27%	14%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	11%	18%	21%	12%	24%	9%

ზოგადად, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის მიმართ ჩრდილოკავკასიელების დიდი ნაწილი გულგრილია. ამ ხუთ რესპუბლიკაში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოსაზრება არა აქვს ჩამოყალიბებული რესპონდენტთა, საშუალოდ, 30%-ს, ხოლო საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე - 24%-ს.

მ.: თუ გსმენიათ საქართველოს გეგმებზე, გაწევრიანდეს ევროკავშირში?
რ.: „მგონი, რაღაც მაგის მსგავსი მსმენია“ (43 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).
რ.: „ისინი, მგონი, უკვე არიან ევროკავშირში. ასე არაა?“ (32 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შეფასება უფრო დადებითია ჩრდილოეთ კავკასიის ხუთივე რესპუბლიკაში, ვიდრე რუსეთის სხვა რეგიონებში. გამონაკლისს ჩრდილოეთ ოსეთი წარმოადგენს, რომლის მოსახლეობის მოსაზრება ემთხვევა რუსეთის სხვა რეგიონების მოსახლეობის მოსაზრებას. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს განსაკუთრებით პოზიტიურად ინგუშეთის და დაღესტნის მოსახლეობა აღიქვამს.

დაღესტანში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ახალგაზრდა თაობა გაცილებით პოზიტიურად აფასებს, ვიდრე უფროსი თაობა. ჩეჩნეთში კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს პოზიტიურად უფრო ხშირად უფროსი ასაკის რესპონდენტები აფასებენ.

ცხრილი 3.7.8. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები (%)

	რუსეთი მთლიანად		**დაღესტანი**		**ინგუშეთი**		**ყაბარდო-ბალყარეთი**		**ჩეჩნეთი**		**ჩრდილოეთი ოსეთი**	
	მეგობრული	**მტრული**	**მეგობრული**	**მტრული**	**მეგობრული**	**მტრული**	**მეგობრული**	**მტრული**	**მეგობრული**	**მტრული**	**მეგობრული**	**მტრული**
სულ	49%	38%	66%	19%	69%	17%	59%	24%	60%	19%	51%	37%
ასაკი												
18-34	57%	31%	70%	12%	85%	9%	73%	13%	55%	21%	56%	37%
35-54	46%	40%	62%	26%	60%	23%	50%	31%	62%	17%	47%	36%
55 და მეტი	46%	41%	66%	20%	56%	22%	54%	28%	66%	16%	49%	36%
ურბანიზაცია												
დიდი ქალაქები	44%	42%	63%	24%								
საშუალო ზომის ქალაქები	47%	42%	60%	22%	76%	14%	56%	27%	66%	18%	49%	37%
მცირე ზომის ქალაქები და სოფლები	54%	32%	68%	17%	67%	18%	60%	23%	58%	19%	52%	37%

ფოკუსჯგუფის ჩრდილოკავკასიელი მონაწილეები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს უფრო მეტად განიხილავენ, როგორც თანასწორსა და ორმხრივად მომგებიანს და ამ ურთიერთობების პერსპექტივებს ბევრად უფრო ოპტიმისტურ შეფასებას აძლევენ, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებში.

> *„მიმაჩნია, რომ რუსეთისთვის მომგებიანია საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება. საქართველოსთვის მით უფრო მომგებიანია მეგობრული ურთიერთობები რუსეთთან, რადგან ჩვენ კავშირები დიდი ხანია დამყარებული გვაქვს, უბრალოდ, ძალაუფლების მქონე კონკრეტულმა ადამიანებმა ეს დროებით გააფუჭეს. ამან არ უნდა იქონიოს გავლენა ერთი ერის ხალხის ურთიერთობაზე მეორე ერის ხალხთან. ხალხი ყოველთვის სიკეთის, მშვიდობის, მეგობრობის მომხრეა“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).*

> *„ვფიქრობ, საქართველო ძალიან კარგი და საიმედო მეზობელია. მთავარია, არ ჩაერიო მის შიდა საქმეებში. და მე მხოლოდ რუსეთს არ ვგულისხმობ, არამედ სხვა ქვეყნებსაც“ (დაახლოებით 55 წლის კაცი. არასრული უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).*

ჩრდილოკავკასიელთა დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მიმართ

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არსებული მდგომარეობის შეფასებები მრავალფეროვანია. ჩრდილოეთ ოსეთში გამოკითხულთა ერთი მეოთხედი, ანუ მეტი, ვიდრე რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ სხვა რეგიონში, მიიჩნევს, რომ აფხაზეთი სრულად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. დაღესტანში რესპონდენტთა მესამედზე მეტმა თქვა, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენელი ნაწილია. ინგუშეთში ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ვერ შეძლო აფხაზეთის არსებული სტატუსის განსაზღვრა (39%).

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობას ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს აფხაზეთის კონფლიქტის, ამ კონფლიქტის მიზეზებისა და მასში რუსეთის როლის შესახებ.

მ.: გვითხარით, რა იცით აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ?

„მთიან ყარაბაღს გულისხმობთ“? (31 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).

„რაღაც მსმენია, დიდი ხნის წინ. მგონი, ახლა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. [როგორ გახდა დამოუკიდებელი?] აი, არ მახსოვს. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და არ ჩავღრმავებივარ ამ ისტორიას. მგონი, რაღაც ოსეთთან მოხდა, თუ არ ვცდები. შესაძლოა, მეშლება“ (30 წლის კაცი, საშუალო განათლებით, დაღესტნიდან).

„მაინცდამაინც ვერც მე ვერკვევი, მაგრამ გაგონილი მაქვს, რომ ეს საქართველოს ტერიტორია იყო და ამ ტერიტორიისთვის რუსეთი და საქართველო იბრძოდნენ. საქართველოს ამ ტერიტორიის შენარჩუნება უნდოდა, ხოლო რუსეთს მისი წართმევა“ (32 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

„კი, მსმენია. მგონი, საქართველოს ტერიტორიაა, თუ რაღაც ამდაგვარი. ახლა გაურკვეველი მდგომარეობაა და მგონი, მის დამოუკიდებლობას რუსეთი უჭერს მხარს. ჩემი ცოდნა ამ საკითხის შესახებ ძალიან ბუნდოვანია“ (43 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ინგუშეთიდან).

ფოკუსჯგუფების ის მონაწილეები, რომლებსაც სმენიათ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ, მის ერთ-ერთ მთავარი მიზეზად ასახელებენ აფხაზების სწრაფვას მოიპოვონ დამოუკიდებლობა.

„ალბათ, მათ მეტი მიწა უნდათ. აფხაზეთის მიტაცება უნდათ, ამიტომაც აქვთ მათ მტრობა. [ქართველებს უნდათ აფხაზეთის მიტაცება, ამას გულისხმობთ?] ალბათ. მე ასე ვფიქრობ...“ (დაახლოებით 60 წლის ქალი, საშუალო პროფესიული განათლებით, დაღესტნიდან).

„აფხაზეთს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა უნდა“ (60 წელზე უფროსი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით).

ის რესპონდენტები, ვინც აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იცოდნენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩეჩნეთის ფორმირებების მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

„მსმენია, რომ აფხაზეთის ომში დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა კავკასიელებმა - ჩეჩნებმა“ (32 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

აფხაზეთის დღევანდელ სტატუსზე საუბარი რესპონდენტებს გაუჭირდათ - მათ კარგად არ ესმოდათ ამ სტატუსის იურიდიული საფუძველი; ამბობდნენ, რომ ეს ტერიტორია საქართველოდან გამოყოფას ცდილობს, რაშიც მას რუსეთი ეხმარება.

„აფხაზეთი დამოუკიდებელი, თვითმმართველი სახელმწიფოა. ცხადია, საგარეო მხარდაჭერით. რუსეთმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა“ (30 წლის კაცი, საშუალო განათლებით, დაღესტნიდან).

„მგონი, საქართველოს ყოფილი ტერიტორიაა, თუ რაღაც ასეთი. ისინი გაურკვეველ მდგომარეობაში არიან, მათ სუვერენიტეტს რუსეთი უჭერს მხარს. ამის შესახებ ძალიან ბუნდოვნად ვიცი“ (დაახლოებით 40 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ინგუშეთიდან).

ცხრილი 3.7.9. აფხაზეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა მოსაზრებები (%)

	აფხაზეთის სტატუსი დღეს				
	სრულად დამოუკიდებელი სახელმწიფო	**კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო**	**საქართველოს ნაწილი**	**რუსეთის ნაწილი**	**არ ვიცი/ უარი პასუხზე**
რუსეთი მთლიანად	15%	35%	4%	20%	26%
რესპუბლიკები					
ყაბარდო-ბალყარეთი	14%	28%	5%	27%	26%
დაღესტანი	9%	22%	6%	35%	28%
ინგუშეთი	7%	31%	9%	14%	39%
ჩრდილოეთ ოსეთი	25%	21%	5%	23%	26%
ჩეჩნეთი	14%	18%	6%	20%	42%
	აფხაზეთის სტატუსი 10 წლის შემდეგ				
რუსეთი მთლიანად	16%	23%	4%	29%	28%
რესპუბლიკები					
ყაბარდო-ბალყარეთი	17%	16%	2%	41%	24%
დაღესტანი	12%	18%	5%	40%	25%
ინგუშეთი	13%	13%	8%	18%	48%
ჩრდილოეთი ოსეთი	18%	11%	3%	40%	28%
ჩეჩნეთი	15%	9%	7%	25%	44%

მოსაზრებები აფხაზეთის **განვითარების მიმართულების შესახებ** არაერთგვაროვანია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ყველაზე დადებითად აფხაზეთის განვითარებას აფასებენ ყაბარდო-ბალყარეთში - ბევრად უფრო პოზიტიურად, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებში. დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის და ჩეჩნეთის მოსახლეობის მოსაზრებები რუსეთის საშუალო მაჩვენებლის მსგავსია.

> *„ვიცი, რომ აფხაზეთში ჩასვლა უცხოური პასპორტის გარეშე შეიძლება. რუსეთს კარგი ურთიერთობა აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. და ის პასუხისმგებლობასაც იღებს. თუ მათ მოულოდნელად ვინმე თავს დაესხმება ან რამე მოხდება, მაშინ რუსეთი მათ დაეხმარება“ (23 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).*

ყველაზე მეტად აფხაზეთის განვითარებასთან დაკავშირებით ეჭვი ინგუშეთში აქვთ - რესპონდენტთა ნახევარზე მეტს გაუჭირდა რაიმე შეფასების გაკეთება და მხოლოდ 33%-ს მიაჩნია, რომ აფხაზეთი სწორი მიმართულებით ვითარდება.

გრაფიკი 3.7.1. რა მიმართულებით ვითარდება ახლა აფხაზეთი – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, % სწორი მიმართულებით



მომავალში აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მოელის ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (40%), რაც საკმაოდ აღემატება რუსეთის სხვა რეგიონებში ანალოგიური მოსაზრების მქონეთა წილს (29%). ინგუშეთსა და ჩეჩნეთში გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა ვერ შეძლო აფხაზეთის მომავალთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ვარაუდის გამოთქმა. იმ ადამიანთა წილი კი, ვინც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას მოელის, მცირეა და მერყეობს 2%-დან (ყაბარდო-ბალყარეთში) 8%-მდე (ინგუშეთში).

ფოკუსჯგუფების დისკუსიამ აჩვენა, რომ **ჩრდილოკავკასიელების ცოდნა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის** შესახებ ძალიან მწირია - იმაზე მწირი, ვიდრე აფხაზეთის შესახებ. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა შორის მხოლოდ რამდენიმეს თუ ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა, რა მოხდა იქ ანდა რა იყო ამ კონფლიქტის მიზეზები (აღსანიშნავია, რომ ფოკუსჯგუფებში არ მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთის მოქალაქეები, რადგან მათი მოსაზრებები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს დანარჩენი ჩრდილოკავკასიისგან და ამიტომ ისინი ერთად არ უნდა დაჯამდეს).

„ოსეთის შესახებ ვიცი, იქ საავადმყოფოში წავედი - მეტი არაფერი ვიცი“ (31 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).

„მგონი, იგივე ხდება, რაც აფხაზეთში. 2008 წელს რუსეთმა ის აღიარა. იქ, მგონი, რუბლია ვალუტა“ (30 წლის კაცი, საშუალო განათლებით, დაღესტნიდან).

„სამხრეთ ოსეთის შესახებ არ ვიცი, მაგრამ ჩრდილოეთ ოსეთზე, ვლადიკავკაზზე ვიცი, რომ ისინი ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან ახლოა, გვერდითაა“ (18 წლის კაცი, საშუალო განათლებით, ჩეჩნეთიდან).

„მე მხოლოდ ვიცი 2008 წელს შეიარაღებული მოქმედებების შესახებ სამხრეთ ოსეთში. 2008 წელს, საქართველოს და ოსეთის ომის დროს, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას დიდი ზიანი მიადგა საქართველოსა და ოსეთს შორის ომის დროს. მახსოვს, არდადეგებზე ვიყავი სამხრეთ ოსეთის ბავშვებთან ერთად. იქ ისე იბომბებოდა, რომ შეუძლებელი იყო იქ ცხოვრება. მათ სახლები დაკარგეს და ისინი ლტოლვილთა სხვადასხვა ბანაკში გააგზავნეს“ (23 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით დაღესტნიდან).

„მე არასდროს ვყოფილვარ იქ, მაგრამ მეზობელი ქალი მყავს ოსი. ის ჰყვებოდა, რომ სამხრეთ ოსეთში სოფელს დაესხნენ თავს, რაღაც ხდება იქ, ოსებთან. [და ვინ დაესხა მათ თავს?] ვფიქრობ, ქართველები. ყურადღებით არ ვუსმენდი, მაგრამ ის ამის შესახებ ისეთი ტკივილით საუბრობდა... რომ მათ [ქართველებმა] მთელი სოფელი, ყველა დახოცეს. არ მიკითხავს, ეს როდის მოხდა. ჩემი ცოდნა ძალიან ბუნდოვანია. სამხრეთ ოსეთის შესახებ მეტი არაფრის თქმა შემიძლია“ (43 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).

„სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცი სამხრეთ ოსეთის შესახებ. მსმენია, რომ კონფლიქტი იყო სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის, რომ სამხრეთ ოსეთში ჩეჩნური შენაერთები იბრძოდნენ რუსეთის მხარეს, მაგრამ არ ვიცი, რით დასრულდა ეს ყველაფერი“ (32 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

„საერთოდ არ ვიცი, რა ბრძოლები იყო, ვინ ვის ებრძოდა - არაფერი ვიცი“ (43 წლის ქალი, საშუალო განათლებით, ინგუშეთიდან).

რამდენიმე რესპონდენტი ჩრდილოეთ კავკასიიდან, ვინც უფრო ინფორმირებული და ჩართული იყო პოლიტიკურ დისკუსიებში, აკრიტიკებდა რუსეთის პოზიციას რუსულ-ქართულ კონფლიქტებში, გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის ჩართულობასთან დაკავშირებით საქართველოს კონფლიქტთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რუსეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, მათ უკეთ იცოდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ტერიტორიული კონფლიქტების მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, ჯგუფის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა ამ კონფლიქტების შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდა და ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნდა.

„რამდენადაც ჩემთვის 1992 წლის ინგუშების ტრაგედიაა ცნობილი, პრიგოროდნი რაიონში განსაკუთრებული სიმხეცით სამხრეთ ოსეთიდან გადმოსულები გამოირჩეოდნენ. ამიტომ ჩემი დამოკიდებულება, როგორც პოლიტიკური, ასევე ამ ხალხის მიმართ, ცალსახაა“ (დაახლოებით 60 წლის კაცი უმაღლესი განათლებით ყაბარდო-ბალყარეთიდან).

„რუსეთის როლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს იმიტომ, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა. რუსეთს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი მის ფარგლებში აქვს აღიარებული და არავის აქვს უფლება, დაარღვიოს ის. თუ ოსეთში მოქმედი ხელისუფლება აცხადებს, რომ მათ რუსეთთან გაერთიანება სურთ, მაშინ კანონით გათვალისწინებული პროცედურით უნდა გააკეთონ ეს - მიმართონ საქართველოს ხელისუფლებას და მისი ნებართვით ჩატარებული შესაბამისი რეფერენდუმის გზით გადაჭრან ეს საკითხი“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).

სამხრეთ ოსეთის არსებული სტატუსის შეფასებისას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობას სამხრეთი ოსეთი უფრო ხშირად ჰგონია რუსეთის შემადგენელი ნაწილი, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონების მოსახლეობას. რუსეთის სხვა რეგიონების მსგავსად, ამ რესპუბლიკებშიც

ბევრი მიიჩნევს სამხრეთ ოსეთს კვაზიდამოუკიდებელ სახელმწიფოდ (ამ მოსაზრებას ყველაზე იშვიათად ჩეჩნეთში იზიარებენ, სადაც გამოკითხულთა 17% სამხრეთ ოსეთს სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს).

„სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცი სამხრეთ ოსეთის შესახებ. მსმენია, რომ კონფლიქტი იყო სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის, რომ სამხრეთ ოსეთში ჩეჩნური შენაერთები იბრძოდნენ რუსეთის მხარეს, მაგრამ არ ვიცი, რით დასრულდა ეს ყველაფერი“ (დაახლოებით 30 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

ცხრილი 3.7.10. სამხრეთ ოსეთის სტატუსი დღეს და 10 წლის შემდეგ - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება (%)

	სამხრეთ ოსეთის სტატუსი დღეს არის...				
	სრულად დამოუკიდებელი სახელმწიფო	კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო	საქართველოს ნაწილი	რუსეთის ნაწილი	არ ვიცი/ უარი პასუხზე
რუსეთი მთლიანად	9%	34%	4%	20%	33%
რესპუბლიკები					
ყაბარდო-ბალყარეთი	9%	32%	3%	32%	24%
დაღესტანი	6%	26%	6%	36%	26%
ინგუშეთი	4%	38%	4%	27%	27%
ჩრდილოეთი ოსეთი	14%	38%	4%	32%	12%
ჩეჩნეთი	17%	18%	4%	30%	31%
	სამხრეთ ოსეთის სტატუსი 10 წლის შემდეგ ...				
რუსეთი მთლიანად	11%	24%	4%	30%	31%
რესპუბლიკები					
ყაბარდო-ბალყარეთი	9%	16%	4%	47%	24%
დაღესტანი	7%	16%	6%	47%	24%
ინგუშეთი	3%	15%	9%	30%	43%
ჩრდილოეთი ოსეთი	10%	16%	2%	54%	18%
ჩეჩნეთი	11%	9%	5%	36%	39%

ყაბარდო-ბალყარეთსა და დაღესტანში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი და ჩრდილოეთ ოსეთში გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ სამხრეთი ოსეთი სწორი მიმართულებით ვითარდება, რაც ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებელია რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. ჩეჩნეთში ამ მოსაზრებას გამოკითხულთა 40%-ზე ოდნავ მეტი იზიარებს, თუმცა რესპონდენტების უმეტესობამ ვერ შეძლო ამ ტერიტორიის განვითარების მიმართულების შეფასება. ინგუშეთში 28%-ს მიაჩნია, რომ სამხრეთი ოსეთი სწორი მიმართულებით ვითარდება, 26%-ს კი - რომ მიმართულება არასწორია (სხვა რესპუბლიკებში ამ მოსაზრებას გაცილებით ნაკლები რესპონდენტი იზიარებს - 10%).

გრაფიკი 3.7.2. რა მიმართულებით ვითარდება ახლა სამხრეთი ოსეთი – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრება (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, % სწორი მიმართულებით



სამხრეთ ოსეთის მომავალს ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა ამ ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უკავშირებს (ასე ფიქრობს ამ რესპუბლიკებში გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი). ამაში გაცილებით ნაკლებად არის დარწმუნებული ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მოსახლეობა, რომელთა შორისაც ჭარბობს იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ვერ ხედავს სამხრეთ ოსეთის კონკრეტულ სტატუსს მომავალში ან ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვას.

ფოკუსჯგუფების ზოგი მონაწილის აზრით, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას დამოუკიდებლად შეეძ-ლო პრობლემების წარმატებით გადაჭრა და ურთიერთობების დარეგულირება საქართველოსთან საკუთარი ტრადიციული მეთოდების და მექანიზმების გამოყენებით. ისინი ხედავენ შესაძლებლობებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა შუამავლის როლი შეასრულონ საქართველოს და რუსეთს შორის უფრო მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში. თუმცა ეს მოსაზრება უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე ნორმა.

> *„მთის ხალხი ოდითგანვე მოხერხებულად აგვარებდა საკითხებს, მათ შორის, საერთაშორისო თუ ეთნიკურ პრობლემებს, ყოველთვის წარმატებით აგვარებდნენ პრობლემებს მესამე მხარე-ების ჩაურევლად. უხუცესები იკრიბებოდნენ და აგვარებდნენ ნებისმიერ პრობლემას. ვფიქ-რობ, ჩრდილოეთ კავკასიელების მეშვეობით რუსეთი კარგ ურთიერთობებს დაამყარებდა საქარ-თველოსთან. საქართველო ნატოშიც რომ გაწევრიანებულიყო, მას არანაირი უარყოფითი ემოციები არ ექნებოდა რუსეთის მიმართ იმიტომ, რომ რუსეთში მათი ძმები ცხოვრობენ“ (55 წელზე მეტი ასაკის კაცი, არასრული უმაღლესი განათლებით, ყაბარდო-ბალყარეთიდან).*

ძირითადი მიგნებები:

- ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საქართველოს და საქართველოს მოსახლეობის მიმართ გაცილებით უკეთესი დამოკიდებულებაა, ვიდრე საშუალოდ მთელ რუსეთში. ამ რესპუბლიკებში „გულგრილად“ ან „ნეიტრალურად“ განწყობილთა წილი ერთ მეოთხედსა და ერთ მესამედს შორის მერყეობს. ყველაზე პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩეჩნეთის და ინგუშეთის რესპონდენტებს აქვთ (60%-ზე მეტი დადებითი შეფასება).
- საქართველოს შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის ისევე, როგორც მთლიანად რუსეთის მოქალაქეებისთვის, ტრადიციული მედიასაშუალებებია. თუმცა, პერსონალური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ რეგიონში, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ოსეთში. თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა მხოლოდ ოდნავ უფრო ხშირად ურთიერთობს საქართველოს მოქალაქეებთან, ვიდრე რუსეთის სხვა რეგიონების მოსახლეობა.
- რესპონდენტების დამოკიდებულებები საქართველოს შიდა პრობლემების მიმართ, ასევე ამ ქვეყნის განვითარების შეფასებები დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში ძალიან ჰგავს ხალხის მოსაზრებებს რუსეთის სხვა რეგიონებში. უფრო პოზიტიურად აფასებს საქართველოს განვითარებას ინგუშეთის და ჩეჩნეთის მოსახლეობა. საქართველოს სურვილს, გაწევრიანდეს ევროკავშირში, უფრო დადებითად აღიქვამენ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში, ვიდრე რუსეთის სხვა რეგიონებში; გამონაკლისს მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთი წარმოადგენს. საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ოდნავ უფრო პოზიტიურად ამ იდეას ჩეჩნეთში აღიქვამენ, თუმცა რესპონდენტთა წილი, რომლებიც საქართველოს ამ სურვილს ემხრობა, მაინც უმცირესობას წარმოადგენს.
- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელ სტატუსთან დაკავშირებით ხუთივე ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკაში ყველაზე გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, ისინი კვაზი-დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან ან რუსეთის ნაწილს წარმოადგენენ. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რეალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყველაზე ხშირად ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას მიაჩნია (ასეთად აფხაზეთს თვლის ამ რესპუბლიკის მოსახლეობის მეოთხედი, ხოლო სამხრეთ ოსეთს - 14%).
- მომავალში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში მოელის ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი - ეს მოსაზრება უფრო გავრცელებულია ამ რესპუბლიკებში, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებში. იმ ადამიანთა წილი კი, ვინც აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას მოელის, მცირეა და მერყეობის 2%-დან (ყაბარდო-ბალყარეთში) 8%-მდე (ინგუშეთში).

3.8. მსგავსება და განსხვავება ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის

შეხედულებები რუსეთიდან

საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობების შეფასებისას რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობამ ვერ გასცა პასუხი კითხვას, კერძოდ, რომელი რესპუბლიკაა საქართველოს მიმართ ყველაზე მეგობრულად განწყობილი. ამის მიზეზი ის არის, რომ რუსეთის რეგიონების მოქალაქეებს ძალიან ცოტა ინფორმაცია აქვთ, როგორ ცხოვრობენ და რას ფიქრობენ ცალკეული რესპუბლიკების მოქალაქეები და არ სჯერათ, რომ რესპუბლიკებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება შეუძლიათ.

ისინი, ვინც შეძლო რომელიმე რესპუბლიკის დასახელება, თითქმის თანაბარი სიხშირით ასახელებდნენ ჩეჩნეთს, დაღესტანსა და ჩრდილოეთ ოსეთს, ნაკლები სიხშირით - ყაბარდო-ბალყარეთს და კიდევ უფრო იშვიათად - ინგუშეთს, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს. მთლიანობაში, **რუსეთის მოქალაქეებს არა აქვთ ჩამოყალიბებული რაიმე კონკრეტული ან საერთო მოსაზრება, რომ რომელიმე ერთ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკას განსაკუთრებით კარგი, მეგობრული ურთიერთობები აქვს საქართველოსთან.**

გრაფიკი 3.8.1. რომელი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკაა ყველაზე მეგობრულად განწყობილი საქართველოს მიმართ? (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა



ბევრ რესპონდენტს, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, უცნაურად ეჩვენა თხოვნა, შეეფასებინა კონკრეტული რესპუბლიკის/რეგიონის სხვა ქვეყანასთან სიახლოვის ხარისხი, რადგან რუსეთის ფედერაცია საგარეო პოლიტიკას, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს ფედერალურ დონეზე ამყარებს და არა - ფედერაციის სუბიექტების დონეზე.

> *„როგორ უნდა ჰქონდეს ერთი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს უკეთესი ურთიერთობები მეორე ქვეყანასთან? ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი - ეს ყველაფერი ერთი ქვეყანაა და უნდა ვლაპარაკობდეთ ერთი ქვეყნის ურთიერთობებზე ყველა სხვა ქვეყანასთან“ (30 წლის კაცი, საშუალო განათლებით, დაღესტნიდან).*

რუსეთის ბევრ მოქალაქეს გაუჭირდა ეთქვა, ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მოსახლეობასა და საქართველოს მოსახლეობას შორის მეტი მსგავსებაა თუ განსხვავება - გამოკითხულთა 20%-მა ვერ გასცა პასუხი ამ კითხვას, დანარჩენების მოსაზრებები კი გაიყო: 46% თვლის, რომ მსგავსება მეტია, ხოლო 35%-ს მიაჩნია, რომ განსხვავებებია მეტი.

ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის მსგავსება-განსხვავებების შესახებ რუსეთის და ხუთი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის მოქალაქეების მოსაზრებები მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან. თავად ჩრდილოკავკასიელები უფრო მეტ სხვაობას ხედავენ თავიანთ ხალხსა და ქართველებს შორის, ვიდრე რუსეთის სხვა რეგიონების მოსახლეობა. მთლიანობაში, რუსეთის მოქალაქეების 46% ფიქრობს, რომ ამ ხალხებს შორის მეტი მსგავსებაა, ხოლო 35% - რომ მეტი

განსხვავებაა. ჩრდილოეთ კავკასიის ხუთ რესპუბლიკაში 43% ფიქრობს რომ ამ ხალხებს შორის მეტი მსგავსებაა, ხოლო 44% რომ მეტი განსხვავებაა.

გრაფიკი 3.8.2. რამდენად გვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხალხები? (%)



რუსეთის სხვადასხვა რეგიონში საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად ამსგავსებენ ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას - ასე ფიქრობს რუსეთის მოქალაქეების 20%. რუსეთის მოქალაქეები აგრეთვე ხშირად ასახელებდნენ დაღესტანს, როგორც საქართველოს მსგავს რესპუბლიკას.

გრაფიკი 3.8.3. რომელ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკას აქვს ყველაზე მეტი საერთო საქართველოსთან? (%)

ბაზა: ეროვნული შერჩევა



ისინი, ვინც ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს ერთმანეთს ამსგავსებს, ძირითად მსგავსებას მათ კულტურაში, ტრადიციებში, ცხოვრების წესსა და ღირებულებებში ხედავენ. ასე ფიქრობს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი. უფრო იშვიათად დასახელდა ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ხასიათისა და რელიგიის მსგავსება, ხოლო კიდევ უფრო იშვიათად - ცხოვრების პირობების, ეკონომიკური, გეოგრაფიული და კლიმატური, მსგავსება.

გრაფიკი 3.8.4. მსგავსებები და განსხვავებები ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მარცხნივ იმათი %, ვინც ძირითადად მსგავსებას ხედავს, მარჯვნივ იმათი %, ვინც ძირითადად განსხვავებას ხედავს.



ძირითად განსხვავებებსაც კულტურაში, ტრადიციებსა და ღირებულებებში ხედავენ. რუსეთის მოქალაქეები ასევე ხშირად ასახელებდნენ რელიგიას და უფრო იშვიათად - ადამიანების ხასიათსა და მსოფლმხედველობას.

ფოკუსჯგუფებმა აჩვენა, რომ რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის არა მარტო საქართველოა terra incognita, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიც - რეგიონი, რომლის ცხოვრების შესახებ რუსეთის მოქალაქეებმა ძალიან ცოტა რამ იციან. რესპონდენტები არცთუ იშვიათად აღიარებდნენ, რომ ვერ ერკვევიან ჩახლართულ „კავკასიურ კვანძში“.

რესპონდენტთა მოსაზრებები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას შორის მსგავსება-განსხვავებებზე, ასევე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ჩრდილოკავკასიელი ხალხების შესაძლო გავლენაზე, სუსტად არის ფორმირებული. ფოკუსჯგუფების რესპონდენტების თქმით, გარე დამკვირვებლისთვის კავკასიური ეთნოსების წარმომადგენლები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს როგორც გარეგნობით, ასევე ზოგიერთი ქცევით, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ძალიან განსხვავებული ხალხებია.

რესპონდენტების თქმით, რუსეთის ფედერაციის კავკასიელები ვერ შეძლებენ სერიოზული ზეგავლენის მოხდენას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირებაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების როლთან დაკავშირებული სკეპტიციზმი ემყარება მოსაზრებას, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის უთანხმოება დიდი პოლიტიკის განზომილებას განეკუთვნება, ხოლო ამ ორი ქვეყნის მოსახლეობა (ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობა) თავ-თავიანთი პოლიტიკური ელიტების თამაშების მძევლები არიან.

შეხედულებები ჩრდილოეთ კავკასიიდან

ჩრდილოეთ ოსეთში, ჩეჩნეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში გამოკითხულთა დაახლოებით 40%-ს არ მიაჩნია, რომ რომელიმე ერთ რესპუბლიკას განსაკუთრებული სიახლოვე აქვს საქართველოსთან. დაღესტანში ასეთივე მოსაზრება აქვს გამოკითხულთა 31%, ხოლო ინგუშეთში - მხოლოდ 15%-ს.

საქართველოს ახლო რესპუბლიკად ყველაზე ხშირად ხუთივე რესპუბლიკაში ასახელებდნენ დაღესტანს (16%), ჩეჩნეთს (11%) და ჩრდილოეთ ოსეთს (10%).

საქართველოსთან სიახლოვის მიხედვით რესპუბლიკების შეფასებისას ყველაზე ხშირად საკუთარ რესპუბლიკას ასახელებდნენ რესპონდენტები ინგუშეთში (51%). სხვა რესპუბლიკებში ასეთ განსაკუთრებულ სიახლოვეს გამოკითხულთა 30%-ზე ნაკლები აღნიშნავდა, ხოლო ყაბარდო-ბალყარეთში - 20%.

ცხრილი 3.8.1. ჩრდილოეთ კავკასიის რომელი რესპუბლიკაა ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ - ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის მოსაზრება (%)

	ყაბარდო-ბალყარეთი	დაღესტანი	ინგუშეთი	ჩრდილოეთი ოსეთი	ჩეჩნეთი
დასახელდა რესპონდენტის რესპუბლიკა	20%	30%	51%	28%	27%
დასახელდა სხვა რესპუბლიკა	25%	25%	16%	24%	24%
ყველა რესპუბლიკა	13%	14%	18%	11%	10%
არცერთი ან არ ვიცი/უარი პასუხზე	42%	31%	15%	37%	39%

მოსაზრება ამ საკითხზე ფოკუსჯგუფებშიც გაიყო. ზოგ რესპონდენტს მიაჩნდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოსთან, ვიდრე რუსეთის სხვა რეგიონები. არგუმენტებად მოჰყავდათ როგორც კულტურული ერთობა, ასევე, უბრალოდ, ტერიტორიული სიახლოვე და კლიმატური პირობების მსგავსება. სხვა რესპონდენტები ვერ ხედავდნენ ჩრდილოეთ კავკასიის განსაკუთრებულ კავშირს საქართველოსთან, გარდა სატრანსპორტო და ტერიტორიული კავშირებისა, რომლებიც საქართველოსთან რუსეთის ფედერაციის სხვა სამხრეთ რეგიონებსაც აქვთ.

> *„კავკასიის ფედერალური ოლქიდან ხალხი ერთმანეთს უკეთ უგებს, ვიდრე, მაგალითად, ნოვოსიბირსკელებს“ (25 წლის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).*

„რა თქმა უნდა, კავკასია ხომ უფრო ახლოა საქართველოსთან, ვიდრე ჩელიაბინსკი ან ეკატერინბურგი. მათთან ყველაზე ახლოს ოსეთია. ის საქართველოს ესაზღვრება“ (დაახლოებით 60 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, ინგუშეთიდან).

„ვერ ვიტყოდი, რომ სწორედ ასეა. სტავროპოლის მხარეც და კრასნოდარის მხარეც - ყველა მასთან დაკავშირებული ვართ. განსაკუთრებით ბოლო დროს, რაც საავტომობილო მიმოსვლის საკითხი მოგვარდა, იქ დღეს ბევრი მიემგზავრება. არ მიმაჩნია, რომ მაინცდამაინც ჩეჩნეთი ან დაღესტანია მასთან ახლოს; არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ერთს აქვს მეტი სიახლოვე“ (დაახლოებით 60 წლის კაცი არასრული უმაღლესი განათლებით ჩეჩნეთიდან).

თავად ჩრდილოკავკასიელების მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად ჰგვანან ან განსხვავდებიან საქართველოს მოსახლეობისგან, არაერთგვაროვანია და ადამიანებს ორ ბანაკად ყოფს. ყველაზე მეტად საქართველოს მოსახლეობასთან მსგავსებას ხედავენ რესპონდენტები ჩრდილოეთ ოსეთიდან - მათგან ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ მათ შორის მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება. საქართველოს მოსახლეობისგან განსხვავებას ყველაზე ხშირად რესპონდენტები ჩეჩნეთში აღნიშნავენ - მათი 44% ქართველებთან მეტ სხვაობას ხედავს, ხოლო 31% - მეტ მსგავსებას.

ფოკუსჯგუფებში ამ ხალხებს შორის მსგავსებას ტერიტორიული სიახლოვით, ხასიათის საერთო თვისებებით, ტემპერამენტით, „მენტალიტეტით“, ტრადიციებითა და ცხოვრების წესით ხსნიდნენ.

„გულახდილად გითხრათ, არ ვიცი, რა გიპასუხოთ. არის რაღაც საერთო. ალბათ, ჩვენი მენტალიტეტი, ნაციონალობებია მსგავსი“ (დაახლოებით 30 წლის ქალი, უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).

„ვფიქრობ, ქართველებს ყველა კავკასიელ ხალხთან აქვთ მსგავსება - პირველ რიგში, კულტურა. ყველაფერი ნაციონალური, რაც საქართველოს უკავშირდება, ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკაშია. განსხვავებები? - მხოლოდ ენობრივი“ (60 წელზე მეტი ასაკის კაცი, უმაღლესი განათლებით, დაღესტნიდან).

„ჩვენი ჩვევები, ტრადიციები, პრაქტიკულად ერთნაირია. გვაქვს ჩვენ-ჩვენი მცირე განსხვავებები, ანუ აღმსარებლობა. სხვა დანარჩენში კი ერთნაირები ვართ“ (57 წლის კაცი, არასრული უმაღლესი განათლებით, ჩეჩნეთიდან).

ცხრილი 3.8.2. რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისგან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოსახლეობა - ჩრდილოკავკასიელების მოსაზრება (%)

	მთლიანად რუსეთი	ხუთი რესპუბლიკა	ყაბარდო-ბალყარეთი	დაღესტანი	ინგუშეთი	ჩრდილოეთი ოსეთი	ჩეჩნეთი
ძალიან გვანან ერთმანეთს	9%	10%	7%	9%	13%	14%	11%
უფრო გვანან, ვიდრე განსხვავდებიან	37%	33%	33%	37%	34%	39%	20%
უფრო განსხვავდებიან, ვიდრე გვანან	21%	25%	26%	25%	30%	19%	23%
ძალიან განსხვავდებიან	14%	19%	22%	19%	17%	19%	21%
არ ვიცი/უარი პასუხზე	19%	13%	12%	10%	6%	9%	25%

ყველა რესპუბლიკაში მსგავსების და განსხვავების ძირითად ასპექტებად დასახელდა კულტურა, ტრადიციები და ჩვევები/ღირებულებები.

ყველა რესპუბლიკაში იმ რესპონდენტების 60%-მა, რომლებიც მეტ მსგავსებას ხედავენ, ვიდრე განსხვავებას, ასეთი **მსგავსების ძირითად მიზეზებად** დაასახელა კულტურა, ტრადიციები და ჩვევები. სხვა ასპექტებს შორის, რომლებშიც მსგავსებას ხედავენ, იყო ხალხის ხასიათი (სწორედ ამაში ხედავს მსგავსებას 30%-ზე მეტი გამოკითხული დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში და 20%-ზე ოდნავ მეტი - ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში).

კულტურა, ტრადიციები და ჩვევები ასევე **ძირითად განსხვავებებს შორის** მოხვდა (ეს ასპექტები დაასახელა იმ რესპონდენტთა თითქმის 50%-მა ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩეჩნეთში და თითქმის 40%-მა დაღესტანში, ინგუშეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში, ვინც მეტ განსხვავებას ხედავს), ასევე - რელიგია და მსოფლმხედველობა. იმ რესპონდენტთა შორის, ვინც მეტ სხვაობას ხედავს, ვიდრე მსგავსებას, ამ განსხვავებებს უკავშირებს რელიგიას: 50%-ზე მეტი ინგუშეთსა და ჩეჩნეთში, 40% - დაღესტანში და 28% - ყაბარდო-ბალყარეთში. მსოფლმხედველობრივი განსხვავებები ყველაზე ხშირად აღნიშნეს დაღესტანში (22%) და ჩრდილოთ ოსეთში (19%), უფრო იშვიათად კი - ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთში (დაახლოებით 10%).

ცხრილი 3.8.3. განსხვავების და მსგავსების ასპექტები საქართველოს მოსახლეობასა და იმ რესპუბლიკის მოსახლეობას შორის, რომელშიც რესპონდენტი ცხოვრობს (%)

ბაზა: შერჩევა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მარცხნივ იმათი %, ვინც ძირითადად მსგავსებას ხედავს, მარჯვნივ იმათი %, ვინ ძირითადად განსხვავებას ხედავს.
კითხვა: კონკრეტულად რაში გამოიხატება მსგავსება თუ განსხვავება საქართველოს მოსახლეობასა და იმ რესპუბლიკის მოსახლეობას შორის, რომელშიც ცხოვრობთ?

	დაღესტანი		**ინგუშეთი**		**ყაბარდო-ბალყარეთი**		**ჩეჩნეთი**		**ჩრდილოეთი ოსეთი**	
	მსგავსი	**განსხვავე-ბული**	**მსგავსი**	**განსხვავე-ბული**	**მსგავსი**	**განსხვავე-ბული**	**მსგავსი**	**განსხვავე-ბული**	**მსგავსი**	**განსხვავე-ბული**
კულტურა, ტრადიციები, ჩვევები და (ან) ღირებულებები	66%	44%	67%	39%	65%	43%	69%	51%	68%	55%
რელიგია	10%	40%	4%	56%	3%	28%	3%	53%	19%	3%
მსოფლმხედველობა	7%	22%	5%	10%	7%	13%	2%	10%	13%	19%
ხალხის ხასიათი	31%	17%	35%	10%	23%	17%	34%	14%	21%	17%
ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ, ცხოვრების ხარისხი	5%	8%	4%	5%	11%	8%	6%	9%	10%	12%
გეოგრაფიული პირობები, კლიმატი	4%	1%	2%		3%		1%		1%	1%
საერთო წინაპრები, ენობრივი ერთობა, ეთნიკური ერთობა	6%	7%	9%	5%	8%	7%	13%	5%	11%	13%
სხვა	1%	4%	3%	1%	2%	3%		2%	1%	6%
არ ვიცი/უარი პასუხზე	11%	14%	8%	13%	12%	26%	4%	14%	9%	12%

გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა მოსაზრებები ჩრდილოკავკასიელების და ქართველების მსგავსებასა და განსხვავებაზე გაიყო როგორც ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში, ასევე რუსეთის სხვა რეგიონებში. ამასთან, რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებთან შედარებით, ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებში გაცილებით ფართო იყო იმ მოსაზრებების, არგუმენტებისა და მაგალითების სპექტრი, რომლებსაც ფოკუსჯგუფების დროს ჩრდილოკავკასიელი რესპონდენტები ქართველებთან მსგავსება-განსხვავებასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობას შორის მრავალი მსგავსების მიუხედავად, ფოკუსჯგუფების მონაწილეები მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკუთარ სახელმწიფოებრივ იდენტობას, ხაზს უსვამდნენ, რომ არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რითაც ყურადღებას კავკასიის ხალხების შიდარეგიონულ სოლიდარობაზე ამახვილებდნენ.

ძირითადი მიგნებები:

- რუსეთის ბევრ მოქალაქეს გაუჭირდა ეთქვა, მეტი მსგავსებაა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოსახლეობას შორის თუ განსხვავება - გამოკითხულთა 20%-მა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა. დანარჩენთა მოსაზრებები გაიყო: 46%-ს მიაჩნია, რომ მსგავსება მეტია, ხოლო 35% ფიქრობს, რომ განსხვავებაა მეტი.
- რუსეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ხუთი რესპუბლიკის მოსახლეობის მოსაზრებები ამ საკითხზე თითქმის იდენტურია: მეტ მსგავსებას ხედავს გამოკითხულთა 43%, ხოლო მეტ განსხვავებას - 44%. ყველაზე მეტ მსგავსებას ქართველებთან ჩრდილოეთ ოსეთის რესპონდენტები აღნიშნავენ - 20%, რომლებსაც დაღესტნელი რესპონდენტები მოსდევენ.
- ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს მოსახლეობას შორის ძირითად მსგავსებას რუსეთის სხვადასხვა რეგიონის, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპონდენტები, ხედავენ კულტურაში, ტრადიციებში, ცხოვრების წესსა და ადამიანების ღირებულებებში - ეს ასპექტები „მსგავსების“ პოზიციის მომხრეთა ნახევარზე მეტმა დაასახელა. სიხშირით მეორე დასახელებული ასპექტი იყო ხასიათის და რელიგიის მსგავსება, ხოლო მესამე - ცხოვრების პირობების, ეკონომიკური, გეოგრაფიული და კლიმატური მსგავსება. ძირითად განსხვავებებს შორის რესპონდენტები ასევე კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს ასახელებდნენ. რიგით მეორე იყო რელიგია, ხოლო მესამე - ხალხის ხასიათი და მსოფლმხედველობა.
- თავად ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რამდენად ჰგვანან ან განსხვავდებიან ისინი საქართველოს მოსახლეობისგან საკმაოდ წინააღმდეგობრივია. საქართველოს მოქალაქეებთან ყველაზე მეტ მსგავსებას ჩრდილოეთ ოსეთის რესპონდენტები აღნიშნავენ - მათი ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ამ ხალხებს შორის უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. საქართველოს მოსახლეობასთან ყველაზე ნაკლებ მსგავსებას ხედავენ ჩეჩნეთში - რესპონდენტების 44%-მა მეტი განსხვავება აღნიშნა, ვიდრე მსგავსება, 31%-მა კი - პირიქით. დანარჩენ სამ რესპუბლიკაში რესპონდენტთა დაახლოებით თანაბარი წილი ხედავს საკუთარი ხალხის მეტ მსგავსებას და მეტ განსხვავებას საქართველოს მოსახლეობასთან.

4. დასკვნები

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა რუსეთის მოქალაქეების ცოდნა, აღქმა, განწყობები და დამოკიდებულებები საქართველოსა და საქართველოს მოსახლეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს მოსახლეობის იმიჯი, რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ასევე, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული კონფლიქტების მიმართ, შესაძლებლობები და დაბრკოლებები ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების გზაზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

- რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ნეიტრალურ-პოზიტიურია. რუსეთის მოქალაქეების მოსაზრება საქართველოს შესახებ ძალიან ჰგავს მათ შეხედულებებს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების - სომხეთისა და აზერბაიჯანის - შესახებ. რუსეთის მოქალაქეები შედარებით უფრო პოზიტიურად არიან განწყობილი საქართველოს მოქალაქეების მიმართ, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, თუმცა მათ შორის სხვაობა არ არის მნიშვნელოვანი.

- რუსეთის მოქალაქეებისთვის დამახასიათებელია უფროსი და უმცროსი თაობის ქართველების განსხვავებულად შეფასება - უფროსი თაობის მიმართ განწყობა დადებითია, ხოლო ახალგაზრდა თაობას კიცხავენ დასავლური კულტურით გარყვნილების, პრაგმატიზმისა და რუსეთის მიმართ მტრული განწყობის გამო. თანამედროვე საქართველოს ნეგატიურ შეფასებებს ბევრი რესპონდენტი იმით ხსნის, რომ ხედავენ ქართველების ნეგატიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ.

- რუსეთში არსებული აღქმის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს ცხოვრების შესახებ რუსი ხალხის ინფორმირების შედარებით დაბალი დონეა. ინფორმაციის უმეტეს ნაწილს რუსეთის მოქალაქეები ტელევიზიის მეშვეობით იღებენ, რომლითაც ბოლო დროს ძალიან ცოტა ინფორმაცია ვრცელდება საქართველოს შესახებ. რუსეთის ახალგაზრდები ინფორმაციას, ძირითადად, სოციალური ქსელებიდან და სხვა ონლაინ წყაროებიდან იღებენ, თუმცა, ისინი უმთავრესად ეძებენ ცნობებს საქართველოს ტურისტული ცხოვრების შესახებ და ცოტა რამ იციან სხვა ასპექტებზე.

- რუსეთის მოქალაქეების ნახევარზე მეტმა ვერ შეძლო შეეფასებინა, სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა საქართველო. რუსეთში გამოკითხულთა ორ მესამედზე ოდნავ ნაკლებმა შეძლო დაესახელებინა კონკრეტული პრობლემები, გამოწვევები თუ ამოცანები, რომელთა წინაშეც დღეს დგას საქართველო.

- რუსეთის მოქალაქეები ძალიან ნეგატიურად აღიქვამენ საქართველოს სურვილს, გაწევრიანდეს ნატოში - რესპონდენტთა უმრავლესობა ამ იდეის წინააღმდეგია. ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი უფრო მისაღებია, თუმცა აქაც მეტია მოწინააღმდეგეთა წილი.

- რუსეთის მოქალაქეთა მოსაზრებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ გაიყო - დაახლოებით ნახევარი მათ აფასებს, როგორც პოზიტიურსა და მეგობრულს, ხოლო 38% - როგორც მტრულს; დანარჩენმა რესპონდენტებმა საერთოდ ვერ შეძლეს შეფასება. ამ ურთიერთობების გაცივებას რუსეთის მოქალაქეები საქართველოს პროდასავლურ პოლიტიკას მიაწერენ. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე წილი უკავშირებს მას ტერიტორიულ კონფლიქტებს.

- რუსეთის მოქალაქეების წარმოდგენები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელ სტატუსზე საკმაოდ ბუნდოვანია - ამ ტერიტორიებს სრულფასოვნად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად უმცირესობა მიიჩნევს, კიდევ ერთ ნაწილი კი - კვაზისახელმწიფოებად ანდა რუსეთის ნაწილად. კონფლიქტის არსს რუსეთის მოქალაქეები ხედავენ აფხაზების და ოსების მისწრაფებაში, მოიპოვონ დამოუკიდებლობა, ასევე მხარეების მზადყოფნის ნაკლებობაში, წავიდნენ კომპრომისზე. ამ კონფლიქტებში რუსეთის როლი ბევრი რესპონდენტისთვის გაურკვეველი რჩება. ამ ტერიტორიების მომავალ სტატუსში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს რუსეთის მოქალაქეები არ ელიან. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციას საქართველოსთან რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილი ვარაუდობს ისევე, როგორც მათ გარდაქმნას სრულფასოვნად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

- ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში დამოკიდებულება საქართველოს და საქართველოს მოსახლეობის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე საშუალოდ მთელ რუსეთში. ყველაზე კეთილგანწყობილი ქართველების მიმართ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში არიან. თუმცა, ამ რესპუბლიკებში ისევე, როგორც ზოგადად რუსეთში, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ ინფორმირების დონე არ არის მაღალი. ჩრდილოკავკასიელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების სიხშირე, სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატება რუსეთის სხვა რეგიონების შესაბამის მაჩვენებელს.

- რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რომელიმე ერთ რესპუბლიკას განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობები აქვს საქართველოსთან. რუსეთის მოქალაქეებისთვის უფრო დამახასიათებელია ქვეყნებს შორის ურთიერთობების დანახვა ფედერაციის ყველა სუბიექტის ერთიანი პოზიციის ჭრილში.

- რუსეთის მოქალაქეები მსგავსებას ან განსხვავებას ჩრდილოკავკასიელებსა და ქართველებს შორის ვერ ხედავენ. თავად ჩრდილოკავკასიელების მოსაზრებები ქართველებთან მსგავსებებსა და განსხვავებებზე თითქმის თანაბრად გაიყო; გამონაკლისი მხოლოდ ჩეჩნეთია, სადაც გამოკითხულთა 44%-ის აზრით, განსხვავება მეტია, ხოლო 31%-ის აზრით - მსგავსება. საქართველოს მოსახლეობასთან მსგავსებებსაც და განსხვავებებსაც ჩრდილოკავკასიელი რესპონდენტები ყველაზე ხშირად კულტურას, ტრადიციებსა და ხალხის ჩვევებს უკავშირებენ.

დანართები

დანართი 1: შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტის (CESSI) შესახებ

შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი (CESSI) არის დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია, რომელსაც მუშაობის 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს სოციალური ინფორმაციის წარმოების და ანალიზის სფეროში - სოციოლოგიური კვლევები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, მარკეტინგული კვლევები რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (www.cessi.ru). ინსტიტუტი 1989 წლის მარტში დაარსდა და მას შემდეგ 4, 000-ზე მეტი კვლევითი პროექტი განახორციელა და თითქმის 2 მილიონი ინტერვიუ ჩაატარა სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ოფისები მდებარეობს მოსკოვში და ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორებიცაა სანქტ-პეტერბურგი, ნიჟნი ნოვგოროდი და კიევი.

როგორც სოციალური ინფორმაციის ცენტრი, შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი აგროვებს და აანალიზებს ემპირიულ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ რუსეთისა და საერთაშორისო კომპანიებისთვის, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი პროგრამებისთვის, არაკომერციული სექტორისთვის, დარგობრივი კავშირებისთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, ასევე, აკადემიური წრეებისთვის. ინსტიტუტის სპეციალიზაციაა სამეცნიერო ან სოციალურ-პრაქტიკული მნიშვნელობის კომპლექსური სოციოლოგიური პროექტები.

შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამშრომლობს უმსხვილეს სოციოლოგიურ ცენტრებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებთან. ინსტიტუტის სპეციალისტები არიან აღიარებული ექსპერტები ისეთ საკითხებში, როგორიცაა მასობრივი გამოკითხვის მეთოდოლოგიები, შედარებითი კვლევები, ანკეტების შემუშავება, გადათარგმნა და ადაპტირება სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში გამოკითხვების ჩასატარებლად, ცხოვრებისეული ღირებულებების და განწყობების მეთოდოლოგიური შესწავლა, სოციალური მაჩვენებლების აგება, ასევე, პოლიტიკური სოციოლოგიის, სოციალური სტრუქტურებისა და სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების შესწავლა, პროფესიების სოციოლოგიასა და სხვა სფეროებში.

შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი თანამშრომლობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტთან, ეკონომიკის უმაღლეს სკოლასა და რუსეთის ბევრ სხვა ორგანიზაციასთან, კვლევით პროექტებს ახორციელებს ისეთ წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა GESIS (გერმანია), FORS (შვეიცარია), City University London (გაერთიანებული სამეფო), Maryland University (აშშ), University of Notre Dame (აშშ), Iowa University (აშშ), Pew Research Center (აშშ) და სხვა. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სოციოლოგიური პროექტები განხორციელდა ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორებიცაა მოსახლეობის საერთო სასიცოცხლო ღირებულებები, ღირებულებები შრომისა და განათლების სფეროში, პროფესიული ადაპტაციის სტრატეგიები მოდერნიზაციის პირობებში, მეწარმეობა და საგანმანათლებლო ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაო და პროფესიონალურ აქტივობას და კადრების წინსვლას.

შედარებითი სოციალური კვლევების ინსტიტუტი მსხვილი სოციალური კვლევების ჩასატარებლად გამოცხადებული საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო კონკურსების არაერთგზის გამარჯვებულია. ბოლო 15 წლის განმავლობაში მან რუსეთის სამეცნიერო ფონდებიდან 20-ზე მეტი გრანტი მოიპოვა, 2006 წლიდან კი არის ევროპის უმსხვილესი და სამეცნიერო წრეებში ყველაზე პრესტიჟული საზოგადოების - ევროპის სოციალური კვლევების (ESS) - წარმომადგენელი. ამჟამად ESS-ი არის შედარებითი სოციალური გამოკითხვების მეთოდიკის შემუშავების მთავარი სამეცნიერო პლატფორმა; ის ასევე ლიდერია მასობრივი გამოკითხვების ჩატარების ცალკეული ასპექტების შემუშავებაში (კვლევის მასალები ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდებზე: www.europeansocialsurvey.org და www.ess-ru.ru).

დანართი 2: შერჩევის რეალიზაცია - გამოკითხვის მონაცემების და ოფიციალური სტატისტიკის შედარება

ცხრილი. კვლევის მონაცემებისა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შედარება, ეროვნული შერჩევა (%)

	სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის მონაცემები („გოსკომსტატი“, 2020)	**გამოკითხვის მონაცემები** (შეწონვამდე)		**გამოკითხვის მონაცემები** (ეროვნულ შეწონვით)
	მოსახლეობა % 18+	**ინტერვიუების რაოდენობა**	**მთელი შერჩევის %**	**მთელი შერჩევის %**
ფედერალური ოლქი				
ჩრდილო-დასავლეთის	10%	153	10%	10%
ცენტრალური	28%	382	25%	28%
ვოლგისპირეთის	20%	285	19%	20%
სამხრეთის	11%	149	10%	11%
ჩრდილოკავკასიის	6%	118	8%	6%
ურალის	8%	133	9%	8%
ციმბირის	12%	214	14%	11%
შორეული აღმოსავლეთის	5%	72	5%	5%
სულ	100%	1506	100%	100%
დასახლებული პუნქტის ტიპი				
ურბანული	75%	1159	77%	77%
სასოფლო	25%	347	23%	23%
ურბანიზაციის დონე				
ქალაქები 1 მილიონი და მეტი მოსახლით	23%	363	24%	24%
ქალაქები 250-999 ათასი მოსახლით	18%	312	21%	21%
მცირე ზომის ქალაქები	33%	484	32%	32%
სასოფლო დასახლებული პუნქტები	25%	347	23%	23%
სქესი				
კაცი	45%	697	46%	45%
ქალი	55%	809	54%	55%
ასაკი				
18-24	8%	114	8%	8%
25-34	19%	268	18%	19%
35-44	20%	298	20%	19%
45-54	16%	258	17%	17%
55-64	18%	274	18%	18%
65 და მეტი	19%	294	19%	19%

დანართი 3: კროსტაბულაცია ქვეჯგუფების მიხედვით

1. როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს მოსახლეობის მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან დადებითი	17	13	11	15	12	13	13
დადებითი	25	21	27	25	24	24	25
ნეიტრალური	54	55	40	52	52	46	49
უარყოფითი	2	5	10	5	5	7	6
ძალიან უარყოფითი	0	3	4	1	2	4	3
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
მიჭირს პასუხის გაცემა	2	3	8	2	5	6	4
სულ	100	100	100	100	100	100	100

2. როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან დადებითი	12	7	6	7	10	8	8
დადებითი	21	21	23	21	19	23	22
ნეიტრალური	61	54	44	54	55	50	52
უარყოფითი	3	10	13	10	9	9	10
ძალიან უარყოფითი	2	4	8	4	4	5	4
უარი პასუხზე	0	0	1	1	0	0	0
მიჭირს პასუხის გაცემა	1	4	5	3	3	5	4
სულ	100	100	100	100	100	100	100

3. თქვენი აზრით, რა მიმართულებით ვითარდება ახლა საქართველო? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძირითადად სწორი მიმართულებით	33	20	14	24	21	20	21
ძირითადად არასწორი მიმართულებით	13	26	37	25	26	28	27
საერთოდ არაფერი იცვლება	0	1	1	0	0	0	1
უარი პასუხზე	1	2	1	1	3	1	1
არ ვიცი	53	51	47	50	50	51	50
სულ	100	100	100	100	100	100	100

4. რა მთავარი პრობლემების და საფრთხის წინაშე დგას დღეს საქართველო? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ეკონომიკური და სოციალური	28	30	31	34	29	27	30
ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიის განვითარება	11	10	9	9	8	11	10
მოსახლეობის ჯანმრთელობა, სამედიცინო დახმარება, კოვიდ-19	21	19	16	17	20	20	19
განათლების პრობლემები	8	4	3	5	5	4	5
კრიმინალის ზრდა	8	7	4	6	7	6	6
საგარეო-პოლიტიკური საფრთხე, საერთაშორისო კონფლიქტები, სანქციები	1	5	7	4	6	5	5
აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები	23	27	23	25	23	25	25
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შელახვის სხვა საფრთხე	11	11	9	13	11	8	10
ყველა ზემოჩამოთვლილი	0	1	2	1	1	1	1
არანაირი პრობლემა ან საფრთხე არ არის	4	3	4	3	4	5	4
სხვა პრობლემები ან საფრთხე	12	14	15	12	16	14	14
უარი პასუხზე	1	0	1	1	2	0	1
არ ვიცი	38	31	34	35	33	34	34

5. რა მთავარი პრობლემების ან საფრთხის წინაშე დგას დღეს რუსეთი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ეკონომიკური და სოციალური	46	44	44	47	44	42	44
ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიის განვითარება	13	8	7	10	7	9	9
მოსახლეობის ჯანმრთელობა, სამედიცინო დახმარება, კოვიდ-19	29	33	30	27	34	33	31
გარემოსდაცვითი პრობლემები	8	7	8	7	10	8	8
განათლების პრობლემები	15	12	10	15	12	10	12
საგარეო-პოლიტიკური საფრთხე, საერთაშორისო კონფლიქტები, სანქციები	19	25	45	29	33	32	31
არეულობები ქვეყანაში, საპროტესტო აქციები, დემონსტრაციები	5	5	9	6	7	6	6
კორუფცია	9	7	5	8	8	5	7
მთავრობის არაეფექტიანი მუშაობა, პოლიტიკური საკითხები	4	5	5	6	5	4	5
არანაირი პრობლემა ან საფრთხე არ არის	9	10	8	8	7	11	9
სხვა პრობლემები ან საფრთხე	21	21	20	20	23	20	21
უარი პასუხზე	1	0	1	1	0	1	0
არ ვიცი	15	12	8	13	9	12	11

6. როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს განზრახვის მიმართ, გახდეს ევროკავშირის წევრი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან დადებითი	14	10	7	9	12	10	10
უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	30	19	15	24	20	17	20
უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	17	21	20	18	21	20	20
ძალიან უარყოფითი	14	25	31	21	22	28	24
უარი პასუხზე	0	0	1	1	0	0	0
არ ვიცი	25	25	26	27	25	25	26
სულ	100	100	100	100	100	100	100

7. როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს განზრახვის მიმართ, გახდეს ნატოს წევრი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან დადებითი	7	3	3	4	5	3	4
უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	21	9	3	13	10	8	10
უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	23	21	14	21	19	17	19
ძალიან უარყოფითი	27	48	65	44	48	54	49
უარი პასუხზე	0	1	1	0	1	0	0
არ ვიცი	22	18	14	18	17	18	18
სულ	100	100	100	100	100	100	100

8. თქვენი აზრით, ჩრდილოეთ კავკასიის რომელი რესპუბლიკაა ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ადიღე	3	3	1	2	4	2	2
ყარაჩაი-ჩერქეზეთი	4	1	2	2	1	2	2
ყაბარდო-ბალყარეთი	8	3	2	6	3	3	4
ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია	7	5	4	4	7	5	5
ინგუშეთი	5	2	1	1	5	3	3
ჩეჩნეთი	5	6	7	5	6	7	6
დაღესტანი	6	6	6	5	5	7	6
ყველგან ერთნაირი განწყობაა	3	4	4	3	4	4	4
არცერთი	4	8	9	9	7	6	7
უარი პასუხზე	0	0	1	1	0	1	1
არ ვიცი	55	62	63	62	58	60	60
სულ	100	100	100	100	100	100	100

9. თქვენი აზრით, რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისგან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოსახლეობა? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან ჰგვანან ერთმანეთს	7	9	11	7	9	10	9
უფრო ჰგვანან, ვიდრე განსხვავდებიან	39	38	34	38	32	39	37
უფრო განსხვავდებიან, ვიდრე ჰგვანან	25	20	18	22	24	18	21
ძალიან განსხვავდებიან	14	14	14	13	15	14	14
უარი პასუხზე	0	0	1	1	1	0	0
არ ვიცი	15	19	22	19	19	19	19
სულ	100	100	100	100	100	100	100

10. კონკრეტულად რა აქვთ მათ საერთო? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
კულტურა, ტრადიციები, ჩვევები და ღირებულებები	59	51	51	54	56	51	53
რელიგია	10	11	10	12	11	9	11
მსოფლმხედველობა	6	2	6	6	3	4	5
ადამიანების ხასიათი	14	21	18	18	22	17	18
ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ, ცხოვრების პირობები	6	8	8	9	5	7	7
გეოგრაფიული პირობები, კლიმატი	2	5	8	7	7	4	6
საერთო წინაპრები, ენები, მახასიათებლები	7	6	3	6	2	6	5
საგარეო პოლიტიკა	1	0	1	0	1	1	1
საერთო ისტორია სსრკ-ში	0	1	1	1	1	0	1
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	22	18	19	19	20	20	20

** ამ კითხვას უსვამენ იმ რესპონდენტებს, ვინც თქვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოქალაქეებს შორის დიდი მსგავსებაა, ან მათ შორის მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება – 46%*

11. რა არის მთავარი განსხვავება მათ შორის? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
კულტურა, ტრადიციები, ჩვევები და ღირებულებები	43	47	27	43	45	32	39
რელიგია	25	32	29	32	26	28	29
მსოფლმხედველობა	15	15	13	14	14	16	15
ადამიანების ხასიათი	20	19	12	20	12	16	17
ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ, ცხოვრების პირობები	12	8	14	10	15	10	11
საერთო წინაპრები, ენები, მახასიათებლები	0	1	0	0	0	1	0
საგარეო პოლიტიკა	8	5	8	6	10	7	7
საერთო ისტორია სსრკ-ში	3	6	11	7	8	6	7
უარი პასუხზე	1	0	1	0	0	2	1
არ ვიცი	13	12	16	12	12	17	14

** ამ კითხვას უსვამენ იმ რესპონდენტებს, ვინც თქვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს მოქალაქეებს შორის დიდი განსხვავებაა, ან მათ შორის განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება – 35%*

12. რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან კარგად ინფორმირებული	3	2	1	3	3	2	2
საკმაოდ კარგად ინფორმირებული	8	14	12	14	13	8	12
ნაკლებად ინფორმირებული	49	56	61	52	54	60	56
საერთოდ არ ვარ ინფორმირებული	39	26	21	29	26	27	27
უარი პასუხზე	0	0	1	0	1	0	0
არ ვიცი	1	2	4	2	3	3	3
სულ	100	100	100	100	100	100	100

13. ძირითადად, რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ტელევიზია, ონლაინ არხების გარდა	23	51	74	40	47	68	54
გაზეთები, ჟურნალები, ონლაინ გამოცემების გარდა	1	3	9	5	3	6	5
რადიო, ონლაინ რადიოს გარდა	1	2	8	6	2	3	4
ონლაინ არხები, გამოცემები, რადიოსადგურები, საინფორმაციო ქრონიკა	55	46	27	46	47	33	41
სოციალური ქსელები	34	19	9	22	19	16	19
საგანმანათლებლო ორგანიზაციები - სკოლა, ინსტიტუტი	0	0	0	0	0	0	0
რუსეთში მცხოვრები ოჯახები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	8	9	6	10	8	6	8
საქართველოში მცხოვრები ოჯახები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	7	8	5	9	10	3	6
პირადი ვიზიტები საქართველოში	0	0	1	1	1	0	0
უარი პასუხზე	0	0	1	0	0	1	0
არ ვიცი	2	1	2	3	1	1	2

** ამ კითხვას უსვამენ იმ რესპონდენტებს, ვინც თქვა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ არის ძალიან კარგად, საკმაოდ კარგად, ნაკლებად ინფორმირებული – 70%*

14. ბოლო დროს რა სახის ინფორმაცია მოისმინეთ, ნახეთ ან წაიკითხეთ საქართველოსთან დაკავშირებით? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
საქართველოს ეკონომიკა	7	10	9	11	11	7	9
ტურიზმი	28	28	20	24	31	23	25
კულტურა	11	10	8	11	9	9	10
კრიმინალური ვითარება	3	2	3	1	4	3	3
საქართველოს საშინაო პოლიტიკა	17	14	16	19	17	12	15
საქართველოს საგარეო პოლიტიკა	13	16	20	18	21	15	17
აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაცია ან მათთან დაკავშირებული პრობლემები	21	23	21	21	21	23	22
სხვა	4	1	2	2	2	2	2
ყველა	1	3	3	5	1	2	3
უარი პასუხზე	0	1	2	1	1	2	1
არ ვიცი	21	24	31	24	19	31	26

** ამ კითხვას უსვამენ იმ რესპონდენტებს, ვინც თქვა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ არის ძალიან კარგად, საკმაოდ კარგად ან ნაკლებად ინფორმირებული – 70%*

15. ინფორმაცია, რომელსაც ახლა საქართველოს შესახებ იღებთ, უმეტესად პოზიტიურია თუ ნეგატიური? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძირითადად პოზიტიური	21	12	14	14	15	15	15
ძირითადად ნეგატიური	14	18	21	20	20	17	18
ნეიტრალური	59	58	55	58	52	59	57
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	6	12	10	8	13	9	10
სულ	100	100	100	100	100	100	100

** ამ კითხვას უსვამენ იმ რესპონდენტებს, ვინც თქვა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ არის ძალიან კარგად, საკმაოდ კარგად ან ნაკლებად ინფორმირებული – 70%*

16. რა სტატუსი აქვს დღეს აფხაზეთს? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	12	13	19	15	17	14	15
კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო	36	44	27	41	38	30	35
საქართველოს ნაწილი	7	3	4	5	4	5	4
რუსეთის ნაწილი	15	17	25	16	18	23	20
უარი პასუხზე	0	0	1	0	0	0	0
არ ვიცი	30	23	24	23	23	28	26
სულ	100	100	100	100	100	100	100

17. თქვენი აზრით, რა სტატუსი ექნება აფხაზეთს 10 წლის შემდეგ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	15	15	18	16	15	17	16
კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო	26	26	17	25	25	20	23
საქართველოს ნაწილი	6	3	4	4	4	4	4
რუსეთის ნაწილი	25	29	32	24	32	32	29
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	28	27	29	31	24	27	28
სულ	100	100	100	100	100	100	100

18. რა მიმართულებით ვითარდება აფხაზეთი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძირითადად სწორი მიმართულებით	43	44	44	40	39	49	44
ძირითადად არასწორი მიმართულებით	16	13	10	14	14	11	13
საერთოდ არაფერი იცვლება	1	3	3	4	2	2	2
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	40	40	43	42	45	38	41
სულ	100	100	100	100	100	100	100

19. როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ფინანსური დახმარების სახელმწიფო დონეზე გაწევის მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დიახ	19	28	44	30	28	35	32
არა	27	25	14	24	21	20	21
ნაწილობრივ ვემხრობი	31	32	33	30	35	32	32
ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა	20	10	6	12	13	10	11
რუსეთი აფხაზეთს ფინანსურად არ ეხმარება	0	0	0	0	0	0	0
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	3	5	3	4	3	3	4
სულ	100	100	100	100	100	100	100

20. თქვენი აზრით, რა სტატუსი აქვს დღეს სამხრეთ ოსეთს? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	8	7	12	10	9	9	9
კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო	33	39	29	38	40	27	34
საქართველოს ნაწილი	6	4	3	4	3	5	4
რუსეთის ნაწილი	19	19	22	17	19	23	20
უარი პასუხზე	1	0	1	0	0	0	0
არ ვიცი	33	31	33	31	29	36	33
სულ	100	100	100	100	100	100	100

21. თქვენი აზრით, რა სტატუსი ექნება სამხრეთ ოსეთს 10 წლის შემდეგ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	12	9	13	11	10	11	11
კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფო	26	27	18	25	27	21	24
საქართველოს ნაწილი	7	4	3	5	4	4	4
რუსეთის ნაწილი	25	31	33	26	33	32	30
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	30	29	33	33	26	32	31
სულ	100	100	100	100	100	100	100

22. რა მიმართულებით ვითარდება ახლა სამხრეთი ოსეთი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძირითადად სწორი მიმართულებით	43	42	47	40	42	48	44
ძირითადად არასწორი მიმართულებით	17	13	7	11	13	12	12
საერთოდ არაფერი იცვლება	0	2	1	2	1	1	1
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	40	43	45	47	44	39	43
სულ	100	100	100	100	100	100	100

23. როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარების სახელმწიფო დონეზე გაწევის მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
დიახ	17	26	39	27	27	31	29
არა	29	24	14	24	20	20	22
ნაწილობრივ ვემხრობი	29	32	35	30	34	33	32
ჩემთვის სულ ერთია	23	15	8	14	17	13	14
რუსეთი აფხაზეთს ფინანსურად არ ეხმარება	0	0	0	0	0	0	0
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	2	3	4	5	2	3	3
სულ	100	100	100	100	100	100	100

24. როგორ შეაფასებდით რუსეთსა და საქართველოს შორის ამჟამად არსებულ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
ძალიან მეგობრული	8	5	6	4	6	8	6
უფრო მეგობრული, ვიდრე მტრული	49	41	39	40	41	46	43
უფრო მტრული, ვიდრე მეგობრული	27	37	37	38	39	29	34
ძალიან მტრული	4	3	4	4	3	3	4
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
მიჭირს პასუხის გაცემა	12	14	14	14	11	14	13
სულ	100	100	100	100	100	100	100

25. რა მთავარი დაბრკოლებები უშლის ხელს რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დახმარება	8	4	3	4	7	4	5
საქართველოს სწრაფვა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირებისკენ	16	25	25	22	23	23	22
კონკრეტული პირები საქართველოს ხელისუფლებაში	3	6	10	6	10	6	7
პოლიტიკური უთანხმოებები ორ ქვეყანას შორის	14	14	11	13	15	11	13
საქართველოსთვის არ არის რუსეთის პოლიტიკა მისაღები	7	9	13	9	9	10	10
არ არის დაბრკოლება, კარგი ურთიერთობებია	4	4	3	4	3	4	4
სხვა	15	11	14	15	12	12	13
უარი პასუხზე	1	1	0	1	0	0	1
არ ვიცი	40	31	28	30	28	36	32

26. რა ენაზე/ენებზე ურთიერთობდით საქართველოს მოქალაქეებთან? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
რუსულად	64	61	44	62	61	47	55
ინგლისურად	3	1	1	3	1	1	2
ქართულად	1	0	0	1	0	0	0
სხვა ენაზე	0	1	0	0	0	0	0
საერთოდ არ დამჭირვებია საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობა	35	36	57	35	38	52	43
არ ვიცი, არ მახსოვს, უარი პასუხზე	0	1	1	1	1	1	1

27. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარება ხელს უწყობს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
სრულიად ვეთანხმები	36	44	43	42	43	41	42
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	43	37	39	41	41	38	39
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	7	6	5	5	6	6	6
სრულიად არ ვეთანხმები	4	4	6	4	3	7	5
ურთიერთობები რუსეთის და საქართველოს მოსახლეობას შორის ისედაც კარგია	0	0	1	1	0	0	0
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	10	9	6	7	7	8	8
სულ	100	100	100	100	100	100	100

28. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ტურისტული კავშირები რუსეთსა და საქართველოს შორის ხელს უწყობს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			სულ
	18-34	35-54	55+	დიდი ქალაქი	საშუალო ზომის ქალაქი	მცირე ზომის ქალაქი და სოფელი	
სრულად ვეთანხმები	49	58	55	55	60	52	55
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	36	29	30	33	29	30	31
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	5	5	4	5	3	6	5
საერთოდ არ ვეთანხმები	4	3	4	2	2	5	3
ურთიერთობები რუსეთის და საქართველოს მოსახლეობას შორის ისედაც კარგია	0	0	0	0	0	0	0
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
არ ვიცი	6	5	7	5	6	7	6
სულ	100	100	100	100	100	100	100